სტრატეგიული განვითარების სამოქმედო

გეგმის მონიტორინგისა და შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი
ანგარიშის შედგენის თარიღი	2023 წლის 15 სექტემბერი

აქტივობა 1.1.1	**საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად შესაბამისი ორგანიზაციის შერჩევა და პროცედურის ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, დეკანები (6). შესწავლილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად არ განხორციელებულა აქტივობები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.1.2	**პროგრამებისა და მათი განხორციელების ხარისხის შეფასება და**

	უკუკავშირის უზრუნველყოფა
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტაციის ანალიზი. ინფორმაციის მისაღებად შეირჩა საგზაო რუკით გათვალისწინებული სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი, რომელიც ონლაინფორმატით განხორციელდა. რაოდენობრივი კვლევის ეს მეთოდი ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, 34 ლექტორთან (ყველა აკადემიური სკოლიდან 4-4 პირი) და სტუდენტთან. დოკუმენტურად შემოწმდა სტუდენტთა შეფასებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, დაიწყო აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება ტურიზმისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით. პროგრამის კომიტეტებზე განიხილეს რეკომენდაციები, შემუშავდა მათი რეალიზების სამოქმედო გეგმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად ახორციელებს პროგრამის შესრულების მონიტორინგს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დონის დადგენა, სწავლის შედეგების შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხის განსაზღვრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ. მონაცემების ანალიზის საფუძველზე, დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, მაღალია, რაც დასტურდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესაბამისი მაჩვენებლებით. სასწავლო გარემოს შეფასებამ გამოავლინა, რომ სტუდენტების კმაყოფილების დონე მაღალია სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, სწავლების ხარისხთან, სწავლების პროცესში გამოყენებულ სასწავლო მასალასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, შეფასების ობიექტურობა-გამჭვირვალეობასთან მიმართებაში. რესპონდენტთა კომენტარებში გამოიკვეთა ძირითადი შინაარსი, რომლის მიხედვით იგრძნობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ლექტორების კვალიფიციურობა, სათანადო ყურადღება სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ამაღლებს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.3	**სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზი დიაგნოსტიკური მატრიცების საშუალებითა და შედეგების საფუძველზე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვისა (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდები. გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, დეკანები (სულ 19), გაანალიზდა შეფასების ფორმები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტმა წლების განმავლობაში შეინარჩუნა და გარკვეულწილად გააუმჯობესა კიდეც სწავლა-სწავლების არსებული მაჩვენებლები, რაც მისი თანმიმდევრული საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების 2018-2022 სასწავლო წლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის ხარისხი, ზოგადად, დამაკმაყოფილებელია და მზარდია უკეთესობისაკენ, რაც, შესაბამისად, აისახა შეფასების ფორმებში/დიაგნოსტიკურ მატრიცებში. (ცხრილი ქვემოთ) ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობას განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტი, სკოლები. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

შეფასება	2018-2019	2019-2020	2020-2021	2022-2023	2022-2023
A	8%	11%	18%	11%	13%
B	15%	18%	23%	17%	18%
C	22%	22%	23%	23%	24%
D	25%	24%	18%	24%	21%
E	29%	24%	16%	25%	22%
F-FX	1%	1%	2%	2%	2%

აქტივობა 1.1.5	**ხარისხის უზრუნველყოფის პლატფორმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2021-2022 სასწავლო წელი/ ივნისი, 2022
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ). გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხვისა და პროცესზე დაკვირვების შედეგების მიხედვით, დადგენილია, რომ მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი პლატფორმის მოსამზადებლად. პროგრამა რამდენიმე ბლოკს მოიცავს. მომზადებულია მესამე ბლოკიც, გრძელდება მუშაობა შემდეგი ბლოკების მოსამზადებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი (ერთი წლის ფარგლებში) შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 1.1.6	**პროგრამების განხორციელების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა აკადემიური კომიტეტის სხდომებზე.**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი შემოწმდა გრუნის აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომა ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერში. სხდომაზე განიხილეს ინფორმაციები ფსიქოლოგიის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, ტურიზმის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარადგინა ანგარიშები სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ. კომიტეტის გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები გადაეცა სკოლებს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.1.7	**ინტეგრირებული და ერთობლივი საგანამანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა და განხორციელება (სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია)**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ. მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: სტრუქტურირებული ინტერვიუ. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინგამოიკითხა სამიზნე პოპულაცია / საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები, დეკანები (11).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	რთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის მიწერ მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი პარტნიორი უნივერსიტეტის შესარჩევად და ერტობლისი საგანმანათლებლო პროგრამების შესამუშავებლად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.1.8	**შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება, ანალიზი და პროგრამებში კორექტივების შეტანა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა მონიტორინგის ჯგუფმა საკითხის შესასწავლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა: დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, სკოლების სწავლების ხარისხსა და დასაქმებაზე პასუხისმგებელი პირები, დამსაქმებლები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, აღწერის პრინციპის საშუალებით, განხორციელდა მედიცინის დარგში მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვა და მათი აზრის შესწავლა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის შესახებ. კვლევის შედეგები გადაეცა მედიცინის სკოლას. 2023 წლის 16 ივნისს, ბიზნესისა და მართვის სკოლაში გაიმართა

	კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საცალო ვაჭრობის, წარმოების, ფინანსებისა და ტურიზმის სფეროებიდან. სხდომის მიზანს წარმოადგენდა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის დამსაქმებლებისგან რჩევების მიღება, მოსაზრებების გაზიარება და გაცვლა. ამასთან ერთად, სხდომაზე განიხილეს სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების საკითხებიც, რათა სწავლის პერიოდშივე ახალგაზრდებმა შეიძინონ ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც უდავოდ წაადგებათ პროფესიულ საქმიანობაში, აღიჭურვონ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით. https://gruni.edu.ge/main/news/1687777215 2023 წლის 25 მაისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამის პრეზენტაცია. აჭარის დასაქმების სააგენტოს სპეციალისტებმა ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან განიხილეს ის საკითხები და მოთხოვნები, რომლებიც პროფესიულ საქმიანობაში გასათვალისწინებელია, წარადგინეს ის პროგრამები, რომლის ფარგლებში სტუდენტები ახალ პროფესიულ უნარებს სწავლასთან თავსებადი გრაფიკით დაეუფლებიან. პროგრამა ხორციელდება სპეციალურად სტუდენტისთვის შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო მოდულით, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, სტაჟირებას პროფესიული მიმართულებით. პროგრამის მოსარგებლეთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით და 2023 წელს "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამით სარგებლობა შეუძლია 50 სტუდენტს. სტუდენტები დამატებით გაივლიან მოკლევადიან სპეციალიზებულ ტრენინგკურსებსაც. https://gruni.edu.ge/main/news/1685598043 ამასთან, უნივერსიტეტს მუდმივად სტუმრობენ სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, ექსპერტები, სამუშაო შეხვედრებზე განიხილება დასაქმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, არსებული გამოწვევები და ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტს შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. საანგარიშო პერიოდში ასეთი შეხვედრები გაიმართა კომპანიების: „კარფური", „Majorel"-ი, „Pulsar Al"-ის, „pensight"-ის , „Cenomi Betail"-

	ის, Sfero.ge-ს, ავტობანის, წარმომადგენლებთან. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.1.9	**ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება/ ინტეგრირება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვისა და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები (36), შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, 2022-2023 სასწავლო წელი მრავალმხრივ გამორჩეული და წარმატებული იყო გრუნისთვის, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის, ისე საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების თვალსაზრისით, საინტერესო პროექტებითა და მიღწევებით, ახალი საუნივერსიტეტო ბაზებითა და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიებით, რაც სასწავლო პროცესში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება/ ინტეგრირებას უწყობს ხელს. კერძოდ: გრუნის თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრი გაიხსნა, რომლის მიზანი მედიაციის, როგორც დარგის, პრაქტიკულად შესწავლა და პოპულარიზაციაა, მთელი ეს პროცესი სტუდენტების აქტიური მონაწილეობით წარიმართება, რაც მათ დაოსტატებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. https://gruni.edu.ge/main/news/1669975763 https://gruni.edu.ge/main/news/1672393192 საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გარდა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტისა ტრადიციული გაგებით) პროგრამებში დაინერგა პრეკლინიკური პრაქტიკები/ჩაშენებული პრაქტიკები, რაც პრაქტიკის კომპონენტის უფრო მიზნობრივად გამოყენების საშუალებას იძლევა. 2023 წლის ივლისში ბიზნესისა და მართვის სკოლის ბაზაზე შეიქმნა

	„GRUNI Trading Lab.“ პირველად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE), რეალურ დროსა და ვითარებაში ივაჭრებენ. სასწავლო-პრაქტიკულ პროცესზე მორგებულ სპეციალურ სასწავლო კურსებს, რომლის ანალოგი მხოლოდ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში თუ მოიძებნება, უხელმძღვანელებს პროფესიონალ ტრეიდერთა გუნდი. https://gruni.edu.ge/main/news/1690959023 უნივერსიტეტი განაგრძობს სასწავლო-კლინიკური რესურსების გაუმჯობესებას საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის ამოქმედების მიზნით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აფართოებს თანამშრომლობას პარტნიორებთან, სისტემატურად ატარდებს OSCE-ს შესაბამის აქტორთა ტრენინგებს: https://gruni.edu.ge/main/news/1690004750 https://gruni.edu.ge/main/news/1689526761, https://gruni.edu.ge/main/news/1683049655 https://gruni.edu.ge/main/news/1683050112 სტუდენტების პრაქტიკული ცოდნისა და უნარ - ჩვევების გაძლიერების მიზნით გრძელდება მნიშვნელოვანი აქტივობები (კურუკულუმს გარეთ აქტივობები): მოწვეული პრაქტიკოსებისა და საერთაშორისო დონის ქართველი და უცხოელი ექსპერტების ონლაინმასტერკლასები, სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობები, იმიტირებული პროცესები, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში ვიზიტი, საქმიანობის გაცნობა, გამოცდილების გაზიარება და ა.შ. საანგარიშო პერიოდში სტუდენტები სტუმრობდნენ: საქართველოს პარლამენტს, თბილისის საკრებულოს, უზენაეს სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ცესკოს. სასწავლო - შემეცნებითი ტურის ფარგლებში იმყოფებოდნენ: თურქეთში, ნატახტარის აეროპორტში, სასტუმრო ჰილტონში, სასტუმრო ბიოგრაფში, ძამას ხეობაში, რაჭაში და სხვა. მნიშვნელოვანია დასაქმების ფორუმების ორგანიზება და სტუდენტებისა და დამსაქმებლების პირისპირ შეხვედრა. უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წელს დასაქმების 4 ფორუმი ჩატარდა, რომელშიც 500-ზე მეტი სტუდენტი და კურსდამთავრებული მონაწილეობდა. **პრაქტიკული ღონისძიებები:** 2022 წლის 7 ნოემბერს გრუნის სამართლის სკოლის სტუდენტები მედიაციის სავალდებულო სასწავლო კურსით განსაზღვრული პრაქტიკული მეცადინეობის ფარგლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს ეწვივნენ. ვიზიტის დროს სტუდენტებმა ცენტრის ხელმძღვანელთან, მოქმედ მედიატორთან ელენე ორჯონიკიძესა და მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარესთან, გრუნის პროფესორ ირაკლი ყანდაშვილთან განიხილეს სასამართლო მედიაციის

	კონკრეტული ქეისები, მიღებული გადაწყვეტილებები და, ზოგადად, ცენტრის საქმიანობის ძირითადი პრობლემები. https://gruni.edu.ge/main/news/1668443715 2023 წლის 19 და 26 აპრილს მედიცინის სკოლის სტომატოლოგიის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR)“, რომელიც სამედიცინო განათლების ექსპერტების მიერ აღიარებულია სწავლების ინოვაციურ მეთოდად. მისი მიზანია გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, რთული ქეისების კომპლექსურად შეფასების და დიაგნოსტირების უნარების გამომუშავება, მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება და დაგეგმარება.ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს სტუდენტზე ორიენტირებული და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული მეთოდის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრინციპები, კლინიკური ქეისების მომზადების თავისებურებები, ასევე, სტუდენტთა კლინიკური აზროვნების უნარების შეფასების კრიტერიუმების შედგენის პრინციპები და სხვა. https://gruni.edu.ge/main/news/1683561245 2023 წლის 03 ივლისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა თავისუფალი არჩევითი კომპონენტის -„ბიზნესი მოქმედებაში“, სასწავლო დისციპლინის ფარგლებში, წარმოადგინეს გუნდური სასწავლო - კვლევითი პროექტის ბიზნესგეგმა. https://gruni.edu.ge/main/news/1689527867 2023 წლის 8 ივლისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა ბიზნესისა და მართვის სკოლის შიდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვორქშოპი, რომელზეც განიხილეს საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევის შუალედური შედეგები. კვლევის მიზანი გახლდათ ტურიზმისა და მასპინძლობის წარმომადგენელთა დამოკიდებულების შესწავლა ტურიზმის სფეროში ციფრული პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს აჭარის რეგიონში მოქმედ სხვადასხვა ტურისტულ ბიზნესში ციფრული პროდუქტების გამოყენებისა და კომპანიების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების საკითხი. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის მასპინძლობის ინდუსტრიის წარმომადგენლები და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე - მაკა ფირანაშვილი და ასოცირებული

	პროფესორი - მაია მელაძე https://gruni.edu.ge/main/news/1690040947 20 ივნისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგელობის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა „საარჩევნო სამართლის“ სასწავლო დისციპლინის ფარგლებში ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო სხდომა ადმინისტრაციულ საქმეზე: მოთხოვნა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ; https://gruni.edu.ge/main/news/1687759656 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.1.10	**კარიერისთვის მომზადების სასწავლო კურსის შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირება სასწავლო დისციპლინის სახით.**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა შეჯამდა და გაანალიზდა დეკანების, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირების (16) ონლაინგამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მომზადდა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირდა სტუდენტთა კარიერისთვის მომზადების სასწავლო კურსი „კარიერული უნარ-ჩვევები“, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლიდან საუნივერსიტეტო საგნად შეეთავაზათ სტუდენტებს. კურსი მოიცავს თემებს: კარიერის დაგეგმვა, კომუნიკაცია, თვითმოტივაცია, სხვადასხვა პროფესიების გაცნობა და ა.შ. კურსის გავლის შემდეგ, სტუდენტი გეგმავს საკუთარ კარიერას, წარადგენს საკუთარ თავს დამსაქმებელთან, აფასებს შრომის ბაზარს და იკვლევს დამსაქმებლის ინტერესებს, განსაზღვრავს მიზნობრივ სეგმენტს და ადგენს მათზე მორგებული პერსონალური ბრენდინგის გეგმას. ამასთან, უნივერსიტეტი განაგრძობს სხვადასხვა პროგრამისა და პროექტის განხორციელებას, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდებს კარიერისთვის უკეთ მომზადებაში, კერძოდ: მესამე წელია, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი წარმატებულად

	თანამშრომლობს ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციასთან. ერთ-ერთი წარმატებული პროგრამა, რომელშიც გრუნი მონაწილეობს, მენტორობის პროგრამაა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს მენტორის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე წარმატებული სპეციალისტის, თანამშრომლობას მისსავე სპეციალობის სტუდენტთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციის გაწევას, დახმარებას პროფესიულ დაოსტატებაში, პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კარიერისათვის მომზადებაში. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან პროგრამაში მონაწილეობდა სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის 15 სტუდენტი, როგორც თბილისის, ისე ბათუმის კამპუსიდან. სტუდენტები გასული სემესტრის განმავლობაში მუშაობდნენ მიმაგრებულ მენტორებთან ერთად. https://gruni.edu.ge/main/news/1679239809 გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მხარდაჭერით, მედიცინის მიმართულების 10 სტუდენტი ყოველწლიურად მონაწილეობს ზამთრის სესიების მუშაობაში. მათთან ერთად წელს ზამთრის სკოლაში საქართველოს ხუთი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, იყვნენ ჩართული. ორდღიანი სესიის ფარგლებში სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პრაქტიკულ სემინარსა და ვორკშოფში, შეასრულეს დავალებები და მიიღეს რჩევები პედაგოგებისაგან. https://gruni.edu.ge/main/news/1680840331 **2023 წლის 20 აპრილს,** მართლმსაჯულების სახლისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში სამართლის სკოლის სტუდენტთათვის გაიმართა სამართლის დოქტორის, პროფესორ ეკა ბესელიას ტრენინგი: ***„იურიდიული ეთიკა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები“.*** ეკა ბესელიასთან ერთად ბათუმის წარმომადგენლობას სტუმრობდა აშშ-ის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი ლენა მორტონი, რომელმაც სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მნიშვნელობასა და როლზე, ასევე, ამერიკული სასამართლო სისტემის პრაქტიკასა და სამართლებრივ რეფორმებზე. სტუდენტებმა თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს სტუმრებს, შეაფასეს საქართველოს სასამართლო სისტემა. https://gruni.edu.ge/main/news/1682667363 **2023 წლის 17 მაისს,** მოსამართლის პროფესიული დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობას სტუმრობდნენ USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მოწვეული ექსპერტი, ამერიკის, ჯორჯიის შტატის მოსამართლე **პეგი უოკერი** და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **მერაბ ტურავა.**

	მოსამართლეებმა სტუდენტებთან და აკადემიური პერსონალთან განიხილეს მნიშვნელოვანი თემები: „სამოსამართლო სამართალი და მისი როლი ქართულ და ამერიკული სამართლის პრაქტიკაში“ და “საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების ინსტიტუციური ურთიერთმიმართების საკითხი ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში.“ https://gruni.edu.ge/main/news/1684493492 გრუნის სამეცნიერო- კვლევითი ცენტრისა და ბიზნესისა და მართვის სკოლის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 11-13 აპრილს ტურიზმის მიმართულების სტუდენტებისათვის ჩატარდა ორდღიანი გასვლითი ლექცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ლაბორატორიაში. მთავარი მასპინძელი გახლდათ გარემოს ეროვნული სააგენტოს ზოგადი და გამოყენებითი კლიმატოლოგიის განყოფილების უფროსი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლიანა ქართველიშვილი. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ჰიდროლოგიაში, ნიადაგმცოდნეობაში, მეტეოროლოგიაში, კურორტოლოგიასა და კლიმატოლოგიაში მიმდინარე კვლევებისა და მიღებული მონაცემების შესახებ ინფორმაციას. საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო - ამ მონაცემების ზეგავლენა ტურისტული სერვისების განვითარებაზე. გარემოს ეროვნული სააგენტოსა ლაბორატორიაში, რომელიც უნიკალურია თავისი მნიშვნელობითა და ბოლოდროინდელი განვითარების ხარისხითა და მასშტაბებით, სტუდენტები შეხვდნენ დარგის სპეციალისტებს, უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ამა თუ იმ ცდაში, დაკვირვებაში. მათ მიეწოდათ ინფორმაცია უახლესი კვლევებისა და თანამედროვე დანადგარების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1681971831 **2023 წლის 13 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრის ორგანიზებით სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის გაიმართა პირველი პრაქტიკულ-ინტერაქტიული ტრენინგი „მედიაცია - მოლაპარაკების ხელოვნება“. ტრენინგს წინ უძღვოდა სტუდენტების გამოკითხვა/ინტერვიუირება დავის გადაწყვეტის ახალი და მეგობრული მექანიზმის შესახებ, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებსა და ფასეულობებს ემყარება და რომელსაც საფუძვლად უდევს მოლაპარაკება და ეფექტური კომუნიკაცია. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო სტუდენტთა დაინტერესება, რის საფუძველზეც დაიგეგმა და მომზადდა პრაქტიკულ - ინტერაქტიული ტრენინგი **„მედიაცია - მოლაპარაკების ხელოვნება“**, **2022 წლის 24 ნოემბერს** ახალგაზრდული ასოციაცია ,,დრონის“ წარმომადგენლებმა მეორე შეხვედრა გამართეს გრუნის სტუდენტებთან. დრონი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს

	უფასოდ ჩაერთონ საერთაშორისო პროექტებში, იმუშაონ ევროპის სხვადასხვა ორგანიზაციისთვის, განივითარონ უნარები, აიმაღლონ პროფესიული კომპეტენცია და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამის კოორდინატორმა სტუდენტებს გაუზიარა ინფორმაცია, როგორ უნდა შეარჩიონ სასურველი პროექტი, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი მონაწილე, როგორია ფინანსური უზრუნველყოფის პირობები და რა ვადით და რამდენჯერ შეუძლიათ მონაწილეობა შემოთავაზებულ პროექტებში. https://gruni.edu.ge/main/news/1669435156 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა, გოგიტა თოდრაძემ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში ჩაატარა საჯარო ლექცია ბიზნესის და მართვის სკოლის სტუდენტებისთვის თემაზე: „საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები: არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები“. შეხვედრას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. გოგიტა თოდრაძემ მონაწილეებს პრეზენტაციის სახით გააცნო ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ბოლო პერიოდში საქსტატში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები. https://gruni.edu.ge/main/news/1672500110 **2022 წლის 27 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა უმასპინძლა ლონდონში დაფუძნებული სტარტაპკომპანია „Pensight“-ის ზრდისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსს, თენგო მესხს, რომელიც ვიზიტით იმყოფება საქართველოში. საერთაშორისო კომპანია „პენსაიტი“ მომხმარებელს სთავაზობს პლატფორმას, რომელიც აკავშირებს ექსპერტებს აუდიტორიასთან. კომპანია 2021 წლის ნოემბრიდან გრუნის პარტნიორია და თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნივერსიტეტის სტუდენტების ვირტუალური სტაჟირებაა. პენსაიტის წარმომადგენელთან შეხვედრას ესწრებოდნენ: რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი ვახტანგ ჭარაია, რექტორის მრჩეველი ანა აბესაძე, მენეჯმენტისა და მარკეტინგის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი თენგიზ თაქთაქიშვილი და ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, თამარ გამსახურდია. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, მათ შორის, კომპანიაში ვირტუალური სტაჟირების, მასტერკლასების ჩატარებისა და ციფრული ლაბის შექმნის შესახებ და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1672213978

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 1.3.1	**არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. შემოწმდა გაფორმებული მემორანდუმები
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წლიდან წლამდე აფართოებს საერთაშორისო თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან და იმთავითვე ქმნის შესაძლებლობებს გრუნის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, ეზიარონ დასავლურ ღირებულებებს, გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი და დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საგანმანათლებლო ბაზარზე. 2022-2023 სასწავლო წელი გრუნიში ამ მხრივ გამორჩეული იყო. უნივერსიტეტმა 28 საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი. საანგარიშო პერიოდში გრუნის პარტნიორები გახდნენ: **2022 წლის 10 ოქტომბერს** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://gruni.edu.ge/main/news/1665501718 **2022 წლის 3 ნოემბერს** - კლაიპედას უნივერსიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1667490471 **2022 წლის 11 ნოემბერს** - ვილნიუსის, მიკოლას რომერის უნივერსიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1668442453 **2022 წლის 14 ნოემბერს** - ლიეტუვას, ვიტაუტას მაგნუს

	,უნივერსიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1668614127 **2022 წლის 22 ნოემბერს** - აზერბაიჯანის განათლების საერთაშორისო მენეჯერთ ასოციაცია ; https://gruni.edu.ge/main/news/1669137574 **2023 წელი, 4 მაისი - სომხეთის ლიდერობის სკოლა;** https://gruni.edu.ge/main/news/1683432242 **წლის 28 ნოემბერს** - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **https://gruni.edu.ge/main/news/16703390662022** **2022 წლის 12 დეკემბერს** -World Economic Forum-ი; https://gruni.edu.ge/main/news/1670859903 **2022 წლის 21 დეკემბერს** - საერთაშორისო კომპანია Libra-Alliance-ი; 2022 წლის 27 დეკემბერს - კერძო სკოლა „ლილე“; https://gruni.edu.ge/main/news/1672328289 **2022 წლის 29 დეკემბერს** - სამართლის მულტიფუნქციური განათლებისა და ექსპერტიზის ცენტრი - მართლმსაჯულების სახლი; https://gruni.edu.ge/main/news/1672982734 **2023 წლის 12 იანვარს** - კომპანია Majorel-ი; https://gruni.edu.ge/main/news/1675500683 **2023 წლის 26 იანვარს** - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1674828665 **2023 წლის 24 თებერვალს** - გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა; https://gruni.edu.ge/main/news/1677300072 **2023 წლის 29 მარტს** - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო";

	https://gruni.edu.ge/main/news/1680256142 **2023 წლის 15 მარტს** - ორგანიზაცია „გლოუ საქართველო"; https://gruni.edu.ge/main/news/1678897938 **2023 წლის 16 მარტს** -კომპანია „სფერო ჰოლდინგი"; https://gruni.edu.ge/main/news/1679296562 **2023 წლის 21 მარტი** - სსიპ კურორტების განვითარების სააგენტო; https://gruni.edu.ge/main/news/1679657913; **2023 წლის 25 აპრილს** -საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; https://gruni.edu.ge/main/news/1683432802 **2023 წლის 7 ივნისს** - ასოციაცია „რითეილი" ; **2022 წლის 10 ოქტომბერს** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://gruni.edu.ge/main/news/1665501718 **2022 წლის 3 ნოემბერს** - კლაიპედას უნივერსიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1667490471 **2022 წლის 11 ნოემბერს** - ვილნიუსის, მიკოლას რომერის უნივერსიტეტი; **https://gruni.edu.ge/main/news/1668442453** **2022 წლის 14 ნოემბერს** - ლიეტუვას, ვიტაუტას მაგნუს ,უნივერსიტეტი; **https://gruni.edu.ge/main/news/1668614127** **2022 წლის 22 ნოემბერს** - აზერბაიჯანის განათლების საერთაშორისო მენეჯერთა ასოციაცია ; https://gruni.edu.ge/main/news/1669137574

	2023 წელი, 4 მაისი - სომხეთის ლიდერობის სკოლა; **https://gruni.edu.ge/main/news/1683432242** **წლის 28 ნოემბერს** - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; **https://gruni.edu.ge/main/news/16703390662022** **2022 წლის 12 დეკემბერს** -World Economic Forum-ი; https://gruni.edu.ge/main/news/1670859903 **2022 წლის 21 დეკემბერს** - საერთაშორისო კომპანია Libra-Alliance-ი; 2022 წლის 27 დეკემბერს - კერძო სკოლა „ლილე“; https://gruni.edu.ge/main/news/1672328289 **2022 წლის 29 დეკემბერს** - სამართლის მულტიფუნქციური განათლებისა და ექსპერტიზის ცენტრი - მართლმსაჯულების სახლი; https://gruni.edu.ge/main/news/1672982734 **2023 წლის 12 იანვარს** - კომპანია Majorel-ი; https://gruni.edu.ge/main/news/1675500683 **2023 წლის 26 იანვარს** - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; https://gruni.edu.ge/main/news/1674828665 **2023 წლის 24 თებერვალს** - გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა; https://gruni.edu.ge/main/news/1677300072 **2023 წლის 29 მარტს** - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო"; https://gruni.edu.ge/main/news/1680256142 **2023 წლის 15 მარტს** - ორგანიზაცია „გლოუ საქართველო”; https://gruni.edu.ge/main/news/1678897938

	2023 წლის 16 მარტს -კომპანია „სფერო ჰოლდინგი“; https://gruni.edu.ge/main/news/1679296562 **2023 წლის 21 მარტი** - სსიპ კურორტების განვითარების სააგენტო; https://gruni.edu.ge/main/news/1679657913; **2023 წლის 25 აპრილს** -საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი; https://gruni.edu.ge/main/news/1683432802 **2023 წლის 7 ივნისს** - ასოციაცია „რითეილი“ ; https://gruni.edu.ge/main/news/1686326540 **2023 წლის 16 ივნისს** - „ტრეიდერთა ჰაბი“; https://gruni.edu.ge/main/news/1687580228 **2023 წლის 22 ივნისს** - ფინტექასოციაცია; https://gruni.edu.ge/main/news/1689705649 **2023 წლის 21 ივნისს** -მიკროსაფინანსო ასოციაცია; https://gruni.edu.ge/main/news/1687969627 **2023 წლის 22 ივნისს** - **შპს Hiro;** https://gruni.edu.ge/main/news/1687951783 **2023 წლის 23 ივნისს** -სტარტაპი “ქისა ედუქეიშენ“. https://gruni.edu.ge/main/news/1688045532 **2023 წლის 12 ივლისს** გრუნისა და შპს “ჰეკეთიკ საქართველო”; https://gruni.edu.ge/main/news/1689272579 **2023 წლის 19 ივლისს** - კომპანია ბი- სი- ეს-ი; https://gruni.edu.ge/main/news/1690005119 **2023 წლის 20 ივლისს** - ქართული სტარტაპკომპანია „აკადემლინკსი“;

	https://gruni.edu.ge/main/news/16903993992023 თანამშრომლობა მიზნად ისახავს: უმაღლესი აკადემიური განათლების ფარგლებში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოცდილებით განმტკიცებას, ერთობლივი მიზნობრივი პროექტებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, კონფერენციებისა და პრაქტიკული საგანმანათლებლო აქტივობების მომზადებას, მათ შორის, პროფესიულ დაოსტატებას, სტუდენტების სტაჟირებას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 1.3.2	**საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზება უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ აგვისტო , 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი/ სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები, დეკანები (33)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებამ უმაღლესი განათლების დღის წესრიგში ისეთი პროფესიული კადრების მომზადების აუცილებლობა დააყენა, რომლებიც ეფექტურად იმუშავებენ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე, შესაბამისად, გრუნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობების გაფართოებას, ცოდნის გაცვლასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. მხოლოდ 2022-2023 სასწავლო წელს უნივერსიტეტმა 12 საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კომპანიასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი. საანგარიშო პერიოდში 25-მდე სტუდენტი ჩაერთო საზაფხულო სკოლებისა და საერთაშორისო სემინარების მუშაობაში. კერძოდ: **2023 წლის 12–23 ივნისს,** ბაქოში, ADA-ს უნივერსიტეტისა (აზერბაიჯანი) და განვითარებისა და დიპლომატიის ინსტიტუტის (IDD) ორგანიზებით, კა'ფოსკარის უნივერსიტეტთან (იტალია) პარტნიორობით, გაიმართა 2- კვირიანი საზაფხულო სკოლა

	„ევროკავშირი და ახალი გლობალური კონტექსტის გამოწვევები“. საზაფხულო სკოლაში, ADA-სა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი დაფინანსებით, მონაწილეობდა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი გვანცა ძიძიგური. საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის, წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევის გაცნობას, ისეთებისას, როგორებიცაა: პანდემია, ენერგეტიკული კრიზისი, უსაფრთხოების კრიზისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP), უკრაინის კრიზისი და, ზოგადად, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობა. https://gruni.edu.ge/main/news/1689616311 **2023 წლის 9 ივლისს** გრუნის მედიცინის, ფსიქოლოგიისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები - მარიამ მექვაბიძე, მარიამ ბრეგვაძე და ვახო ბაბუნაშვილი, გერმანიის საერთაშორისო სემინარებიდან დაბრუნდნენ. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები პარტნიორი ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთნენ და შშმ პირებთან ურთიერთობისა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის თაობაზე დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689176538 **2023 წლის 3-10 ივლისს,** გრუნის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, ნანა ბიჭაშვილი და გიორგი ლუხავა, იმყოფებოდნენ სომხეთში, ქალაქ გიუმრში და მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროექტში: „ნაბიჯი წინ კონფლიქტების მართვისკენ”. ერთკვირიან სასწავლო კურსში, რომელიც უკავშირდებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობასა და მოლაპარაკებებში კონფლიქტების მენეჯმენტს, გრუნის სტუდენტები ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთვნენ და კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის შენარჩუნების არაერთი მეთოდი შეისწავლეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689622580 **2023 წლის 3 სექტემბერს** საერთაშორისო ორგანიზაციასთან - „გლოუ საქართველო“, ერთად განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო და ლიდერული უნარების განვითარება ქართველი და ჩეხი გოგონებისთვის". სადისკუსიო თემები შეეხებოდა საზოგადოების ჩართულობასა და გენდერულ თანასწორობას. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე ჩეხი გოგონები, მათ შორის, გრუნის პროექტის - Teen Academy, გამარჯვებული

	მონაწილეები. პროექტის პირველი ნაწილი ჩატარდა ჩეხეთში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო შეხვედრა საჯარო და არაკომერციული სფეროს ლიდერებთან, მეორე კი - გრუნიში. შემაჯამებელ შეხვედრაზე გლოუკლუბის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მონაწილეებს, განიხილეს თანამედროვე, აქტუალური საკითხები და დაგეგმეს სამომავლო პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1696430548 **2023 წლის 17 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა კიდევ ერთი პროექტი განახორციელა ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან " პარტნიორობის ფარგლებში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი: ხატია მამასახლისი, ხატია ოგანესიანი და მარიამ კახნიაშვილი, 10 - დღიან სემინარებზე იმყოფებოდა რუმინეთში. პროექტის „Inclusion starts with accessibility" ფარგლებში ჩატარებული სემინარები ეხებოდა შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხს, რომელსაც მასპინძლობდა რუმინული ორგანიზაცია „Rock-Solid Foundation". https://gruni.edu.ge/main/news/1684392845 **2023 წლის 16-22 აპრილს** ჩატარდა პოლონეთის სემინარები, რომელშიც გრუნის მედიცინისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის 2 სტუდენტი: მარიამ მექვაბიძე და მარიამ ბრეგვაძე მონაწილეობდა, სემინარებზე შშმ პირებთან მუშაობისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხები განიხილეს. სემინარების ბოლოს მონაწილეებს საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცათ. https://gruni.edu.ge/main/news/1683223063 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.3	**საერთაშორისო პროგრამებისა და უნივერსიტეტის ურთიერთობის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის გაფართოება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ),

	გამოიკითხნენ სამიზნე ჯგუფის წევრები / მობილობის პროცესის მონაწილე სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები. (16),
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი ღიაა მობილობის საერთაშორისო პროცესში ყველა დაინტერესებული და შესაბამისი აკადემიური მოსწრების სტუდენტის ჩასართავად. ამ მიზნით რეგულარულად ცხადდება კონკურსი სხვადასხვა პარტნიორი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად. გრუნი, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდებს მრავალფეროვან სასტიპენდიო პროგრამებსაც სთავაზობს. აღინიშნა ისიც, რომ უნივერსიტეტი არა მარტო ზრუნავს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების მოძიებაზე, არამედ ეხმარება სტუდენტებს უცხოეთში ჩასვლის შემდეგ ადაპტაციის პროცესშიც. ამ მიზანს ემსახურება უნივერსიტეტში ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების გადაწყვეტილებაც. **სტუდენტთა მობილობა:** **4 აპრილი, 2023 წელი.** გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მედიცინის ინგლისურენოვანი საგანამანათლებლო პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების ორი სტუდენტი: ზუკა კირკიტაძე და აისელ აჯალიევა, გრუნის დაფინანსებით, ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლიან მასარიკის უნივერსიტეტში (ქალაქი ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა). დაგროვილი კრედიტები აღიარებული იქნება მშობლიური უნივერსიტეტის მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1680589062 **4 ნოემბერი, 2022 წელი.** Sciences Po Rennes -ის მიერ გამოცხადებულ სასწავლო და სასტიპენდიო კონკურსში გაიმარჯვა სამართლის სკოლის ორმა სტუდენტმა - ლია გურაბანიძემ და სანდრო გაგიშვილმა, რომლებიც იანვარში ერთი სემესტრით გაემგზავრნენ აღნიშნულ უნივერსიტეტში, ისინი ყოველთვიურად მიიღებენ სტიპენდიას 850 ევროს ოდენობით. https://gruni.edu.ge/main/news/1667623179 **2023 წლის სექტემბერში** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის ორი სტუდენტი - სალომე ნოზაძე და ლუკა ჩხენკელი, კონკურსის წესით, კლერმონ-ოვერნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამის დამამთავრებელ კურსზე ჩაირიცხა. სტუდენტების სწავლების ხარჯები ფინანსდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ და სასწავლო წლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სალომე და ლუკა მიიღებენ საფრანგეთის, კლერმონ-ოვერნის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბაკალავრიატის

	სრული კურსის დასრულების დამადასტურებელ დიპლომებს. https://gruni.edu.ge/main/news/1694753675 **2023 წლის სექტემბერში** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ორმა სტუდენტმა - ხატია ნეკაშვილმა და მარიამ ბასილაძემ, ბორდოს პოლიტიკური მეცნიერებების უმაღლეს სკოლაში (Sciences Po Bordeaux), ინგლისურენოვან პროგრამაზე, განაგრძეს სწავლა. სწავლების ხარჯები ფინანსდება საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ. ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების მიერ მოპოვებული კრედიტები, თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, აღიარებულ იქნება როგორც გრუნის, ისე სიან პო ბორდოს მიერ. https://gruni.edu.ge/main/news/1694753342 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.4	**საბაკალავრო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კომპონენტების ინტეგრირება და უცხო ენის სწავლების გაძლიერება ბრიტანეთის საკონსულოსთან, ფრანგულ ინსტიტუტსა და გოეთეს ინსტიტუტთან თანამშრომლობით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ აგვისტო,2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ). გამოიკითხნენ სტუდენტები, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელები, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები (39).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, 2022-2023 სასწავლო წელი შეიძლება დასახელდეს გრუნიში უცხო ენების, კერძოდ, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების წლად. ეს საკითხი უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის მიხედვითაც ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიმართულებად არის მიჩნეული. შესაბამისად, გრუნიმ ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის გააქტიურებით 2022 წლიდან დაიწყო ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება და ამისათვის რამდენიმე პროექტი განახორციელა საქართველოში ამერიკის საელჩოსა და ტეხასის ა&მ უნივერსიტეტის დახმარებით. კერძოდ:

2022 წლის 10 ოქტომბერს გრუნიმ, ტეხასის ა&მ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დაიწყო პირველი საპილოტე პროგრამის განხორციელება. TESOL პროგრამა ითვალისწინებს გრუნის პროფესორ-მასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიულ გადამზადებას. პროგრამა, რომელსაც ტეხასის ა&მ უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების ცენტრი უწევს ადმინისტრირებას, შესაძლებლობას აძლევს ინგლისური ენის სპეციალისტებს, განაახლონ თავიანთი ცოდნა სწავლების საუკეთესო მეთოდებისა და პრაქტიკის მიმართულებით და შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დაეხმარება, ასწავლონ ინგლისური ენა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც ფიზიკურად, ისე ვირტუალურად. პროგრამაში მონაწილეობისათვის გრუნის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად შეირჩა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებიც, **რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაძლიერების უპრეცედენტო მხარდაჭერის გამოხატულებაა.**

https://gruni.edu.ge/main/news/1665638788
https://gruni.edu.ge/main/news/1677222025

საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, სულ მომზადდა ინგლისური ენის 13 პედაგოგი, აქედან 5 გრუნის თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობიდან, 7 კი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან.

https://gruni.edu.ge/main/news/1675501192
https://gruni.edu.ge/main/news/1685769648

ნატო კოროშინაძე	**გრუნი, თბილისი**
ინდირა მაჩუტაძე	**გრუნი, ბათუმი**
თინათინ ასათიანი	**გრუნი, თბილისი**
ლამარა ქადაგიძე	**გრუნი, თბილისი**
ნინო მიქელაძე	**გრუნი, ბათუმი**
სოფო სოფრომაძე	ტყიბული
მარი ყურაშვილი	თელავი
ნინო ცისკარიშვილი	ხაშური
ესმა ანანიძე	ბათუმი
მაკო ზაქარიაშვილი	დუშეთი
ნატო ჯავახია	ლაგოდეხი
ქეთევან გოგალაძე	ხაშური
ნანა გალდავა	ფოთი

	საანგარიშო პერიოდში, ამერიკის საელჩოს დახმარებით, გაგრძელდა ინგლისური ენის სწავლების ასისტენტპროგრამა (ETA), რომლის ფარგლებშიც გრუნიში ბრენდონ ჰარდინგის შემდეგ, იმუშავებს ენის მეორე ექსპერტი მაიკ მენსფილდი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან გაუძღვება სალექციო კურსს ბიზნესინგლისური 1 და ბიზნესინგლისური 2, ასევე, სალექციო კურსს: American Culture, English Practical Skills - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მიმართულების სტუდენტებისათვის. ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა უცხო ენის სწავლების გაძლიერების საჭიროება ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე, დამსაქმებელთა რეკომენდაციით, 2023-2024 სასწავლო წელს აღნიშნულ პროგრამას დაემატება ბიზნესინგლისურის სალექციო კურსი. https://gruni.edu.ge/main/news/1670602292 https://gruni.edu.ge/main/news/1690615360 პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, ასევე, პრაქტიკული ინგლისურის ორთვიანი სასწავლო კურსი მოსწავლეებისთვისაც, პროექტში ჩაერთვებიან ის მოზარდები, რომლებსაც გააჩნდათ ენის ცოდნის შესაბამისი დონე. ინგლისური ენის ექსპერტთა პროგრამა - "English Language Fellow", ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი წარმატებული პროექტია და შესაძლებლობას აძლევს საქართველოს უნივერსიტეტებს, უმასპინძლონ ამერიკელ სპეციალისტებს, რომლებიც უახლესი მეთოდოლოგიით სრულად შეასწავლიან ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარებს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და ჩაერთვებიან სხვადასხვა პროექტსა თუ სამეცნიერო საქმიანობაში. უცხო ენის შესწავლის გაძლიერების მიზნით, საუნივერსიტეტო არჩევით კომპონენტს ფრანგულის გარდა გასულ სასწავლო წელს დაემატა ჩინური ენაც. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.5	**საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვა ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა**

მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი: საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 51 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნის სტუდენტები ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სტუდენტურ შეკრებებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში, 2022-2023 წელი ამ მხრივ გამორჩეულია, კერძოდ: **2023 წლის სექტემბერში,** ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) სრული დაფინანსებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები - ანა ურუშაძე, ბიზნესადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, მე-2 კურსი და სალომე ონეზაშვილი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, მე-2 კურსი - გაემგზავრნენ მონტენეგროში გამართულ ფრანკოფონ სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ტრადიციულად, ყოველ წელს იმართება და მასში სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები მონაწილეობენ. ამგვარი შეკრებები ფრანგული ენის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და კულტურულ - საგანმანათლებლო დანიშნულებისაა, ახალგაზრდები ეცნობიან ფრანგულ კულტურას, ტრადიციებს და ფრანგულადვე წარუდგენენ თავიანთ ქვეყანას მეგობრებს. სტუდენტები შეირჩნენ ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე. https://gruni.edu.ge/main/news/1694015246 **2023 წლის 12 ივლისი,** საქართველოში გაეროს მოდელირების საერთაშორისო ფორუმი გაიმართა, რომელშიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების წარჩინებული სტუდენტები - ნიკოლოზ ნაჭყებია და მარიამ კაპანაძე, მონაწილეობდნენ. ფორუმი ორგანიზებული იყო კანტის აკადემიის მიერ და მას საქართველო უკვე მერვედ მასპინძლობდა.ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ ჩართულიყვნენ ცოცხალი დიპლომატიური და პოლიტიკური პროცესების მოდელირებაში, მიეღოთ ცოდნა და გამოცდილება დიპლომატიის პრაქტიკული განზომილების შესახებ, მოერგოთ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლის როლი და ჩართულიყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში! https://gruni.edu.ge/main/news/1689840522 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის

	მიმართულების სტუდენტები ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს კონკურსში მონაწილეობდნენ. კონკურსანტებს ევალებოდათ ფრანგული ენის შესასწავლი თამაშების შექმნა და ფრანგულ ენაზე წარდგენა. **2023 წლის 21 ივნისს** სააგენტომ შეაჯამა შედეგები და საუკეთესო მონაწილეებად დაასახელა გრუნის სამი სტუდენტი: კესო მანჩხაშვილი, მარიამ ბასილაძე და სალომე ონეზაშვილი. ფრაკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) რეგიონალურმა დირექტორმა მოჰამედ კეტატამ გამარჯვებულ სტუდენტებს პირადად გადასცა დიპლომები ფრანგულ ენაზე შექმნილი საუკეთესო პრეზენტაციისთვის. https://gruni.edu.ge/main/news/1688044896 **2023 წლის 20 მაისს** გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის ტურიზმის მიმართულების სტუდენტები ასოცირებულ პროფესორ ერეკლე უღრელიძესთან ერთად მონაწილეობდნენ ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის XIV საერთაშორისო გამოფენის - EBIT 2023- მუშაობაში, რომლის მიზანი იყო ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების დაგეგმვა. საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა 85-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია, კერძოდ: ტურისტული კომპანიების, სასტუმროებისა და რესტორნების, სასტუმრო აღჭურვილობის მომწოდებლების, დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრების, დაცული ტერიტორიების, ღვინის მწარმოებელი კომპანიების, სადაზღვევო და სატრანსპორტო კომპანიების, მუნიციპალიტეტების, ტურიზმის დეპარტამენტებისა და ასოციაციების წარმომადგენლები. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება და მასტერკლასი. https://gruni.edu.ge/main/news/1685369445 **2023 წლის 23 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა სტუდენტური day-off-ების მიერ ორგანიზებულ პროექტს „educational party“ უმასპინძლა. პროექტში მონაწილეობდა 4 უნივერსიტეტი: სოხუმის სახელმწიფო, შავი ზღვის საერთაშორისო, გურამ თავართქილაძის სახელობისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტები. პროექტის პირველ ეტაპზე გამართული შეჯიბრი რა? სად? როდის? საინტერესოდ წარიმართა, ინტელექტუალურ თამაშში მონაწილე გუნდები ღირსეულად წარსდგენენ თანატოლების წინაშე, წარმოაჩინეს კარგი ცოდნა და სათანადო მომზადება. გამარჯვებულ გუნდს სოხუმის უნივერსიტეტიდან, საჩუქრად გადაეცა ოქროს ბუს თასი და ვაუჩერები. https://gruni.edu.ge/main/news/1682576370 **2023 წლის 29 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი - „მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციისთვის”. ღონისძიებაში გრუნისთან ერთად მონაწილეობდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის

	მეგობრები -საქართველო". ფორუმი მიეძღვნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას, მათი ინოვაციური ხედვების წარმოჩენას. გრუნიმ განსახილველად შეარჩია გაეროს მდგრადი განვითარების მე-8 მიზანი „ღირსეული სამუშაო/ეკონომიკური ზრდა". ფორუმი სადისკუსიო-პანელური ფორმატით წარიმართა. სამართლისა და ბიზნესის სკოლების სტუდენტებმა განსახილველ თემასთან დაკავშირებით იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: „მწვანე ეკონომიკა", „ღირსეული სამუშაო პირობები მდგრადი განვითარებისათვის", „დასაქმებულთა შრომითი უფლებები", „ტრეფიკინგი" და ა.შ. https://gruni.edu.ge/main/news/1680256142 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, როგორც ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს პარტნიორი, ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკოფონიის თვის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. **2023 წლის 24 მარტს** ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სამი სტუდენტი: სალომე ონეზაშვილი, კესო მანჩხაშვილი და მარიამ ბასილაძე, მონაწილეობდა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს პროექტში "შექმენი თამაში ფრანგული ენის შესასწავლად". გრუნის სტუდენტებმა ჟიურის სიმპათია დაიმსახურეს, მათ სამახსოვრო სიგელები გადაეცათ. https://gruni.edu.ge/main/news/1680069186 **2022 წლის 1 დეკემბერს** გრუნის სამართლის მიმართულების სტუდენტები: ნინი რატიანი, ნიკოლოზ ნაჭყებია, ნიკა გოჩიტაშვილი, ქეთევან თოდაძე და მარიამ ზარქუა საელჩოს მიწვევით მონაწილეობდნენ ორგანიზაცია European Nexus for Georgian Youth-ის (ENGY) ხელშეწყობით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც ფემიციდისა და სექსუალური ძალადობის საკითხებს განიხილავდა. შეხვედრას უძღვებოდნენ საელჩოს თანამშრომლები და ასევე, სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული ექსპერტი. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, სტუდენტებმა სპეციალისტებისაგან ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე და თავიანთი მოსაზრებებიც გაუზიარეს მასპინძლებს. https://gruni.edu.ge/main/news/1670213860 **2023 წლის 16 მარტს** დასრულდა მენტორობის პროგრამის მესამე ნაკადი, რომელსაც ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაცია ხელმძღვანელობს. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან პროგრამაში მონაწილეობდა სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო პროგრამის 15 სტუდენტი, როგორც თბილისის, ისე ბათუმის კამპუსიდან. სტუდენტები გასული სემესტრის განმავლობაში მუშაობდნენ მიმაგრებულ მენტორებთან ერთად. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს მენტორის, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე წარმატებული

	სპეციალისტის, თანამშრომლობას მისსავე სპეციალობის სტუდენტთან, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და კონსულტაციის გაწევას, დახმარებას პროფესიულ დაოსტატებაში, პიროვნული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კარიერისათვის მომზადებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1679239809 **2023 წლის 15 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტები: მიხეილ მაისურაძე, ქეთი ფხალაძე, ლუკა ჩხენკელი, სოფო დათუკიშვილი, მარიამ ბექოშვილი, ჰარვარდის ბიზნესსკოლის ქეისების ანალიზის კონკურსში მონაწილეობდნენ. ჰარვარდის ბიზნესქეისების რიგით მეოთხე კონკურსი TBSC Consulting-ისა და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროექტი და საქართველოში ბიზნესფაკულტეტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტუდენტებში კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას. შეჯიბრება 3 ეტაპად გაიმართა, გრუნის სტუდენტებმა წარმატებით დაძლიეს ღია რაუნდი და გადავიდნენ ნახევარფინალში. https://gruni.edu.ge/main/news/1684492199 **2023 წლის 11 მაისს** საზეიმოდ გაიხსნა ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის (ეპაგი) ერთ-ერთი წარმატებული პროექტის - მენტორობის პროგრამის, მეოთხე ნაკადი, რომელზეც საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვეული იყვნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები: ანამარია ქუთათელაძე და თინათინ ლობჯანიძე. საზეიმო ცერემონიის სტუდენტურ პანელში გრუნის სტუდენტებმა თანატოლებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს, ისაუბრეს პროგრამის ბენეფიტებზე და რჩევები მისცეს ახალი ნაკადის მონაწილეებს. https://gruni.edu.ge/main/news/1684152471 **2023 წლის 29 აპრილს** შვედური პროექტის - „ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან“, ფარგლებში, სხვადასხვა საგანამანათლებლო დაწესებულების ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში შეიკრიბენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული აზროვნების, ხედვისა და დამოკიდებულების შესახებ სასაუბროდ. დისკუსია დასრულდა ტრენინგით, „მედიახმის“ აღმასრულებელმა დირექტორმა თეონა ცხომელიძემ სტუდენტებთან ისაუბრა: „რა უნდა ვიცოდეთ შშმ პირების მედიაგაშუქებაზე?“ https://gruni.edu.ge/main/news/1683433423 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.6	**უცხოელ პროფესორთა მოწვევა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება სალექციო კურსების ჩასატარებლად**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა საერთაშორისო ინტეგრაციის სამსახურის ხელმძღვანელი და დეკანები (6)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ახალი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობები შეასაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მიიღონ ცოდნა, აიმაღლონ პროფესიული კომპეტენცია, განივითარონ უნარები და ეზიარონ საერთაშორისო გამოცდილებას. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდა. ამასთან ერთად, 2022 წლიდან გრუნი ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის ოფიციალური პარტნიორი გახდა, ის პირველი უნივერსიტეტია რეგიონში, რომელიც უერთდება 11 უნივერსიტეტის კონსორციუმს მთელს მსოფლიოში და პროგრამის - „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები პოსტკრიზისულ პერიოდში“, ფარგლებში, თავის კამპუსში უმასპინძლებს უცხოელ პროფესორებსა და მკვლევრებს. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მოწვევები:** 2022 წლის 5 სექტემბერს დასრულდა ამერიკელი მოხალისე მასწავლებლის ბრენდონ ჰარდინგის საქმიანობა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. ის ინგლისური ენის სწავლების ასისტენტპროგრამის (ETA) ფარგლებში იმყოფებოდა საქართველოში. პროგრამა აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა და მიზნად ისახავდა ინგლისური ენის მაღალი ხარისხით სწავლების ხელშეწყობას. უნივერსიტეტთან მისი 6-თვიანი თანამშრომლობა იყო მრავალმხრივი და ნაყოფიერი. ბრენდონ ჰარდინგის ხელმძღვანელობით წარიმართა პრაქტიკული ინგლისურის სწავლების კურსი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის თბილისსა და ბათუმში; მოხალისე მასწავლებელმა ინგლისური ენის ლექტორებთან ერთად იმუშავა ენის სწავლების მეთოდების დასახვეწად; მონაწილეობდა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და ვირტუალურ გაცვლით პროექტებშიც. ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის ამერიკის საელჩომ მას საქართველოში საქმიანობის ვადა 3-დან 6 თვემდე

	გაუგრძელა. https://gruni.edu.ge/main/news/1662543875 2022 წლის 27 სექტემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შვეიცარიის ლუცერნის უნივერსიტეტის პროფესორი, ტურიზმისა და მობილობის ინსტიტუტის თანახელმძღვანელი ურს ვაგენსილი ეწვია. პროფესორი ვაგენსილი საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტია ტურიზმის სფეროს ისეთი მიმართულებებისა, როგორებიცაა: ადგილმდებარეობის მარკეტინგი, ბრენდინგი და მენეჯმენტი, ადგილმდებარეობის სტრატეგია და განვითარება, მდგრადი განვითარება და სხვა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მან რექტორთან, პროფესორ მამუკა თავხელიძესთან და ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანთან, პროფესორ ვახტანგ ჭარაიასთან განიხილა საქართველოს ტურიზმის პერსპექტივები და აკადემიურ სივრცეში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, უნივერსიტეტის რექტორმა სტუმარს არაერთი საინტერესო ინიციატივა შესთავაზა. შეხვედრის დასასრულს პროფესორმა ვახტანგ ჭარაიამ პროფესორი ვაგენსილისა და მისი ადგილობრივი სტუდენტებისათვის საგანგებოდ მომზადებული ლექცია - „საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“, წაიკითხა. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია. https://gruni.edu.ge/all_news/index/480 **2022 წლის 31 ოქტომბერს** გრუნის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრისა და სამართლის სკოლის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო ლექცია სამართლისა და ტურიზმის მიმართულების სტუდენტებისთვის. დიჟონის უმაღლესი სასამართლოს იურიდიულმა ექსპერტმა, ტურიზმის სამართლის სპეციალისტმა - ნატო ტაბუცაძემ, სტუდენტებთან განიხილა „ტურიზმის სამართალი. მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია". მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა ტურისტული საწარმოს პასუხისმგებლობის შესახებ ფრანგული სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. https://gruni.edu.ge/main/news/1667450422 **2023 წლის 31 მარტს** გრუნის ყველა საფეხურის სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისათვის გაიმართა ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორების ინგა სპრინგესა და მაია კლაასენის ონლაინლექცია „დეზინფორმაცია“. ლექცია, რომელსაც 50-მდე სტუდენტი და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა, გაიმართა საქართველოში ესტონეთის ელჩის ინიციატივითა და მხარდაჭერით, რომელიც რამდენიმე თვის წინ სტუმრობდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს. ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორებმა თავიანთ სტუდენტებთან ერთად წარმოადგინეს მოხსენებები: "ტიკტოკი, როგორც პოლიტიკისა და კრემლის დეზინფორმაციის კარიბჭე: ბალტიისპირეთის მაგალითი“, „ინფორმაციის მდგრადობა: რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ?“ „დეზინფორმაციის კვლევები: ირლანდიის, ისლანდიისა და რუსეთის

	მაგალითი.“ https://gruni.edu.ge/main/news/1680590595 **2023 წლის 6 აპრილს** გრიგოლ რობაქიძისა და ტალინის უნივერსიტეტებმა უმასპინძლეს ერთობლივ ვებინარს თემაზე „რუსეთ-უკრაინის ომი“. ლექციას, რომელსაც როგორც თბილისის, ისე ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტები ესწრებოდნენ, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტიდან უძღვებოდა პროფესორი ინგა ცინცქილაძე, ხოლო ტალინის უნივერსიტეტიდან პროფესორი მეთიუ კრენდალი. გრუნის პროფესორმა დაწვრილებით განიხილა რუსეთ-უკრაინის ომი და მისი ზეგავლენა კავკასიის რეგიონზე, კონკრეტულად, საქართველოსა და მის ევროპულ მისწრაფებებზე. პროფესორმა კრანდალმა კი ისაუბრა ესტონეთზე ომის ზეგავლენის შესახებ. . https://gruni.edu.ge/main/news/1680865675 **2023 წლის 20 აპრილს,** მართლმსაჯულების სახლისა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **ბათუმის წარმომადგენლობას ეწვია აშშ-ის საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი ლენა მორტონი,** რომელმაც **22 აპრილს** სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მნიშვნელობასა და როლზე, ასევე, ამერიკული სასამართლო სისტემის პრაქტიკასა და სამართლებრივ რეფორმებზე. . https://gruni.edu.ge/main/news/1682667363 **2023 წლის 3 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ეწვია კვიპროსელი პროფესორი, ლიდერობისა და ინოვაციური ტექნოლოგიების მკვლევარი კირიაკოს კოკინოსი, რომელიც 2020-2023 წლებში კვიპროსის კვლევების, ციფრული პოლიტიკისა და ინოვაციის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. თბილისისა და ბათუმის კამპუსის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე პროფესორმა განიხილა ლიდერობა და ინოვაცია არასტაბილურ გარემოში და ისაუბრა თანამედროვე ცხოვრებაში ამ საკითხების მნიშვნელობის შესახებ. საგანგებოდ აღნიშნა უნივერსიტეტის განსაკუთრებული როლისა და დანიშნულების შესახებ, როგორც ცოდნის მიღების, ისე ლიდერული უნარების განვითარებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1683432242 **2023 წლის 22 მაისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა ამერიკის კრიმინოლოგიის საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორ კრის ესკრიჯის საჯარო ლექცია: **„დანაშაული და მართლმსაჯულება, კრიმინოლოგიის ზეგავლენის გაძლიერება 21-ე საუკუნეში“** ლექცია ინტერაქტიური ფორმატით მიმდინარეობდა და სტუმარმა მიმოიხილა 21-ე საუკუნის პრობლემური ძალები და

	ფაქტორები: მიგრაცია, დემოგრაფია, ფუნდამენტალიზმი, გლობალურ ძალთა ცვლილება, შიდა უთანხმოებები, ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობა, მემარჯვენე ნაციონალიზმი, ორგანიზაციების მიერ ჩადენილი დანაშაულობები, დეფიციტი და სხვა აქტუალური საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1686464145 **2023 წლის 27 მაისიდან** ერთი კვირის განმავლობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდა პოლონელი პროფესორი პეტრე მისტალი, რომელიც Erasmus+ -ის პროგრამის ფარგლებში ჩამოვიდა იან კოხონოვსკის უნივერსიტეტიდან. პოლონელმა პროფესორმა ლექციები წაიკითხა ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისათვის, https://gruni.edu.ge/main/news/1687402873 **2023 წლის 13 ივნისს,** ჰარვარდის ბიზნესსკოლის სასწავლო კურსის - „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ (MOC), ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ონლაინლექცია თემაზე: **„ინოვაციები და კონკურენტუნარიანობა ძლიერი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მშენებლობისათვის“.** შეხვედრას ესწრებოდნენ გრუნის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, რომლებმაც საინტერესო დისკუსია გამართეს ჰარვარდის აფილირებულ პროფესორ კენეტ ჩარმანთან. პროფესორი კენეტ ჩარმანი ჰარვარდის ბიზნესსკოლის MOC-ის აზიის საბჭოს თავმჯდომარეა. https://gruni.edu.ge/main/news/1687407620 **2023 წლის 22 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის მიმართულების სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია ჩაატარა გრუნის პროფესორმა, ამერიკელმა ქირურგმა, ენდრიუ გამბსმა. საჯარო ლექციაზე განიხილეს: „ხელოვნური ინტელექტის როლი ქირურგიაში და ქირურგიის განვითარებად დარგებში“. პროფესორის საუბარი ფოკუსირებული იყო ავტონომიურ ქმედებებზე ქირურგიაში და იმაზე, თუ როგორ შეძლო ახალმა მიდგომამ, ხელოვნურმა ინტელექტმა, რევოლუცია მოეხდინა ქირურგიული პაციენტების მკურნალობაში. ლექციის დამთავრების შემდეგ დასმული იყო მრავალი საინტერესო კითხვა, ლექციის თემატიკამ სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია. https://gruni.edu.ge/main/news/1688012444 **2023 წლის 31 აგვისტოს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის გაიმართა ვორქშოფი „საერთაშორისო დიალოგი: გამოწვევები თანამედროვე აკადემიურ სისტემაში". ვორქშოფს უძღვებოდა ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი **სევერინ ჰორნუნგი,** რომელმაც მონაწილეებს გაუზიარა

	საკუთარი გამოცდილება ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნების განვითარება სწავლის პროცესში, აკადემიური თავისუფლება, სასწავლო პროცესში სტუდენტებთან უკუკავშირის პროცესის მართვა და სხვა. სწავლების პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ისაუბრეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებმაც. https://gruni.edu.ge/main/news/1693841033 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.3.7	**სასწავლო ტურების ორგანიზება ევროპის ქვეყნებში;**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 21 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პროექტებში, რომლებიც ფორმალური და არაფორმალური განათლების საკითხებს განიხილავდა და თეორიულ ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღეს. **განხორციელებული პროექტები:** 2023 წლის 22-23 მაისს გრუნის სამართლის სკოლის დოქტორანტი ნინო ენდელაძე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის ქალაქ რომში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სპეციალური მიღება იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვიცე- პრეზიდენტთან, დარია დე პრეტისთან. შეხვედრაზე განხილეს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი და იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) სათავო ოფისში, განიხილეს მიმდინარე საქმიანობა, არსებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები.

	https://gruni.edu.ge/main/news/1687779818 **2023 წლის 9 ივლისს** გრუნის მედიცინის, ფსიქოლოგიისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები - მარიამ მექვაბიძე, მარიამ ბრეგვაძე და ვახო ბაბუნაშვილი, გერმანიის საერთაშორისო სემინარებიდან დაბრუნდნენ. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები პარტნიორი ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთნენ და შშმ პირებთან ურთიერთობისა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის თაობაზე დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689176538 **2023 წლის 3-10 ივლისს,** გრუნის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, ნანა ბიჭაშვილი და გიორგი ლუხავა, იმყოფებოდნენ სომხეთში, ქალაქ გიუმრში და მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროექტში: „ნაბიჯი წინ კონფლიქტების მართვისკენ". ერთკვირიან სასწავლო კურსში, რომელიც უკავშირდებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობასა და მოლაპარაკებებში კონფლიქტების მენეჯმენტს, გრუნის სტუდენტები ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთვნენ და კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის შენარჩუნების არაერთი მეთოდი შეისწავლეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689622580 **2023 წლის 3 სექტემბერს** საერთაშორისო ორგანიზაციასთან - „გლოუ საქართველო“, ერთად განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო და ლიდერული უნარების განვითარება ქართველი და ჩეხი გოგონებისთვის". სადისკუსიო თემები შეეხებოდა საზოგადოების ჩართულობასა და გენდერულ თანასწორობას. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე ჩეხი გოგონები, მათ შორის, გრუნის პროექტის - Teen Academy, გამარჯვებული მონაწილეები. პროექტის პირველი ნაწილი ჩატარდა ჩეხეთში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო შეხვედრა საჯარო და არაკომერციული სფეროს ლიდერებთან, მეორე კი - გრუნიში. შემაჯამებელ შეხვედრაზე გლოუკლუბის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მონაწილეებს, განიხილეს თანამედროვე, აქტუალური საკითხები და დაგეგმეს სამომავლო პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1696430548 **2023 წლის 17 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა კიდევ ერთი პროექტი განახორციელა ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან “ პარტნიორობის ფარგლებში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი: ხატია მამასახლისი, ხატია ოგანესიანი და მარიამ კახნიაშვილი, 10 - დღიან სემინარებზე იმყოფებოდა რუმინეთში. პროექტის „Inclusion starts with accessibility" ფარგლებში ჩატარებული

	სემინარები ეხებოდა შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხს, რომელსაც მასპინძლობდა რუმინული ორგანიზაცია „Rock-Solid Foundation“. https://gruni.edu.ge/main/news/1684392845 **2023 წლის 16-22 აპრილს** პოლონეთში ჩატარდა სემინარები, რომელშიც გრუნის მედიცინისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის 2 სტუდენტი: მარიამ მექვაბიძე და მარიამ ბრეგვაძე მონაწილეობდა, სემინარებზე შშმ პირებთან მუშაობისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხები განიხილეს. სემინარების ბოლოს მონაწილეებს საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცათ. https://gruni.edu.ge/main/news/1683223063 **2023 წლის 12–23 ივნისს,** ბაქოში, ADA-ს უნივერსიტეტისა (აზერბაიჯანი) და განვითარებისა და დიპლომატიის ინსტიტუტის (IDD) ორგანიზებით, კა'ფოსკარის უნივერსიტეტთან (იტალია) პარტნიორობით, გაიმართა 2-კვირიანი საზაფხულო სკოლა „ევროკავშირი და ახალი გლობალური კონტექსტის გამოწვევები“. საზაფხულო სკოლაში, ADA-სა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი დაფინანსებით, მონაწილეობდა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი გვანცა ძიძიგური. საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის, წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევის გაცნობას, ისეთებისას, როგორებიცაა: პანდემია, ენერგეტიკული კრიზისი, უსაფრთხოების კრიზისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP), უკრაინის კრიზისი და, ზოგადად, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობა. https://gruni.edu.ge/main/news/1689616311 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.1	**დამსაქმებლებთან შეხვედრების, მასტერკლასების, საჯარო ლექციების, დასაქმების ფორუმების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ონლაინ გამოიკითხნენ: დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის წევრები, სტუდენტები (22), შეფასდა გაწეული საქმიანობა.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას დამსაქმებლებთან. საანგარიშო პერიოდში გრუნიმ სტუდენტებს დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობები შესთავაზა, კერძოდ: შეხვედრები დამსაქმებლებთან, მასტერკლასები, საჯარო ლექციები, დასაქმების ფორუმები თბილისსა და ბათუმში და სხვა: **კონკრეტული ღონისძიებები:** საჯარო სამსახურის ბიურომ დაიწყო სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის მე-17, საშემოდგომო, ნაკადი, რომელშიც გრუნის 15 სტუდენტი ჩაერთო. https://gruni.edu.ge/main/news/1662721350 **2022 წლის 24-26 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა დასაქმების მასშტაბურ ფორუმს უმასპინძლა. ფორუმში მონაწილეობდა 32 ქართული და საერთაშორისო კომპანია, როგორც მომსახურების, ისე წარმოებისა და ტექნოლოგიების სფეროებიდან. კომპანიების წარმომადგენლებმა ფორუმის მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია მათთან არსებული დასაქმების, სტაჟირებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ასევე, სტუდენტებისათვის სპეციალურად შემუშავებული დასაქმების პროგრამები. სტუდენტები გაესაუბრნენ სასურველი კომპანიების წარმომადგენლებს და დაუტოვეს პირადი მონაცემები (CV). დასაქმების ფორუმის ფარგლებში უნივერსიტეტსა და კომპანიებს შორის დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა. https://gruni.edu.ge/main/news/1667833535 **2022 წლის 16 ნოემბერს** კომპანია Majorel-ის წარმომადგენლები დასაქმების საკითხებზე სასაუბროდ გრუნის სტუდენტებს ეწვივნენ. მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდებს გააცნეს ინფორმაცია კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობებისა და ახალი პროექტების შესახებ. განიხილეს სტუდენტებისათვის მომზადებული სპეციალური შეთავაზებები, ისაუბრეს უნივერსიტეტთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხებზეც. უპასუხეს სტუდენტების კითხვებს. Majorel-ი აუთსორსინგის მომსახურებას უწევს მსოფლიოში ცნობილ კომპანიებს. https://gruni.edu.ge/main/news/1669725924 **2022 წლის 22 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისთვის გაიმართა შეხვედრა საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის კომუნიკაციების დირექტორთან **ნინი კაპანაძესა** და სასტუმრო Radisson Blu Iveria Tbilisi-ის HR დეპარტამენტის სპეციალისტ **ლიზა გეჯაძესთან.** შეხვედრაზე განიხილეს მარიოტში, შერატონსა და რედისონში USAID-ისა და AMCHAM-ის დაფინანსებით გამოცხადებული ანაზღაურებადი

	სტაჟირების საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1672983727 **2022 წლის 16 დეკემბერს** საპენსიო სააგენტოს წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, განიხილეს საპენსიო ფონდის საქმიანობა, დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრას უძღვებოდნენ საპენსიო სააგენტოს დირექტორი გიორგი დანელია და სააგენტოს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი გოგა მელიქიძე. სააგენტოს დირექტორმა დეტალურად მიმოიხილა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებთ ამ პროგრამაში ჩართულ მოქალაქეებს. უფროსმა საინვესტიციო ოფიცერმა სტუდენტებს გააცნო სააგენტოში მიმდინარე საინვესტიციო პროცესები და ყურადღება გაამახვილა წმინდა ამონაგების როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე, აღწერა საერთაშორისო ბაზრის რეალური სურათი და 2023 წლის სამოქმედო გეგმა. https://gruni.edu.ge/main/news/1671610555 **2022 წლის 20 დეკემბერს** უნივერსიტეტმა უმასპინძლა 21-მდე კომპანიას, რომლებიც დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მხარდაჭერით იქნა მოწვეული.ფორუმი გახსნეს: რექტორის მოადგილეებმა გულიკო გალდავამ, ვახტანგ ჭარაიამ და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა ნინო ველთაურმა.სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სხვადასხვა ვაკანსია შესთავაზეს კომპანიებმა: თეგეთა მოტორსმა, საქართველოს ბანკმა, ბანკმა კრედომ, ნავნემ, გრინვეი საქართველომ, ამბოლმა, ევექსმა, შპს ტრანსპორტერმა, ელიტელექტრონიქსმა, შპს „ჯი არ სიმ“, ელ თი ბიმ, აჭარა ჯგუფმა და სხვა. ფორუმის დასრულების შემდგომ რექტორის მოადგილეებმა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელთან განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხები, სტუდენტთა კარიერული მომზადებისათვის განსახორციელებელი პროექტები და აქტივობები. https://gruni.edu.ge/main/news/1672983368 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში, ბიზნესის და მართვის სკოლის ორგანიზებით, გაიმართა დასაქმების ფორუმი. ფორუმი ოფიციალურად გახსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ. ფორუმში ტურისტული პროფილის 20-ზე მეტი კომპანია მონაწილეობდა, მათ შორის, ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმი, აჭარის ა/რ ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია, სასტუმრო ჰილტონი, ტურისტული სააგენტო „Akartour“, ვენდი დანკინი, ნიკორა, ლიბრე, კომპანია „Grand Gloria”, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, აჭარის დასაქმების სააგენტო და სხვა.სტუდენტები პირისპირ შეხვდნენ დამსაქმებლებს, გაესაუბრნენ, გაეცნენ სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებს და თავიანთი მონაცემები დაუტოვეს კომპანიების წარმომადგენლებს.დასაქმების

	ფორუმის გახსნის ღონისძიებას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე დაესწრო. https://gruni.edu.ge/main/news/1672330282 **2022 წლის 13 დეკემბერს,** კარფურის წარმომადგენლები გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ეწვივნენ და სტუდენტებს გააცნეს მენეჯერთა მომზადების უპრეცედენტო პროგრამა, რომელიც მოიცავს 6-თვიან სწავლებას. პროგრამაში ჩართული სტუდენტები შეისწავლიან ზოგადი მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ლოჯისტიკის საკითხებს და პრაქტიკულად გაეცნობიან ყველა იმ ოპერაციას, რაც ხორციელდება კომპანიაში. სწავლის პერიოდში სტუდენტები მიიღებენ ანაზღაურებას 700 ლარის (ხელზე) ოდენობით. ტრენინგების დასრულების შემდეგ სტუდენტები დასაქმდებიან მენეჯერულ პოზიციაზე. ახალი პროგრამის სწავლებაში ჩაერთნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, კომპანიამ კონკურსის საფუძველზე შეარჩია, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის 4 სტუდენტი, ოთხივე ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლიდან: ლუკა ჩხენკელი, მარიამ ტეტუნაშვილი, თეკლე ჯიშკარიანი, ილონა ქარდავა https://gruni.edu.ge/main/news/1671033824 https://gruni.edu.ge/main/news/1675500249 გრუნის მოწვევით, უკრაინელმა სტუდენტმა ანისია როკაჩოვამ სტაჟირება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიარა. ანისია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის (აბუ-დაბი) მეორე კურსის სტუდენტია, რომელმაც 2021-2022 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში (ივლისი-აგვისტო) არაანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურში. უკრაინელმა სტუდენტმა შეისწავლა სტრატეგიული გეგმის მომზადების მთავარი პრინციპები, მათი მნიშვნელობა და დანიშნულება, მოამზადა გრუნისა და მშობლიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ანალიზი და წარმოადგინა საინტერესო პრეზენტაცია და წინადადებები ორი თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1662464522 **2022 წლის 10 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურთან. ინიციატივა გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლას ეკუთვნის. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი ხელი შეუწყონ სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მემორანდუმით გათვალისწინებულია საქსტატში სტუდენტების სტაჟირება და სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევის ფარგლებში გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება.მემორანდუმის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ აღნიშნა, რომ

	თანამშრომლობის ფარგლებში სამსახური წარჩინებული სტუდენტების დასაქმების საკითხსაც განიხილავს.ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გოგიტა თოდრაძემ ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისათვის წაიკითხა ლექცია: „ოფიციალური სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები“. მან სტუდენტებს გააცნო სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ბოლო პერიოდში საქსტატში განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები. https://gruni.edu.ge/main/news/1665501718 **2023 წლის 16 ივნისს** ბიზნესისა და მართვის სკოლაში გაიმართა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საცალო ვაჭრობის, წარმოების, ფინანსებისა და ტურიზმის სფეროებიდან. სხდომის მიზანს წარმოადგენდა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის დამსაქმებლებისგან რჩევების მიღება, მოსაზრებების გაზიარება და გაცვლა. ამასთან ერთად, სხდომაზე განიხილეს სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების საკითხებიც, რათა სწავლის პერიოდშივე ახალგაზრდებმა შეიძინონ ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც უდავოდ წაადგებათ პროფესიულ საქმიანობაში, აღიჭურვონ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით. https://gruni.edu.ge/main/news/1687777215 **2023 წლის 22 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდა ბიზნესმენი გიორგი სვანიძე. საჯარო ლექციაზე, რომელსაც გრუნის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ, მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა ბიზნესის წამოწყებისა და სწორად წარმართვის, ასევე, თავისი გამოცდილებისა და იმ წარმატების შესახებ, რომელსაც მიაღწია ზეთისხილის კულტურის საქართველოში შემოტანითა და გაშენებით. გიორგი სვანიძემ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის მიერ ნაკუთხი ზეთისხილის ნერგები, რომელთა დარგვაშიც, სტუდენტებთან, პროფესორებთან და უნივერსიტეტის რექტორთან მამუკა თავხელიძესთან ერთად, თავადაც მიიღო მონაწილეობა. https://gruni.edu.ge/main/news/1687762155 **2023 წლის 21 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ტურიზმის მიმართულების სტუდენტებისთვის გაიმართა საერთაშორისო გიდის მთვარისა თარხნიშვილის მასტერკლასი მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა საერთაშორისო ტურიზმის როლზე საქართველოსა და თურქეთში. განიხილა ტრაპიზონში დაგეგმილი სასწავლო-შემეცნებითი ტურის ორგანიზაციული საკითხებიც. ტური 1-3 აპრილს უნივერსიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდება.

	https://gruni.edu.ge/main/news/1679631099 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის მიმართულების სტუდენტებს შსს აკადემიის მთავარი ინსტრუქტორი, პოლიციის მაიორი ოთარ ჯავახაძე ეწვია. საჯარო ლექციაზე სტუმარმა ისაუბრა სპეციფიკურ და ამავდროულად, მნიშვნელოვან საკითხზე, განიხილა იარაღის ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. სტუდენტები გაეცნენ მსოფლიოში იარაღის განვითარების ისტორიას, სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, იაპონია, ჩეხეთი, შვეიცარია, ინგლისი, ყაზახეთი, ავსტრალია) გამოცდილებასა და შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებს, განიხილეს ამ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტები. https://gruni.edu.ge/main/news/1680860003 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ასოცირებულ პროფესორ **ნინო ხახუბიასთან ერთად** სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმში“ იმყოფებოდნენ. სტუდენტები გაეცნენ სასტუმროს საქმიანობის სპეციფიკასა და სტრატეგიას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და ურთიერთდამოკიდებულებას, სტუმრებთან ურთიერთობისა და მომსახურების ხარისხის სტანდარტებს, დაათვალიერეს სხვადასხვა კატეგორიის სასტუმრო ნომერი, საკონფერენციო დარბაზი და სპა. https://gruni.edu.ge/main/news/1681123447 2023 წლის 1-3 აპრილს ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტებისთვის განხორციელდა სასწავლო-შემეცნებითი ტური თურქეთში. ტურში 45 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. ტრაპიზონში მათ მოინახულეს სუმელას მონასტერი, უზუნგოლის ტბა, პატარა აია-სოფიას ტაძარი და სხვა ღირსშესანიშნაობები. ასევე, ეწვივნენ რიზეს ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტს. სამუშაო შეხვედრის შემდეგ ჩატარდა ტრენინგი საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით (იხ. ბმული https://goo.su/vWPP). მხარეები შეთანხმდნენ სამომავლო თანამშრომლობის შესახებაც. სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები. ტური განხორციელდა უნივერსიტეტის თანადაფინანსებით. https://gruni.edu.ge/main/news/1682173464 **2023 წლის 21 აპრილს,** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა უკვე მეორედ უმასპინძლა ლონდონში დაფუძნებული სტარტაპკომპანია „Pensight“-ის ზრდისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსს, თენგო მესხს, რომელიც ვიზიტით იმყოფება საქართველოში. ლონდონში დაფუძნებული სტარტაპ კომპანია 2021 წლიდან გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პარტნიორია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს პლატფორმას, რომელიც აკავშირებს ექსპერტებს აუდიტორიასთან. სტარტაპკომპანიის წარმომადგენელმა, ეკონომიკის

	პრინციპების ლექციის ფარგლებში, სტუდენტებისათვის ჩაატარა ინგლისურენოვანი საჯარო ლექცია თემაზე: "ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც ბიზნესის ზრდის ახალი პარადიგმა". https://gruni.edu.ge/main/news/1682236197 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის პირველი კურსის სტუდენტი, ანი არსენაძე, რომელმაც წარმატებით გაიარა შესარჩევი ეტაპები, ლონდონის სტარტაპკომპანია „Pensight-ში გაივლის სტაჟირებას.წარმატებული კომპანია ინვესტირებას განახორციელებს სტაჟიორის სწავლებაში და ანი არსენაძეს მისცემს შესაძლებლობას, ნახოს, თუ როგორ მუშაობს მაღალტექნოლოგიური კომპანია შიგნიდან და გააცნობს შესაძლებლობების სპექტრს, რომელიც ხელმისაწვდომია ამ ინდუსტრიაში. აღნიშნული საშუალებას მისცემს გრუნის სტუდენტს მიიღოს გამოცდილება მარკეტინის სფეროში და განივითაროს პროფესიული და საქმიანი უნარ-ჩვევები.2023 წლის 21 აპრილს ანის შესაძლებლობა ჰქონდა უნივერსიტეტში პირადად შეხვედროდა Pensight-ის ზრდისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსს, თენგო მესხს, რომელიც ვიზიტით იმყოფება საქართველოში და ესაუბრათ მომავალი საქმიანობის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1682406340 **2023 წლის 26-27 აპრილს** დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ბათუმში, სასტუმრო „შერატონში", გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელზეც 70 -ზე მეტი მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი 2 000-მდე ვაკანსიით იყო წარმოდგენილი. ფორუმზე სამუშაოს მაძიებელს შესაძლებლობა ჰქონდა, შეხვედროდა დამსაქმებლებს, გასაუბრებოდა სასურველი ვაკანსიის თაობაზე და წარმოეჩინა საკუთარი უნარები პირდაპირი კომუნიკაციის მეშვეობით. დასაქმების ორდღიან ფორუმში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ფორუმის მონაწილეებს გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სახელით გადაეცა საინფორმაციო ბროშურები და სასაჩუქრე პაკეტები. https://gruni.edu.ge/main/news/1684154029 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კომპანია "ავტობანის" დამფუძნებელმა- ბაკურ ხუნდაძემ, საჯარო ლექცია ჩაატარა. მოწვეულმა სტუმარმა სტუდენტებს კომპანიის დაარსებისა და განვითარების ისტორია გააცნო, გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და უპასუხა მათ კითხვებს. ამასთან ერთად, ავტობანის წარმომადგენლებმა ბიზნესის სკოლის სტუდენტებს მათთან არსებული ვაკანსიები გააცნეს, პროგრამის ხელმძღვანელთან ისაუბრეს სტუდენტების დასაქმების, სტაჟირებისა და პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის განსხვავებული ფორმით შეთავაზების შესახებ. შეხვედრის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბიზნესის სკოლის სტუდენტები, საველე ლექციის

	ფარგლებში, ესტუმრებიან კომპანია „ავტობანს“. https://gruni.edu.ge/main/news/1683605117 ბათუმში, სასტუმრო „Radisson Blu Batumi“-ში, გაიმართა კომპანია Marketer.ge-ისა და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროექტის - „Investhub“, პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ფინანსებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები: გოგიტა გოგრაჭაძე, რუსუდან ანთაძე, დიანა სალაძე, ნიკოლოზ მირცხულავა და ლაშა ანკუბაია. პროექტი მოიცავდა ლექცია-მასტერკლასს ინვესტირების შესახებ, მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ინვესტირების მარტივად დაწყებისა და ისეთი ცნობილი კომპანიების აქციონერად გახდომის შესახებ, როგორებიცაა, მაგალითად, Microsoft, Apple, Tesla და ა. შ. https://gruni.edu.ge/main/news/1684385115 **2023 წლის 10 მაისს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სამსახურის ორგანიზებით, დასაქმების პლატფორმა Sfero.ge-ის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი - სანდრო ბოლქვაძე, ეწვია სტუდენტებს. შეხვედრა წარიმართა ინტერაქციულ ფორმატში და მოწვეულმა სტუმარმა 400-ზე მეტი ვაკანსიისა და დასაქმების სხვადასხვა (მათ შორის, საზაფხულო) პროგრამის შესახებ გაუზიარა ინფორმაცია ახალგაზრდებს. შეხვედრაზე აღმასრულებელმა დირექტორმა დასაქმების პლატფორმის - „სფერო“, შესახებაც წარმოადგინა ინფორმაცია, ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი სამსახურმა გიპოვოს თავად და არა პირიქით. https://gruni.edu.ge/main/news/1684154871 **2023 წლის 20 მაისს** გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის ტურიზმის მიმართულების სტუდენტები ასოცირებულ პროფესორ ერეკლე უღრელიძესთან ერთად მონაწილეობდნენ ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის XIV საერთაშორისო გამოფენის - EBIT 2023- მუშაობაში. EBIT 2023-ის მიზანი იყო ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების დაგეგმვა. საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობას იღებდა 85-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია, კერძოდ: ტურისტული კომპანიების, სასტუმროებისა და რესტორნების, სასტუმრო აღჭურვილობის მომწოდებლების, დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრების, დაცული ტერიტორიების, ღვინის მწარმოებელი კომპანიების, სადაზღვევო და სატრანსპორტო კომპანიების, მუნიციპალიტეტების, ტურიზმის დეპარტამენტებისა და ასოციაციების წარმომადგენლები. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება და მასტერკლასი. https://gruni.edu.ge/main/news/1685369445

	2023 წლის 23 მაისს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობას ეწვია "ლისინ" ჯგუფის ხელმძღვანელი კამბოჯიდან - **ჰეივარდ იუნგი** და საქართველოს რეგიონის HR-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ნათია ბარბაქაძე.** შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა „ლისინ" ჯგუფის მიერ დაარსებული „ბათუმის ფესტივალის" ფარგლებში, ზაფხულის მთელი სეზონის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციაზე სტუდენტებისთვის დასაქმების შეთავაზება. https://gruni.edu.ge/main/news/1685595194 **2023 წლის 25 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამის პრეზენტაცია. აჭარის დასაქმების სააგენტოს სპეციალისტებმა ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან წარადგინეს ის პროგრამები, რომლის ფარგლებში სტუდენტები ახალ პროფესიულ უნარებს სწავლასთან თავსებადი გრაფიკით დაეუფლებიან. პროგრამა ხორციელდება სპეციალურად სტუდენტისთვის შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო მოდულით, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, სტაჟირებას პროფესიული მიმართულებით. პროგრამის მოსარგებლეთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით და 2023 წელს "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამით სარგებლობა შეუძლია 50 სტუდენტს. სტუდენტები დამატებით გაივლიან მოკლევადიან სპეციალიზირებულ ტრენინგკურსებსაც. https://gruni.edu.ge/main/news/1685598043 **2023 წლის 27-28 მაისს** ბათუმში გაიმართა Georgian Startup Summit და Startup World Cup National Competition 2023, რომლის პარტნიორი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. ღონისძიებაში 300-ზე მეტი წარმატებული კომპანია მონაწილეობდა. მსგავსი ღონისძიება მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში იმართება და თითოეული მათგანი გამარჯვებულს აგზავნის სილიკონის ველზე $1,000,000 ოდენობის საპრიზო ფონდის მოსაპოვებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1685719968 **2023 წლის 8 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობას სტუმრობდნენ კომპანიის - *„Cenomi Retail"*, წარმომადგენლები. შეხვედრაზე დამსაქმებლებმა სტუდენტებს გააცნეს ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ვაკანსიები 5 ძირითადი მიმართულების 250-ზე მეტი ვაკანტური ადგილით. ვაკანსიების გაცნობის შემდეგ დაინტერესებულმა სტუდენტებმა ადგილზე შეავსეს აპლიკაციები. "Cenomi Retail" მოდის სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მრავალფეროვანი პორტფოლიოს მქონე კომპანიაა. ჯგუფი 90-მდე ცნობილ ბრენდს აერთიანებს და კავკასიაში, ცენტრალურ

	აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ამერიკაში 2000-ზე მეტ მაღაზიას ფლობს. https://gruni.edu.ge/main/news/1687402127 **2023 წლის 9 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლამ უმასპინძლა პარტნიორი კომპანიის - Pulsar Al-ის, თანადამფუძნებელსა და საოპერაციო დირექტორს, სოფო ჭყოიძეს. Pulsar Al-მა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით საავტომობილო ინდუსტრიაში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია და ეს ქართული სტარტაპი ციფრული გაყიდვების სისტემების გლობალურმა ლიდერკომპანია - SpinCar-მა, შეიძინა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი 2022 წლიდან თანამშრომლობს Pulsar AI-თან. სტუმარმა სტუდენტებს გააცნო სტარტაპკომპანიების საქმიანობის განხორციელების თავისებურებანი, პრინციპები, საქმიანობის წარმართვის სწორი დაგეგმარება და ბიზნესის მართვის სხვა აქტუალური საკითხები. https://gruni.edu.ge/main/news/1686808643 **2023 წლის 15 ივნისს** გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლამ ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის მოიწვია დარგის სპეციალისტი, ტურისტული კომპანია „მიმინო თრეველის“ დსთ-ს ტურიზმის დეპარტამენტის უფროსი - **ლანა რამიშვილი,** რომელმაც დისციპლინის - ტუროპერეიტინგი, სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში წაიკითხა ლექცია. ლექციაზე განსახილეს: ტურისტული კომპანიის მუშაობის მოდელები საქართველოში, ტურისტული პროდუქტი და მისი შექმნის სპეციფიკა, პარტნიორ ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის შიდა სისტემები, სამიზნე ბაზრები, საერთაშორისო პარტნიორები, ტურისტული დოკუმენტაციის წარმოება, მრავალფეროვანი ტურების შეთავაზება, ჯგუფური და ინდივიდუალური ტურების შექმნისა და გაყიდვის თავისებურებები და ა.შ. https://gruni.edu.ge/main/news/1689086228 **2023 წლის 3 ივლისს** გრუნის სამართლის სკოლის სტუდენტებთან ნოტარიუსის პროფესიის მნიშვნელობისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ საჯარო ლექცია წაიკითხა ნოტარიუსმა, უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორმა თეა ედიშერაშვილმა. საჯარო ლექციაზე ნოტარიუსმა ისაუბრა ქვეყნის სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სანოტარო სისტემის ფუნქციონირების განსაკუთრებული როლისა და იმ ბენეფიტების შესახებ, რასაც სისტემა სთავაზობს თანამშრომლებს. საჯარო ლექცია ინტერაქტიული ფორმატით მიმდინარეობდა, სტუმარმა ამომწურავად უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1690005767 **2023 წლის 8 ივლისს,** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა ბიზნესისა და მართვის სკოლის

	შიდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვორქშოპი, რომელზეც განიხილეს საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევის შუალედური შედეგები. კვლევის მიზანი გახლდათ ტურიზმისა და მასპინძლობის წარმომადგენელთა დამოკიდებულების შესწავლა ტურიზმის სფეროში ციფრული პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს აჭარის რეგიონში მოქმედ სხვადასხვა ტურისტულ ბიზნესში ციფრული პროდუქტების გამოყენებისა და კომპანიების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების საკითხი. შეხვედრას ესწრებოდნენ აჭარის მასპინძლობის ინდუსტრიის წარმომადგენლები ბათუმის ბულვარის დირექტორის მოადგილე სოფიო ლაზიშვილი, Green Side Aparthotel-ის გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუნჭულია, ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი - სალომე ბესტაევა. https://gruni.edu.ge/main/news/1690040947 გრუნისა და საქსტატს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ საქსტატის მოსახლეობის აღწერის პროექტში, 2 კვირის განმავლობაში იმუშაონ მათზე მორგებული გრაფიკით და მიიღონ 500 - ლარიანი ხელფასი. https://gruni.edu.ge/main/news/1692421300 **2023 წლის 7 მარტს** გრუნის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრისა და მედიცინის სკოლის ორგანიზებით, უცხოელი სტუდენტებისათვის გაიმართა საჯარო ლექცია: „შაქრიანი დიაბეტის დიაგნოსტირებისა და მართვის თანამედროვე პრინციპები“. ლექციას უძღვებოდა ექიმი-ენდოკრინოლოგი, ენდოკრინოლოგიისა და კლინიკური უნარების მოწვეული ლექტორი - გვანცა მენოგნიშვილი. საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ამ სფეროში არსებულ გამოწვევებს, წარმოებულ უახლეს კვლევებსა და მიღწევებს. https://gruni.edu.ge/main/news/1678345270 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.2	**დასაქმების კლასტერების შექმნა, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გაერთიანებას დასაქმების სფეროს ნიშნით**

მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ), გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის 11 წევრი. შემოწმდა გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გააქტიურა საქმიანობა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ: თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სხვადასხვა პროფილის 28 კომპანიასთან, სასწავლო წლის განმავლობაში თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა დასაქმების 4 ფორუმი, რომლებშიც 500-მდე სტუდენტი და კურსდამთავრებული მონაწილეობდა. უნივერსიტეტმა უმასპინძლია 100-მდე სხვადასხვა კომპანიას. კარგ პრაქტიკად ჩამოყალიბდა დამსაქმებლების მოწვევა და სკოლებთან არსებულ დამსაქმებელთა კომიტეტის სხდომებზე საერთო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. გრუნის ოფიციალური პარტნიორია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელთანაც წარმატებით თანამშრომლობს. გაწეული მუშაობის შედეგია, რომ დღეს უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 85%-ს შეადგენს. ამასთან, უნივერსიტეტმა, წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილებისა და არსებული თანამშრომლობის პირობებში, მიიღო გადაწყვეტილება სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან იმუშაოს კლასტერული პრინციპით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა აღნიშნულ კონცეფციაზე. პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტთა მხარდაჭერის კლასტერის შექმნა. ახალი გამოცდილება კლასტერული პრინციპით თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა მიმართულებით უკვე ახალი სასწავლო წლიდან განხორციელდება https://gruni.edu.ge/main/news/1707367276 https://www.gruni.edu.ge/main/news/1703248384. **დასაქმების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები:** **2023 წლის 8 ივლისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა ბიზნესისა და მართვის სკოლის შიდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვორქშოპი, რომელზეც განიხილეს საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევის შუალედური შედეგები. კვლევის მიზანი გახლდათ ტურიზმისა და მასპინძლობის წარმომადგენელთა დამოკიდებულების შესწავლა ტურიზმის სფეროში ციფრული პროდუქტების გამოყენებასთან

	დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს აჭარის რეგიონში მოქმედ სხვადასხვა ტურისტულ ბიზნესში ციფრული პროდუქტების გამოყენებისა და კომპანიების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების საკითხი. https://gruni.edu.ge/main/news/1690040947 **2023 წლის 16 ივნისს** ბიზნესისა და მართვის სკოლაში გაიმართა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები საცალო ვაჭრობის, წარმოების, ფინანსებისა და ტურიზმის სფეროებიდან. სხდომის მიზანს წარმოადგენდა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის დამსაქმებლებისგან რჩევების მიღება, მოსაზრებების გაზიარება და გაცვლა. ამასთან ერთად, სხდომაზე განიხილეს სტუდენტთა დასაქმებისა და სტაჟირების საკითხებიც, რათა სწავლის პერიოდშივე ახალგაზრდებმა შეიძინონ ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც უდავოდ წაადგებათ პროფესიულ საქმიანობაში, აღიჭურვონ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით. https://gruni.edu.ge/main/news/1687777215 **2023 წლის 25 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამის პრეზენტაცია. აჭარის დასაქმების სააგენტოს სპეციალისტებმა ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, სამართლის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებთან წარადგინეს ის პროგრამები, რომლის ფარგლებში სტუდენტები ახალ პროფესიულ უნარებს სწავლასთან თავსებადი გრაფიკით დაეუფლებიან. პროგრამა ხორციელდება სპეციალურად სტუდენტისთვის შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო მოდულით, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსს, სტაჟირებას პროფესიული მიმართულებით. https://gruni.edu.ge/main/news/1685598043 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად**

აქტივობა 1.4.3	**კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა საკვლევი საკითხის შესასწავლად და შესაფასებლად გამოიყენა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: შემთხვევის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს მუშაობა კურსდამთავრებულთა პლატფორმის შესაქმნელად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის აღნიშნული პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 1.4.4	**კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო კომპეტენციების იდენტიფიცირება და შესაბამისი კორექტირების უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) გამოიკითხნენ: კურსდამთავრებულები, გრუნის დასაქმების კოორდინატორი, სკოლების დასაქმების კომიტეტის პასუხისმგებელი პირები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის, ბაზრის მოთხოვნებთან შეუსაბამო კომპეტენციების იდენტიფიცირებისა და პროგრამებში შესაბამისი კორექტივების შეტანის მიზნით უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს დამსაქმებლებთან შეხვედრა, ტარდება ფოკუსჯგუფები, პრობლემური საკითხების განხილვა და შესაბამისად, საგანმანათლებო პროგრამებში კორექტივების შეტანა. საანგარიშო პერიოდში, ბიზნესისა და მართვის სკოლის დასაქმების კომიტეტმა გაფართოებულ სხდომაზე მოიწვია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსაქმებლები და განიხილა აღნიშნული საკითხები. გამოთქმული რეკომენდაციების საფუძველზე, 2023-2024 სასწავლო წელს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას დაემატება ბიზნესინგლისურის სალექციო კურსი. დამსაქმებლებმა კმაყოფილება გამოთქვეს ამავე პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის ორ თვემდე (15 კრედიტი) გაზრდის გამო. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა დაწესებულებამ. ასეთივე შეხვედრები და ფოკუსჯგუფები გაიმართა ბათუმის წარმომადგენლობაშიც. ბიზნესისა და მართვის სკოლის ტურიზმის მიმართულების

	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, 2023 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემებით, 77,4 %-ს შეადგენს, მათ შორის 51,6% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით. უნივერსიტეტმა, ასევე, რეკომენდაციის სახით უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ფუნდამენტური კვლევის შედეგად საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის გამოვლენილი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმები და მოდელები (2022 წელი). სტუდენტთა დასაქმებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ვაკანსიების თაობაზე სტუდენტთა მყისიერი ინფორმირებაც, რომელიც უკვე ორი წელია კარგ პრაქტიკად დამკვიდრდა გრუნიში. საანგარიშო პერიოდში გამართული დასაქმების ფორუმები და შეხვედრები დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან: https://gruni.edu.ge/main/news/1687777215 https://gruni.edu.ge/main/news/1685598043 https://gruni.edu.ge/main/news/1690040947 https://gruni.edu.ge/main/news/1684154871 https://gruni.edu.ge/main/news/1684385115 https://gruni.edu.ge/main/news/1683180629 https://gruni.edu.ge/main/news/1683605117 https://gruni.edu.ge/main/news/1684154029 https://gruni.edu.ge/main/news/1682236197 https://gruni.edu.ge/main/news/1679644552 https://gruni.edu.ge/main/news/1679631099 https://gruni.edu.ge/all_news/index/390 https://gruni.edu.ge/main/news/1672983727 https://gruni.edu.ge/main/news/1671033824 https://gruni.edu.ge/main/news/1669725924 https://gruni.edu.ge/main/news/1667833535 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.5	**შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების მყისიერად ინფორმირების სისტემის განვითარება.**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით/დახული კითხვებით, შესწავლილ იქნა 34 სტუდენტის მოსაზრება ინფორმირების ოპერატიულობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, შემოწმდა ინფორმირებისათვის გამოყენებული სხვა ფორმები: ვებგვერდი, სოციალური ქსელი და SMS შეტყობინებები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა):	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტი განაგრძობს შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ სტუდენტთა მყისიერ ინფორმირებას. საანგარიშო პერიოდში ყველა ინფორმაცია განთავსებულია, ძირითადად, ვებგვერდზე, ასევე, სოციალურ ქსელში. ამასთან, უნივერსიტეტი თავადაც მოიძიებს სხვადასხვა წყაროდან და ინფორმირების მიზნით განათავსებს ვებგვერდის ანონსის ველში. დასაქმების შესახებ ინფორმაციის გაცნობა სტუდენტებს , ასევე, შეუძლიათ გრუნის ოფიციალურ ვებგვერდზე, „მიმდინარე ვაკანსიების“ ველში. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტში დასაქმების საკითხის განხილვისას პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსა და სტუდენტს. **ყოველკვირეული ინფორმირება:** https://gruni.edu.ge/main/news/1662394339 https://gruni.edu.ge/main/news/1663218106 https://gruni.edu.ge/main/news/1663740725 https://gruni.edu.ge/main/news/1665468654 https://gruni.edu.ge/main/news/1664816825 https://gruni.edu.ge/main/news/1664280014 https://gruni.edu.ge/main/news/1668439685 https://gruni.edu.ge/main/news/1666194624 https://gruni.edu.ge/main/news/1668601348 https://gruni.edu.ge/main/news/1670563274 https://gruni.edu.ge/main/news/1669696941 https://gruni.edu.ge/main/news/1673845550 https://gruni.edu.ge/main/news/1671895910 https://gruni.edu.ge/main/news/1675410241 https://gruni.edu.ge/main/news/1674468491 https://gruni.edu.ge/main/news/1677580911 https://gruni.edu.ge/main/news/1678773338 https://gruni.edu.ge/main/news/1679647081 https://gruni.edu.ge/main/news/1680602258

	https://gruni.edu.ge/main/news/1681979808 https://gruni.edu.ge/main/news/1685075660 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.7	**სტუდენტთა შეხვედრების ორგანიზება შემოქმედებით და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან, საღამოების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა საკითხის შესამოწმებლად ონლაინგამოიკითხა 32 სტუდენტი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა):	კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტი ახალგაზრდებს მიიჩნევს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ძალად, მათი როლი გამორჩეულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ცხოვრებაშიც, ამიტომ, საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად უნივერსიტეტი ქმნის ყველა პირობას სტუდენტების პოტენციალის სრული რეალიზებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებებიც ამის შესანიშნავი დასტურია: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შეუერთდა კასპის რაიონის სოფელ სასირეთის ახალგაზრდების ინიციატივას "ღია ბიბლიოთეკის" მოწყობის თაობაზე. 2022 წლის 13 სექტემბერს სტუდენტები და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გულნარა ყეინაშვილი ქართველი გენერლისა და მხედართმთავრის გიორგი მაზნიაშვილის მშობლიურ სოფელ სასირეთს ესტუმრნენ და სხვადასხვა ასაკის მკითხველისათვის განკუთვნილი ლიტერატურა ჩაიტანეს, მათ არც პატარა მკითხველები დავიწყებიათ, რომლებსაც ფერადი და ილუსტრირებული საბავშვო წიგნები გადასცეს საჩუქრად. უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოსწავლეებთან ერთად სოფლის სკოლის დირექტორმა და პედაგოგებმაც უმასპინძლეს. გამოჩენილი ყურადღების გამო განსაკუთრებული მადლიერება გამოთქვა ადგილობრივმა მოსახლეობამაც. https://gruni.edu.ge/main/news/1663588574 **2022 წლის 24 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში დაიწყო შიდასაუნივერსიტეტო საფეხბურთო ტურნირი - "გრუნისთასი 2022", რომელიც ტრადიციულად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით იმართება.საფეხბურთო ტურნირში ერთმანეთს სხვადასხვა

	მიმართულების გუნდები ეპაექრებიან. ტურნირის წლევანდელი გამარჯვებული გახდა გუნდი „ადმინისტრაცია'' (ალექსანდრე გოგილაშვილი, ზურაბ თევდორაშვილი, გიორგი კვარაცხელია, თორნიკე ოჩიგავა, ზურა თევზაძე), რომელსაც გადაეცა სამახსოვრო პრიზები. გრუნის სტუდენტური თვითმმართველობა გამარჯვებას ულოცავს ადმინისტრაციას და მადლობას უხდის თითოეულ გუნდს ასპარეზობაში მონაწილეობის გამო. https://gruni.edu.ge/main/news/1675747651 **2022 წლის 1 დეკემბერს** გრუნის სამართლის მიმართულების სტუდენტები: ნინი რატიანი, ნიკოლოზ ნაჭყებია, ნიკა გოჩიტაშვილი, ქეთევან თოდაძე და მარიამ ზარქუა საელჩოს მიწვევით მონაწილეობდნენ ორგანიზაცია European Nexus for Georgian Youth-ის (ENGY) ხელშეწყობით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში, რომელიც ფემიციდისა და სექსუალური ძალადობის საკითხებს განიხილავდა. შეხვედრას უძღვებოდნენ საელჩოს თანამშრომლები და ასევე, სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული ექსპერტი. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, სტუდენტებმა სპეციალისტებისაგან ამომწურავი პასუხები მიიღეს მათთვის საინტერესო საკითხებზე და თავიანთი მოსაზრებებიც გაუზიარეს მასპინძლებს. გრუნის სტუდენტებმა საელჩოს თანამშრომლებისაგან მიიღეს შეთავაზებაც, ეწვიონ უნივერსიტეტს და განაგრძონ დისკუსია ახალგაზრდობისათვის აქტუალურ სხვა საკითხებზეც. https://gruni.edu.ge/main/news/1670213860 მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობის, მათი სამოქალაქო განათლების ხელშეწყობისა და ამ პროცესში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობის მიზნით ბაკურიანში განხორციელდა „ახალგაზრდების კულტურულ - საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელი პროგრამა", რომელშიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიც მონაწილეობდა. **2022 წლის 16-18 დეკემბერს** მოსწავლეებთან წინასწარ შერჩეულ აქტუალურ საკითხებზე ისაუბრა გრუნის ასოცირებულმა პროფესორმა გოჩა ოჩიგავამ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთის თემას და ამ მიმართულებით სასკოლო ასაკში ბავშვის განათლების დონის ამაღლების მნიშვნელობას. ამასთან ერთად, ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. შეხვედრაზე დისკუსიაც გაიმართა, მოსწავლეებმა სხვადასხვა თემაზე მოკლე პრეზენტაციებიც წარადგინეს, დასახელდა საუკეთესო კლასი: თბილისის, 115 - ე საჯარო სკოლის VII "ბ", დამრიგებელი ნანა ზარქუა. ყველა მონაწილეს გრუნისგან გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები. გამარჯვებულებს კი, დამატებით - სპეციალური პრიზები. https://gruni.edu.ge/main/news/1671910002 **2022 წლის 12 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის

	უნივერსიტეტში გაიმართა კონკურსის „რაკურსი“ (თბილისური ამბები) საზეიმო დახურვის ცერემონია. „რაკურსი“ (თბილისური ამბები) თბილისის მერიის, ორგანიზაციის „აფხაზეთი ჩემი სახლია“ და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია თბილისზე საუკეთესო სიუჟეტის მოსამზადებლად. პროექტის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს შემოქმედებითი უნარების მქონე ახალგაზრდების დაოსტატებას. პროექტის იდეა ეკუთვნის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს სალომე კაპანაძეს. კონკურსში მონაწილე სტუდენტებისთვის გრუნის მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელმა თათია პაჭკორიამ ჩაატარა მასტერკლასი თემაზე - “ვიდეოჩანახატისა და ვიდეოპორტრეტების ჟანრის სიუჟეტების მომზადება“. პროექტის დახურვის ცერემონიაზე ორი საუკეთესო ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი, ორივე სიუჟეტი გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს - ანანო ეგნატაშვილსა და ნინო ფაჩულიას ეკუთვნოდა. https://gruni.edu.ge/main/news/1671446319 **2022 წლის 23 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ბიზნესისა და მართვის სკოლის ორგანიზებით, გაიმართა ბიზნესიდეების კონკურსი. კონკურსში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ყველა მიმართულების 8 გუნდი, მათ შორის, 5 თბილისიდან, ხოლო 3 ბათუმის წარმომადგენლობიდან. სტუდენტების ნამუშევრებმა საერთო მოწონება დაიმსახურა, საინტერესოდ და დასაბუთებულად იყო წარმოდგენილი თითოეული პროექტის მნიშვნელობა და საჭიროება. უნივერსიტეტის პროფესორებისა და მოწვეული ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული გუნდი - გოგიტა გოგრაჭაძისა და რუსუდან ანთაძის შემადგენლობით (ბათუმი) - რომლებსაც წარმოდგენილი ჰქონდათ “ჭკვიანი სახლის“ პროექტი. ორივე გამარჯვებული ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია. კონკურსის მონაწილეებთან მუშაობას განაგრძობენ ექსპერტები, რათა სტუდენტებმა შეძლონ წარმოდგენილი პროექტების დახვეწა, სხვა საგრანტო კონკურსებში მათი წარდგენისა და დაფინანსების მოპოვების მიზნით. https://gruni.edu.ge/main/news/1672378049 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სულ ახლახან დააწესა ქართველი მწერლის, ფილოსოფოსისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის პრემია, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიური კომიტეტის უშუალო ინიციატივითა და წინადადებით ნათელა ვასაძეს გადაეცა. შთამბეჭდავი მოღვაწეობის გამო ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი არაერთი წოდებისა და ორდენის მფლობელი გამხდარა. ის 130-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და მრავალი გამოცემის რედაქტორია. მათ შორისაა "საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგია“, "პედაგოგიკის ისტორიის" სახელმძღვანელო. სხვადასხვა წლებში იყო თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო

	პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს განათლების მინისტრი, უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი... 20 დეკემბერს გაიმართა ნათელა ვასაძის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. https://gruni.edu.ge/main/news/1671513846 **2022 წლის 16 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ონლაინშეხვედრა რეგიონების მოსწავლეებთან, შეხვედრაში მონაწილეობდნენ „გლოუ“ (გოგონები - ჩვენი მსოფლიოს ლიდერები) პროგრამისა და აშშ-ის საელჩოს ინგლისური ენის სწავლების - ACCESS პროგრამის, 90-მდე ლიდერული თვისებებით გამორჩეული, წარჩინებული მოსწავლე და მათი პედაგოგები. მასპინძლებმა მოსწავლეებს გააცნეს უნივერსიტეტის დაარსების ისტორია, სასწავლო პროცესი, საგანამანათლებლო და გაცვლითი პროგრამები, ისაუბრეს ფინანსური მხარდაჭერისა და იმ სხვადასხვა პროექტის შესახებ, რომელსაც გრუნი მოსწავლეებისათვის ახორციელებს, მათ შორის, უახლოეს მომავალში დაგეგმილი პროექტები. შეხვედრამ მოსწავლეების დიდი მოწონება დაიმსახურა და რამდენიმე მათგანმა იქვე გამოხატა დაინტერესება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტით. https://gruni.edu.ge/main/news/1671265540 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ტრადიციად დაამკვიდრა იმ პოლიტიკოსებისა და ხელმძღვანელი პირების მოწვევა, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში ქმნიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელეწიფებათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. 2023 წლის 1 თებერვალს უნივერსიტეტს სტუმრობდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში სელიმ ჩაკირი. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრაზე სტუმრებმა განიხილეს საქართველოს 2022-2023 წლების ფინანსური შესაძლებლობები და გამოწვევები, ვრცლად ისაუბრეს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის, მონეტარული პოლიტიკის, ინფლაციისა და მის შესამცირებლად ეროვნული ბანკის საქმიანობის, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენის, პროგნოზებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, უპასუხეს შეკითხვებს. https://gruni.edu.ge/main/news/1675659176 **2022 წლის 2 თებერვალს,** წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გრუნის სტუდენტები ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ და მათთვის საინტერესო ავტორების - გრიგოლ რობაქიძისა და დავით ტურაშვილის ნაწარმოებების კითხვა და დისკუსია მოაწყვეს. იმ სტუდენტებმა კი, რომლებიც თავად არიან დაჯილდოებული მწერლური ნიჭით, გრუნის სტუდენტთა ნამუშევრების კრებულებიდან - „სიტყვა

	ფიქრის სხეულია“ და „დებიუტი“ თავიანთი შემოქმედება გააცნეს მეგობრებს. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია - „თანამედროვე ცხოვრება და წიგნიერება„. სტუდენტებმა ისაუბრეს ტექნოლოგიურ რევოლუციასა და მის როლზე დღევანდელ რეალობაში. გამოთქვეს მოსაზრება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიით წიგნის სრულად ჩანაცვლება შეუძლებელია. https://gruni.edu.ge/main/news/1676094675 საკონკურსო პროექტ „რაკურსის“ ფარგლებში გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებისთვის გაიმართა მულტიმედიაცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ თათია (მაია) პაჭკორიას მასტერკლასი თემაზე: „პორტრეტის ჟანრის მხატვრული ვიდეოჩანახატის მომზადება“.ავტორმა წარმოადგინა პორტრეტის ჟანრის ფილმი ცნობილ ქართველ მუსიკოსსა და დირიჟორზე ნიკოლოზ რაჭველზე.პროფესორმა სტუდენტებთან განიხილა ამ ჟანრის ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების პროცესი, გააცნო მათ ფილმში გამოყენებული საარქივო მასალები და უცნობი ფოტოკადრები, უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს.პროექტი „რაკურსი“ თბილისის მერიის პროექტია, რომელიც შემოქმედი სტუდენტების პროფესიული ზრდისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაარსდა და ყოველწლიურად იმართება. https://gruni.edu.ge/main/news/1666712708 **22 ოქტომბერს გრუნიმ** 2020-2022 წლების კურსდამთავრებულები საზეიმოდ გააცილა. Graduation 2022 - სიხარულითა და ერთგვარი სინანულით სავსე დღე, როდესაც ახალგაზრდები ემშვიდობებიან მშობლიურ უნივერსიტეტს, თუმცა სამუდამოდ ამ დიდი ოჯახის წევრებად რჩებიან! საზეიმო გაცილების ცერემონია მეტად ამაღელვებელი გამოდგა თითოეული მათგანისათვის: წითელი ხალიჩა, უნივერსიტეტის დროშის შემოტანის საზეიმო ცერემონია, დიპლომების გადაცემის ამაღელვებელი წამი თუ ფიცის დადება, როდესაც ახალგაზრდებმა უნივერსიტეტისა და პროფესიისადმი ერთგულება ფიცით დაადასტურეს! https://gruni.edu.ge/main/news/1667798844 2022 წლის 28 ოქტომბერს გრუნიში საზეიმოდ აღინიშნა გრიგოლ რობაქიძის დაბადების დღე. ტრადიციისამებრ, სტუდენტები ეწვივნენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს და ანდერძის თანახმად, პატივი მიაგეს მის ხსოვნას. წლევანდელი წელი სხვამხრივაც გამორჩეულია უნივერსიტეტისათვის, წელს ის დაარსების 30 და პირველკურსდამთავრებულთა 25 წლისთავს აღნიშნავს, ამიტომ საზეიმო ცერემონიას ის ადამიანებიც შეუერთდნენ, რომლებიც უნივერსიტეტის სათავეებთან იდგნენ და მის წარმატებას ქმნიდნენ. საზეიმო ცერემონიის დასასრულს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ განათლებასა და მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის გრიგოლ რობაქიძის საიუბილეო მედლით - „ალმა მატერის რჩეული“,

	დააჯილდოვა ღვაწლმოსილი თანამშრომლები: იზოლდა (დოდო) ადეიშვილი, მზია გოშაძე, გულნარა გურაშვილი, ეკა ბატიაშვილი, ნანა ყუბანეიშვილი, ზაირა მესხი, მაია გოგიაშვილი, მანანა რუსიეშვილი, ტრევორ კარტლიჯი. https://gruni.edu.ge/main/news/1667385186 ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო კვირეულის ფარგლებში, გაიმართა გრუნის, USAID-ისა და ორგანიზაციის „ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ ერთობლივი შეხვედრა-დისკუსია: „მოსამართლეები პასუხობენ სტუდენტების შეკითხვებს“. შეხვედრაზე განიხილეს **„ქალთა უფლებების რეალიზაცია - სასამართლო პრაქტიკა“.** დისკუსიაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ყველა მიმართულების, მათ შორის, ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტებიც. მათ შეკითხვებს პასუხობდნენ USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ჯგუფის წევრები, მოსამართლეები: **ქეთევან მამაცაშვილი** - თბილისის საქალაქო სასამართლო; **ბადრი ნიპარიშვილი** - თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო; **ხატია არდაზიშვილი** - თბილისის სააპელაციო სასამართლო. https://gruni.edu.ge/main/news/1671774060 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.4.8	**სტუდენტთა ინიციატივების წახალისება-სტარტაპების სისტემის დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტების ანალიზის მეთოდი. გამოიკითხნენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, შემოწმდა გრუნის
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, გრუნის სტუდენტების საქმიანობა, მათი ინიციატივით განხორციელებული პროექტები ეფუძნება საზოგადოების განვითარების, სამოქალაქო ერთიანობის, პიროვნული თავისუფლებისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობას, საქვემოქმედო და მოხალისეობრივ საქმიანობას, გარემოზე ზრუნვასა და სხვა. კერძოდ:

	გრუნის სტუდენტური თვითმმართველობა შეუერთდა კასპის რაიონის სოფელ სასირეთის ახალგაზრდების ინიციატივას „ღია ბიბლიოთეკის“ მოწყობის თაობაზე. **2022 წლის 13 სექტემბერს** სტუდენტები და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გულნარა ყეინაშვილი, უნივერსიტეტის მხარდაჭერით, ქართველი გენერლისა და მხედართმთავრის გიორგი მაზნიაშვილის მშობლიურ სოფელ სასირეთს ესტუმრნენ და სხვადასხვა ასაკის მკითხველისათვის განკუთვნილი ლიტერატურა ჩაიტანეს, მათ არც პატარა მკითხველები დავიწყებიათ, რომლებსაც ფერადი და ილუსტრირებული საბავშვო წიგნები გადასცეს საჩუქრად. https://gruni.edu.ge/main/news/1663588574 **2022 წლის 24 ოქტომბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში დაიწყო შიდასაუნივერსიტეტო საფეხბურთო ტურნირი - “გრუნის თასი 2022”, რომელიც ტრადიციულად, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით იმართება. საფეხბურთო ტურნირში ერთმანეთს სხვადასხვა მიმართულების გუნდები ეპაექრებიან. ტურნირის წლევანდელი გამარჯვებული გახდა გუნდი „ადმინისტრაცია” (ალექსანდრე გოგილაშვილი, ზურაბ თევდორაშვილი, გიორგი კვარაცხელია, თორნიკე ოჩიგავა, ზურა თევზაძე), რომელსაც გადაეცა სამახსოვრო პრიზები. https://gruni.edu.ge/main/news/1675747651 **2022 წლის 12 დეკემბერს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა კონკურსის „რაკურსი“ (თბილისური ამბები) საზეიმო დახურვის ცერემონია. პროექტის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს შემოქმედებითი უნარების მქონე ახალგაზრდების დაოსტატებას. პროექტის დახურვის ცერემონიაზე ორი საუკეთესო ნამუშევარი იქნა წარმოდგენილი, ორივე სიუჟეტი გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს - ანანო ეგნატაშვილსა და ნინო ფაჩულიას ეკუთვნოდა. https://gruni.edu.ge/main/news/1671446319 **2022 წლის 2 თებერვალს,** წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გრუნის სტუდენტები ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ და მათთვის საინტერესო ავტორების - გრიგოლ რობაქიძისა და დავით ტურაშვილის ნაწარმოებების კითხვა და დისკუსია მოაწყვეს. იმ სტუდენტებმა კი, რომლებიც თავად არიან დაჯილდოებული მწერლური ნიჭით, გრუნის სტუდენტთა ნამუშევრების კრებულებიდან - „სიტყვა ფიქრის სხეულია“ და „დებიუტი“ თავიანთი შემოქმედება გააცნეს მეგობრებს. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია - „თანამედროვე ცხოვრება და წიგნიერება„. სტუდენტებმა ისაუბრეს ტექნოლოგიურ რევოლუციასა და მის როლზე დღევანდელ რეალობაში. გამოთქვეს მოსაზრება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიით წიგნის სრულად ჩანაცვლება შეუძლებელია. https://gruni.edu.ge/main/news/1676094675 **2023 წლის 17 მარტს,** ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტების

	ინიციატივით და თხოვნით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს ეწვია ცნობილი ფსიქოლოგი, კომუნიკაციური უნარების მართვის ექსპერტი ზურაბ მხეიძე. ინტერაქციურ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ გრუნის სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეულმა სტუმარმა წარმოადგინა პრეზენტაცია: „მანიპულაცია კომუნიკაციის პროცესში“, „ურთიერთობა დამსაქმებელთან“ და ისაუბრა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ისეთ საკითხების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია: ბავშვობის ასაკში მიღებული ტრამვების, სხვადასხვა შიშსა და კომპლექსთან გამკლავების, ადამიანის ზოგადი მოთხოვნილებების, თავისუფლების აღქმის, სოციუმში სწორი კომუნიკაციის, ნდობის დეფიციტისა და სხვა საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1679631743 გრუნის სტუდენტური თვითმმართველობა ტრადიციას არ ღალატობს და ყოველ დღესასწაულზე სტუმრობს იმ ოჯახებს, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს თანადგომას, დახმარებასა და ყურადღებას. აღდგომის წინასადღესასწაულო დღეებში, სტუდენტები, უნივერსიტეტის დახმარებითა და მხარდაჭერით, საგანგებოდ მოემზადნენ ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. **2023 წლის 11 აპრილს** ისინი ეწვივნენ ორ - მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და შშმ პირის - ოჯახს, მიულოცეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და გადასცეს ტანსაცმელი, სათამაშოები, პროდუქტები, ტკბილეულობა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რითიც უზომოდ გაახარეს პატარები. https://gruni.edu.ge/main/news/1682351508 ყოველდღიურად დედამიწაზე უამრავი ნარჩენი წარმოიქმნება, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს მიწისა და წყლის რესურსებს, რაც, საბოლოოდ, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურად აისახება. ნარჩენების გადამუშავება კი ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკს. ამიტომ გრუნის სტუდენტებმა გადაწყვიტეს აქტიურად ჩაერთონ გარემოს დაცვის პროცესში. **2023 წლის 1 მაისს** ბიზნესისა და მართვის სკოლის მოწვევით, გრუნის ესტუმრა ქართული კომპანია „ტენე“, რომელიც მეორეული გადამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულით ამზადებს მობილური ტელეფონის დამტენებს. კომპანიის დამფუძნებელმა ალექსანდრე ლილუაშვილმა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს პლასტმასის შემგროვებელი დანადგარი გადასცა, სტუდენტებს გააცნო კომპანიის საქმიანობა და ყველა ის პროცესი, რომელსაც გადის ნარჩენი ყუთში მოთავსებიდან კვლავწარმოებამდე. ახალგაზრდებს განუმარტა, რატომ არის საშიში მათი ნიადაგში დაფლვა თუ წყალში ჩაყრა და რამხელა სარგებელი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისთვის საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადამუშავებას. https://gruni.edu.ge/main/news/1684214413 **2023 წლის 27-28 მაისს,** ბათუმში გაიმართა მსოფლიო დონის

	სტარტაპსამიტი -2023 Georgian Startup Summit და Startup World Cup National Competition 2023, რომლის პარტნიორი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. ღონისძიებაში 300-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მსგავსი ღონისძიება მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში იმართება და თითოეული მათგანი გამარჯვებულს აგზავნის სილიკონის ველზე $1,000,000 ოდენობის საპრიზო ფონდის მოსაპოვებლად. ღონისძიების სპიკერატი წარმომადგენლობითი იყო: • **რონ ვეისმანი (**Ron Weissman) - „Angel Capital Association“-ის პრეზიდენტი და სილიკონის ველზე პირველ ანგელოზ ინვესტორთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც მუშაობდა სტივ ჯობსთან მარკეტინგის მიმართულებით https://www.linkedin.com/in/ronald-weissman-36a3841/details/experience/; • **ბილ რეიჩერთი** (Bill Reichert) - გამოჩენილი სპიკერი და სტარტაპმწვრთნელი, - დიდი ხნის განმავლობაში Garage Ventures-ის მმართველი პარტნიორი, კომპანიის - Pegasus Tech Ventures-უფროსი პარტნიორი, ავტორი წიგნისა „ Getting to Wow: Silicon Valley Pitch Secrets for Entrepreneurs“, https://www.linkedin.com/in/billreichert/ • **ზაკ კოელიუსი (Zach Coelius) -** მეტსახელად "unicorn whisperer", პირველი „Angel List“ სინდიკატი-ის ორგანიზატორი, გამოჩენილი სპიკერი, „ Coelius Capital“-ის დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი, წარმატებული მეწარმე, https://www.linkedin.com/in/zachcoelius/; • **ლუკ კოვალსკი (Luke Kowalski**) - UC ბერკლის Blockchain X-Lab-ის თანადირექტორი, კორპორაციის „Oracle“ ვიცე-პრეზიდენტი, მუშაობს კორპორაციული ურთიერთობებისა და არქიტექტურის მიმართულებით, აქტიურად არის ჩართული non-profit-ის საქმიანობაში. ღონისძიებაში 30-ზე მეტი გრუნის სტუდენტი და 10-მდე პროფესორ - მასწავლებელი მონაწილეობდა, როგორც თბილისიდან, ისე ბათუმის წარმომადგენლობიდან. ღონისძიებას თანაორგანიზატორობას გრუნის სახელით, უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლა უწევდა. https://gruni.edu.ge/main/news/1685719968 **2023 წლის 12 ივნისს,** გრუნის მედიცინის სკოლისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთობლივი ორგანიზებით, ჩატარდა ფუნქციონალური, პერსონალური მწვრთნელის - დავით ხიზანიშვილის, საჯარო ლექცია: „სტრესი თანამედროვე სამყაროში“. მოწვეულმა სტუმარმა ისაუბრა ცხოვრების ჯანსაღი წესის შესანარჩუნებლად, როგორ გავუმკლავდეთ სტრესს, როგორია მისი გავლენა ჩვენს ჯანმრთელობაზე, პრევენციული ღონისძიებები მისი თავიდან ასაცილებლად და ა.შ. https://gruni.edu.ge/main/news/1686804758 2023 წლის 8 ივნისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

	ბათუმის წარმომადგენლობას, სტუდენტთა ინიციატივით, სტუმრობდა ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლეო (ლევან) ანთაძე. მხცოვანმა მსახიობმა სტუდენტებს უამბო იმ წლების შესახებ, რომელიც სცენაზე გაატარა, გაიხსენა მოღვაწეობის საინტერესო ამბები და მომენტები, მხატვრულად წაიკითხა სხვადასხვა პოეტის ლექსი, ასევე, ვაჟა ფშაველას პოემა ,,ბახტრიონი" და შეასრულა მცირე სასცენო როლები. სტუდენტებმა ბატონ ლეოს საჩუქრად გადასცეს წიგნები და სამახსოვრო ფოტოალბომი, ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ სულიკო ანთაძემ კი სიმბოლური საჩუქარი - ანთაძეების საგვარეულო გერბი. https://gruni.edu.ge/main/news/1686803822 **2023 წლის 22 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს სტუმრობდა ბიზნესმენი გიორგი სვანიძე. ბატონმა გიორგიმ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ნაკუთხი ზეთისხილის ნერგები, რომელთა დარგვაშიც, სტუდენტებთან, პროფესორებთან და უნივერსიტეტის რექტორთან მამუკა თავხელიძესთან ერთად, თავადაც მიიღო მონაწილეობა. https://gruni.edu.ge/main/news/1687762155 **2023 წლის 20-24 ივნისს,** სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, ჩატარდა ტრადიციული შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი ფეხბურთში - „გრუნითასი 2023", რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალურ ასპარეზობაში მხოლოდ 4 გუნდი დარჩა, ერთმანეთს ხვდებოდნენ: თვითმმართველობისა და აკადემიის გუნდები, ასევე, დანტისტები და ქუჩის ბიჭები. ფინალურ ასპარეზობაში 2 გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა: თვითმმართველობა და ქუჩის ბიჭები. https://gruni.edu.ge/main/news/1688098760 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტის შესრულდა სრულად.**

აქტივობა 1.5.1	**დებულების შემუშავება სტუდენტის ომბუდსმენის შესახებ და კონკურსის გამოცხადება სტუდენტთა შორის კანდიდატურების შესარჩევად**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: შემუშავებული მასალა.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	დოკუმენტების ანალიზმა, ცხადყო, რომ სტუდენტთა ომბუდსმენის დებულების ახალი რედაქცია შემუშავდა ნია ქავთარაძის ომბუდსმენად არჩევის შემდგომ და დამტკიცდა 2022 წლის 24 მაისს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (01-05/027). მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის გამო (არჩეულ იქნა 2022 წლის 13 მაისს) ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე გამოცხადდება კონკურსი ომბუდსმენის ვაკანტურ თანამდებობაზე. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2. 1.1	**სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის პლატფორმის შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მონიტორინგის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარეობს აღნიშნულ პლატფორმაზე მუშაობა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა მეტწილად.**

აქტივობა 2. 1.2	**ინოვაციური ლაბის შექმნა და საქმიანობის განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ უნივერსიტეტის მონიტორინგის ჯგუფმა სტრუქტურირებული დახურული კითხვარის მეშვეობით შეაგროვა ინფორმაცია და შეაჯამა სამიზნე პოპულაციის/ აკადემიური პერსონალის (21) მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრი გაიხსნა, რომლის მიზანი მედიაციის, როგორც დარგის, პრაქტიკულად შესწავლა და პოპულარიზაციაა. მისი შექმნის ინიციატორები იმედოვნებენ, რომ ცენტრი ქვეყანაში დავების მოგვარების ალტერნატიული კულტურის დანერგვასა და განვითარებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ცენტრის ფუნქციასა და საქმიანობას, ის პირველ რიგში დაეხმარება გრუნის სტუდენტებს, მედიაციის სალექციო კურსის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკულად განიმტკიცონ; ასევე, მედიაციისა და არბიტრაჟის მეცნიერულად შესწავლის მიზნით, განხორციელდება სამეცნიერო კვლევები, შემუშავდება კანონპროექტები, დაიგეგმება ერთობლივი დისკუსიები, შეჯამდება შედეგები, განვითარდება თანამშრომლობა საერთაშორისო ექსპერტებთან და წამყვან სპეციალისტებთან და მთელი ეს პროცესი სტუდენტების მაღალი ჩართულობით წარიმართება. https://gruni.edu.ge/main/news/1669975763 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.4	**იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის დაბეჭდვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, ფონდის კომიტეტის დადგენილებები, გამოცემული სამეცნიერო სტატიები თუ სახელმძღვანელოები და სხვ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი, შესაბამისი საპროექტო განაცხადების საფუძველზე, განიხილავდა და უზრუნველყოფდა ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვასაც და ერთობლივი სამეცნიერო კრებულების მომზადებასაც, რაც მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. **საანაგრიშო პერიოდში მომზადებული სამეცნიერო სტატიები და გამოცემები:**

	6 ოქტომბერი, 2022 წელი. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში **Media4u Magazine** გამოქვეყნდა გრუნის საპატიო დოქტორის - როზმარინა დუბოვსკასა და ახალგაზრდა მკვლევრების, დოქტორანტების: არჩილ გამზარდიასა და იოსებ წერეთლის სამეცნიერო სტატიები. სამეცნიერო ნაშრომები სხვადასხვა სფეროში განათლების როლს, საზოგადოებრივ მოვლენებზე ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომობას, ტექნიკური მიმართულების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვას ეხება. ამასთან, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დანაშაულის პრევენციის, პოლიტიკურ კულტურაზე საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლების მნიშვნელობას. https://gruni.edu.ge/main/news/1665032834 უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ფონდის მხარდჭერით, გერმანულ საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში (№ 61, 2023, https://zenodo.org/) გამოქვეყნდა გრუნის აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების: გიგი ყუფარაძის, ოთარ გერზმავას, თენგიზ თაქთაქიშვილის, ნინო ცხოვრებაშვილის, დემურ გიორხელიძის, თინათინ ჟორჟოლიანის, ნათია გადელიას, გიორგი ცუცქირიძის, ნინო და ლევან გორგილაძეების სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ეხება ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ბიზნესის მართვა, საბანკო სექტორის მუშაობის თანამედროვე ტენდენციები და გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა დარგზე, გასტრონომიული ტურიზმი და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შედარებით ანალიზს, რომელიც საქართველოსა და ევროპის ქვეყნების უახლეს გამოცდილებას ეფუძნება. სტატიებში მკითხველი გაეცნობა საინტერესო სტატისტიკასა და მეცნიერულ მიგნებებს. https://gruni.edu.ge/main/news/1692422293 ლატვიის, რიგის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში - "Baltija Publishing", გამოქვეყნდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის ბიზნესისა და მართვის სკოლის ასისტენტ - პროფესორის, ირაკლი აბაშიძის სტატია, რომელშიც განხილულია მარკეტოლოგიასთან დაკავშირებული ასპექტები, ახალი მიდგომა მომხმარებელთან ქცევის წესებში, დამკვეთთან ონლაინკომუნიკაციის სტანდარტები და სხვ. https://gruni.edu.ge/main/news/1686045527 საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „Media4u Magazine - ISSN 1214-9187" (დაცულია ERIH PLUS - სა და EBSCO Publishing - ის ბაზებში) გამოქვეყნდა გრუნის დოქტორანტების - სოფიო ლაზიშვილისა და ბექა ქებულაძის, სამეცნიერო სტატიები. ავტორთა ნაშრომები ეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: ხარისხიანი განათლების როლი საქართველოს ტურიზმისა და მომსახურების სფეროს განვითარებაში, მომსახურების სფეროს გაუმჯობესება განსაკუთრებული საჭიროების

	მქონე პირთათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1678949592 **2022 წლის 28 დეკემბერს** გამოქვეყნდა გრუნის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი - „აკადემიური მაცნე“, ჟურნალში წარმოდგენილია სტატიები - სამართლის, საჯარო მმართველობის, პოლიტიკური ფილოსოფიის, მედიცინის, ფილოლოგიის მიმართულებით. **2023 წლის 3 მაისს** ჟურნალი სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემთა კიდევ ერთ საერთაშორისო ბაზაში გაწევრიანდა. გრუნის სამეცნიერო ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები ახლა უკვე ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის, რომლებიც აქტიურად იყენებენ სამეცნიერო ლიტერატურის ქსელს - Scilit - Scientific Literature. https://gruni.edu.ge/main/news/1672499639 **23 თებერვალი, 2023 წელი.** კანადურ ჟურნალში: Journal of Medical & Clinical Case Studies, გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორის, აკადემიკოს **პაატა კერვალიშვილის** სამეცნიერო სტატია, რომელშიც წარმოდგენილია უაღრესად აქტუალური კვლევის შედეგები, რომელიც უზრუნველყოფს თეორიული, კომპიუტერული მოდელირებისა და ექსპერიმენტული საფუძვლების შექმნას ვირუსების რეზონანსული თერაპიის მეთოდებისა და ინსტრუმენების შესამუშავებლად. https://gruni.edu.ge/main/news/1677152465 **12 დეკემბერი, 2022 წელი.** გამოქვეყნდა გრუნის, პრაღის ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხარკოვის, პეტრე ვასილენკოს სახელობის უნივერსიტეტის, მიერ ერთობლივად ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის -„მედია და განათლება“, მასალები. რედაქტორები: იან ხრომი და კატერჟინა ბერკოვა. კონფერენციის მუშაობაში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ: უნივერსიტეტის პროფესორები - თამარ გაგოშიძე, გოჩა ოჩიგავა - ელისო ჩაფიძე, საპატიო დოქტორი - როზმარინა დუბოვსკა, დოქტორანტი - ლანა ყურაშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1670844986 **2023 წლის 24 მარტს** USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გამოიცა სამართლის ჟურნალის - „სამართლის აქტუალური საკითხები“, პირველი ნომერი, რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედეგად. ჟურნალში გამოქვეყნდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიები. https://gruni.edu.ge/main/news/1682921078 https://gruni.edu.ge/main/news/1679718513 **2022 წლის 25 ნოემბერი.** გამოქვეყნდა გრუნის ასოცირებული

	პროფესორის, გოჩა ოჩიგავას, უცხოენოვანი მონოგრაფია: „ქალთა ტრეფიკინგი საერთაშორისო სამართალში“. კვლევა განხორციელდა უნივერსიტეტის ბაზაზე, უცხოელი პროფესორების მონაწილეობით, რომლებიც, ამავე დროს, მონოგრაფიის რეცენზენტები არიან. ნაშრომი გამოქვეყნდა პრაღაში და გრუნის ბიბლიოთეკასთან ერთად, დაცულია პრაღის სახელმწიფო უნივერსიტეტის (Charles University In Prague) ბიბლიოთეკაშიც. https://gruni.edu.ge/main/news/1669436882 2023 წლის 19 მაისს, ევროკავშირის მხარდაჭერით, სლოვაკეთის იან კომენსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით “milniky prava”, რომელშიც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერ-მკვლევრები იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციაზე გრუნის ახალგაზრდა მკვლევარმა თორნიკე მერებაშვილმა, წარადგინა მოხსენება: Social function of the property Registration of the ownership right to the agricultural plot by rightful owner in context“. სტატია იან კომენსკის უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა. https://gruni.edu.ge/main/news/1686891597 **2022 წლის 15 ნოემბერს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბიგვავა - ბატიაშვილის იურიდიული ფირმასა და იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთად დააარსა მულტიდისციპლინური პერიოდული გამოცემა „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მედიცინაში არსებული სამართლებრივი გამოწვევების დასაძლევად, პაციენტის უფლებებისა და ექიმის პროფესიული და პირადი თავისუფლების დასაცავად. https://gruni.edu.ge/main/news/1671514932 **2023 წლის 04 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო მმართველობის დოქტორის, გრუნის იუვენოლოგიის სამეცნიერო-კველევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის გიორგი მომცელიძის მონოგრაფიის - „იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება“, პრეზენტაცია. მონოგრაფია მომზადდა პოსტდოქტორანტურის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგად და გამოიცა იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საგამომცემლო პროექტის ფარგლებში, მას რედაქტორობას უწევდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე. https://gruni.edu.ge/main/news/1683780088 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.5	**ყოველი წლის ბოლოს საინფორმაციო ბიულეტინის გამოცემა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი გამოიკითხა აკადემიური პერსონალი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები (32). დოკუმენტურად დადასტურებული მასალა ინფორმირების შესახებ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა ორი წელია შეცვალა აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების სისტემატიზაციის პოლიტიკა და ახლა ყოველკვირეულად საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის მიერ სამეცნიერო პერსონალს (პირად მეილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე, განყოფილებაში „ანონსი“) მიეწოდება განახლებული ინფორმაცია იმ დონორი ორგანიზაციებისა და კონკრეტული საგრანტო პროექტების შესახებ, რომლებიც სამეცნიერო - კვლევითი მიმართულებით ცხადდება. აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების ინფორმირება ხორციელდება, ასევე, რეკომენდებული (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო) სამეცნიერო გამოცემების შესახებ, რაც ზრდის ნებისმიერი მსურველისთვის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით საუნივერსიტეტო ინფორმაციასთან წვდომის ხარიხს. გამოიცა სამეცნიერო საინფორმაციო ბიულეტინი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შესახებ. წლის ბოლოს კი აკადემიური/სამეცნიერო პროდუქტიულობის შედეგების მიხედვით, ფასდება და სახელდება წლის საუკეთესო პროფესორი/ ლექტორი და ნაშრომი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.6	**საბიბლიოთეკო რესურსის გაფართოება საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფისა და ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის კვლევების საჭიროების შესაბამისად**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, სულ 28 წევრი, შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: განახლებული წიგნადი ფონდი - ნაჩუქარი, ნაყიდი, ელექტრონული და ფიზიკური სახით; სამეცნიერო ელექტრონული ბაზები. საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვისა და აღრიცხვის სისტემა, ასევე, სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი - წიგნადი და ელექტრონული ბაზები, მუდმივად ახლდება და სრულად აკმაყოფილებს სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის პროცესს. დისციპლინების მიხედვით ემატება სავალდებულო და დამხმარე სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა. აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია თანამედროვე კვლევები და სხვადასხვა ქვეყნის მიღწევები ამა თუ იმ დარგში და სხვა. ბიბლიოთეკაში დაცულია ძირითადი და დამხმარე ინგლისური და ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელო. 2022-2023 სასწავლო წელს ბიბლიოთეკაში შემოსულია **200** ერთეული წიგნი (ჩუქება, შეძენა) **60** ერთეული ჟურნალი (ჩუქება,შეძენა) და **62** ელექტრონული წიგნი. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების დიგიტალიზაცია. ყოველწლიურად ახლდება ხელშეკრულება „საკანონმდებლო მაცნესთან“. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის დახმარებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს აქვთ წვდომა **Elsevier-ის** ბაზებზე. აგრეთვე, გაფორმებულია ხელშეკრულება **„EBSCO”-სა** და **„ჰეინონლაინის”-** სამეცნიერო ბაზის გამოყენების შესახებ. სისტემა ავტომატურად ახორციელებს მომხმარებლის გადამისამართებას შესაბამის მონაცემთა ბაზებზე, ბაზების მისამართზე შესვლა შესაძლებელია უნივერსიტეტის ქსელთან დაკავშირებული მოწყობილობისა და ყოველგვარი დამატებითი ავტორიზაციის გარეშე. **ამასთან, გრუნი უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ**

	პერსონალს მუდმივად სთავაზობს განახლებულ ინფორმაციას ახალი შესაძლებლობების შესახებ: ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს გრუნი პერიოდულად სთავაზობს ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში. შემოთავაზებული ოფიციალური ინტერნეტგვერდების მეშვეობით, შესაძლებელია ეკონომიკის, ბიზნესის მართვისა და დასაქმების პოლიტიკის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ეს ინფორმაცია ასევე სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ამ მიმართულებით ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას და აქვს სურვილი ითანამშრომლოს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო - სამეცნიერო (ეკონომიკურ) გამოცემებთან: „ელსევიერის“ სამეცნიერო ბაზებზე წვდომისა და Scopus -ისა და ScienceDirect პლატფორმების შესაძლებლობების შესახებ მეტი ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის შეიქმნა ტრენინგებისა და დახმარების პორტალი, რომელთა მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ მოისმინონ ჩატარებული ვებინარების ჩანაწერები (მათ შორის, ქართულად) და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. https://gruni.edu.ge/main/news/1668767622 ამასთან, ბიბლიოთეკა მუდმივად უზიარებს სამეცნიერო ბაზებთან დაკავშირებულ სიახლეებს გრუნის აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს, კერძოდ: **2023 წლის 2 და 7 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ახალგაზრდა მკვლევრები, ბიბლიოთეკის ორგანიზებით, მონაწილეობდნენ ვებინარში საერთაშორისო ონლაინგამომცემლობა **“ELSEVIER“**- ის ორი სამეცნიერო ბაზის **“Scopus“**-ისა და **“scienceDirect“**-ის გამოყენების შესახებ. ვებინარებზე: “ლიტერატურის ძიება და ავტორის პროფილი Scopus-ში“ და “ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley – გზამკვლევი დამწყებთათვის“, მსმენელები გაეცნენ მაღალრეცენზირებადი ჟურნალებისა და სტატიების მოძიების, ასევე, დოკუმენტისა და ნაშრომების ციტირებისა და **h** ინდექსის დაანგარიშების პრინციპებს. ვებინარის დასასრულს მონაწილეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1678857903 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე" - სამეცნიერო ლიტერატურის

	მონაცემთა კიდევ ერთ საერთაშორისო ბაზაში გაწევრიანდა. გრუნის სამეცნიერო ონლაინგამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები ახლა უკვე ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის, რომლებიც აქტიურად იყენებენ სამეცნიერო ლიტერატურის ქსელს - Scilit - Scientific Literature. ჟურნალის 2023 წლის ნომრის გამოსაცემად გრძელდება სამეცნიერო სტატიების მიღება. https://gruni.edu.ge/main/news/1683175602 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.1.8	**სამეცნიერო-კვლევების კომერციალიზაციის მიზნით სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სახლმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულებები, მაგრამ შეკვეთა კონკრეტული საკითხის კვლევასთან დაკავშირებით არ შემოსულა. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი ნაწილობრივ შესრულდა.**

აქტივობა 2.1.9	**ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები. შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: რექტორის ბრძანება პრემირების სისტემის შესახებ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი, ციტირების არსებული მონაცემები (რანჟირება) და სხვა დოკუმენტაცია.

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევით დადგენილია, რომ გრუნის კვლევით-სამეცნიერო პოტენციალი და შესაბამისად, საქმიანობაც, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო საანგარიშო პერიოდში. აღნიშნული განპირობებულია უნივერსიტეტის პოლიტიკით, ეფექტური გახადოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და წახალისების სისტემაც, გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიებიც და მოიზიდოს ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებიც, ციტირების ინდექსის გაზრდის ხელშეწყობისათვის პრემირების სისტემის შემოღება ამგვარი კომპლექსური მიდგომის ერთ-ერთი სეგმენტია, უნივერსიტეტი პრემირებას განახორციელებს სამ წელიწადში ერთხელ. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა შეაჯამა აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და დადგენილი წესის შესაბამისად, საუკეთესო მიღწევებისათვის განახორციელა პრემირება. კერძოდ: **2023 წლის 13 მარტს** გრუნის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდმა საგრანტო კონკურსის შედეგებით მიიღო გადაწყვეტილება 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სამეცნიერო გრანტების კონკურსზე წარმოდგენილი ყველა საპროექტო განაცხადის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ. ნაშრომები შეფასდა საკვლევი საკითხის აქტუალობის, კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის, პროექტში ჩართულ პირთა გამოცდილება/კომპეტენციის, კვლევის მეთოდების ორიგინალურობა/ეფექტიანობის შესაბამისად. **გამარჯვებული პროექტები:** • საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევა **(ხელმძღვანელი მაია მელაძე);** • ციფრული რეფერენდუმი: საჯარო მმართველობის ეფექტური მოდელირება **(ხელმძღვანელი ხათუნა მურადიშვილი);** • პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის შეფასება ცალკეული რეგიონების მიხედვით **(ხელმძღვანელი ნინო წილოსანი);** • პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები და მისი ზეგავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე **(ხელმძღვანელი გიორგი ცუცქირიძე);** • ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის **(ხელმძღვანელი ხატია თანდილაშვილი);** • სოციალური შფოთვის ხარისხის ფიქსირებული განწყობისა და მალადაფტური კოგნიტური სქემების

	ურთიერთმიმართება **(ხელმძღვანელი ნათია ბადრიშვილი);** საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის მიზანია გრუნის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა/წახალისება და ამ პროცესში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა. https://gruni.edu.ge/main/news/1678857505 **2023 წლის 16 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სამეცნიერო მიმართულებით განხორციელებული აქტივობა შეაჯამა და გამორჩეული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი დაასახელა. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებითა და სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური/სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგების მიხედვით, საუკეთესო მეცნიეროს/მკვლევრის, საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისა და საუკეთესო ლექტორის წოდება, 2022-2023 წწ. შედეგებით, მიენიჭა შესაბამისად, აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და ასევე, ნაშრომს: **საუკეთესო მკვლევარი:** სლავა ფეტელავას - ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორს; **საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი:** ზურაბ ძლიერიშვილის - სამართლის სკოლის პროფესორის ნაშრომს „დაუსწრებელი გადაწყვეტილება“; **საუკეთესო ლექტორი:** მურთაზ კვირკვაიას - ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორს; ლიანა სირაძეს - მედიცინის სკოლის პროფესორს; გიორგი შაშიაშვილს - სამართლის სკოლის პროფესორს; არჩილ გამზარდიას - საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის პროფესორს; ნინელი კენჭაძეს - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორს; ჟუჟუნა შაინიძეს - ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორს; დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე სამეცნიერო და აკადემიურ პერსონალს გადაეცა სერტიფიკატები, სამახსოვრო საჩუქრები და ფულადი ჯილდო. https://gruni.edu.ge/main/news/1687768133 ამასთან ერთად, გრუნი მთელი პერიოდის განმავლობაში სხვამხრივაც, კვლევითი აქტივობების სახით, ეხმარება აკადემიურ კადრებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და თანამედროვე მიდგომებისა და მიგნებების გაცნობა-გაზიარებაში, ამის დამადასტურებელია ტეხას ა&მ უნივერსიტეტთან დაწყებული კვლევითი სემინარები აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. ონლაინსწავლება

	„Paths to Publication" მოიცავს კვლევასთან, სამეცნიერო ნაშრომის მომზადებასთან, გამოქვეყნებასა და გრანტებთან დაკავშირებულ სემინარებს, რომელსაც მასპინძლობს ტეხას ა&მ-ის უნივერსიტეტის განათლებისა და კვლევის სკოლა და კურსდამთავრებულთა მრჩეველთა საბჭო. სემინარების სერია განკუთვნილია აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის. 2023 წლის 9 თებერვალს გაიმართა პირველი ლექცია, რომელსაც გრუნის 60-მდე ახალგაზრდა მკვლევარი და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა. ლექციას უძღვებოდა დოქტორი შერილ კრეიგი, ტეხასის A&M უნივერსიტეტის პროფესორი და ტექნოლოგიებისა და მასწავლებელთა განათლების კათედრის თავჯდომარე. მან დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა გამოცდილება და მისცა რჩევები სამეცნიერო ნაშრომის მომზადების თაობაზე, კერძოდ, ისაუბრა: სათაურის, აბსტრაქტის, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვისა და სხვ. საკითხების შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1676206099 **2023 წლის 10 მარტს** უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები - მაკა ფირანაშვილი და მაია მელაძე მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროგრამის - „საქართველოს მკვლევართა მობილობის მხარდაჭერა", ფარგლებში მომზადებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ორგანიზატორებმა მონაწილეებს გააცნეს საქართველოს მკვლევართა მობილობის პროგრამა (GRMP), რომელიც ერთი წლის წინ დაიწყო და ევროკავშირის მიერ დაახლოებით 1,5 მილიონი ევროთი დაფინანსდა. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება და ევროპულ კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ქართველ მკვლევართა ქსელის განვითარება და შესაძლებლობების გაზრდა. ასევე, ქართველი მკვლევრებისა და ინოვატორებისთვის, სპეციალური დაფინანსების სქემისა და მობილობის პროგრამის (RMP) შემუშავება, რათა გაიზარდოს სამეცნიერო საზოგადოების საერთაშორისო თანამშრომლობა და მონაწილეობა ჰორიზონტ ევროპის (Horizon Europe) პროგრამებში. https://gruni.edu.ge/main/news/1678771235 USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, გამოიცა სამართლის ჟურნალის - „სამართლის აქტუალური საკითხები", პირველი ნომერი, რომელიც მომზადდა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედეგად. ჟურნალში გამოქვეყნდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტატიები. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან რექტორის მოადგილე, სამართლის სკოლის

	დეკანი, პროფესორი გულიკო გალდავა და რექტორის მოადგილე, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გიორგი მირიანაშვილი. https://gruni.edu.ge/main/news/1679718513 https://gruni.edu.ge/main/news/1684130956 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.1	**ცოდნის გაზიარების პლატფორმის - GRUNI TALKS , შექმნა და გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	**შემთხვევის ანალიზი** საკითხის შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა შემთხვევის ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.2	**Ontario science centre-თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.3	**Science Publish Corporation- თან პარტნიორული თანამშრომლობის ჩამოყალიბება**

მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეს პუნქტი არ შესრულდა.**

აქტივობა 2.2.4	**ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, უნივერსიტეტში, ევრაზიის ტრადიციული ფორუმის ჩატარების ორგანიზება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ /სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად სპეციალურად შემუშავებული დახურული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები/ფორუმის მოსამზადებელი ჯგუფის წევრები, ორგანიზატორები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები, სულ 10 პირი. დოკუმენტურად შესწავლილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მზადების მასალები.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტი (ESI) გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმატებული პარტნიორია და წლების განმავლობაში გრუნი მასთან ერთად ატარებს ტრადიციულ საერთაშორისო მულტიდისციპლინურ ფორუმს დოქტორანტებისათვის.. წელს მეთორმეტე საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმი დაგეგმილია 2023 წლის 21-22 სექტემბერს, ამჟამად მიმდინარეობს ფორუმის მოსამზადებელი სამუშაოები და მასზე მოწვეული არიან როგორც ქართველი, ისე პოლონელი, ამერიკელი, მექსიკელი, თურქი და სხვა ქვეყნების მეცნიერები. მუშაობა თემატური სესიების მიხედვით წარიმართება: მედიცინა, სამართალი, ბიზნესი, ეკონომიკა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. ფორუმზე წარმოდგენილი კვლევები დაიბეჭდება ევროპის სამეცნიერო

	ჟურნალში. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.5	**საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, მათ შორის, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი შემოწმდა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დოკუმენტურად დადასტურებული მასალები: კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებულები, გრუნის ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მონიტორინგის ჯგუფი, ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, აღნიშნავს, რომ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების მხარდაჭერა გრუნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, ამდენად, უნივერსიტეტი აქტიურად ცდილობს ჩაებას სამეცნიერო- კვლევით საქმიანობაში, როგორც საკუთარი, ისე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული რესურსების გამოყენებით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მონაწილეობით გამართული საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები იყო მრავალფეროვანი, საინტერესო, ეფუძნებოდა მნიშვნელოვან კვლევებსა და განიხილავდა დღევანდელობის აქტუალურ საკითხებს. კონფერენციების მუშაობაში აკადემიურ პერსონალთან და ახალგაზრდა მკვლევრებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებიც. **საანგარიშო პერიოდში გამართული კონფერენციები:** **2023 წლის 30 აგვისტოს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან და პარტნიორ საერთაშორისო კომპანიასთან - „Libra Alliance“, ერთად გამართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები“. კონფერენცია ჩატარდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობაში, ჰიბრიდული ფორმატით. ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, გერმანიისა და ინდოეთის უნივერსიტეტების მეცნიერები. https://gruni.edu.ge/main/news/1693896910

	2023 წლის 14-16 ივნისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, მსოფლიო ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტისა (WERI) და სევილიის უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა XV საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკაში - EconWorld2023@Tbilisi. კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მეცნიერთა შეხვედრის ორგანიზება, იდეების გაცვლა, უახლესი კვლევების შედეგების განხილვა და მომავალი ერთობლივი თანამშრომლობისთვის ქსელის შექმნა. https://gruni.edu.ge/main/news/1687840991 **2023 წლის 27-28 მაისს,** ბათუმში გაიმართა საერთაშორისო სტარტაპსამიტი: Georgian Startup Summit და Startup World Cup National Competition 2023, რომლის პარტნიორი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. ღონისძიებაში 300-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მსგავსი ღონისძიება მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში იმართება და თითოეული მათგანი გამარჯვებულს აგზავნის სილიკონის ველზე $1,000,000 ოდენობის საპრიზო ფონდის მოსაპოვებლად .გარდა სპიკერებისა, ბათუმს ეწვივნენ საერთაშორისო ინვესტორებიც სინგაპურიდან, პოლონეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული სტარტაპეკოსისტემის წარმომადგენლები, ანგელოზი ინვესტორები და მეწარმეობით დაინტერესებული ახალგაზრდები. https://gruni.edu.ge/main/news/1685719968 **2023 წლის 19 მაისს,** ევროკავშირის მხარდაჭერით, სლოვაკეთის იან კომენსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით "milniky prava", რომელშიც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერ-მკვლევრები იღებდნენ მონაწილეობას. იან კომენსკის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტმა საერთაშორისო კონფერენციაზე საგანგებოდ მიიწვია გრუნის დოქტორანტი - თორნიკე მერებაშვილი, რომელიც, სამეცნიერო -კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, რამდენიმე თვე თანამშრომლობდა აღნიშნულ უნივერსიტეტთან. თორნიკე მერებაშვილმა, როგორც მიწის სამართლის სფეროს მკვლევარმა, კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება: „Social function of the property Registration of the ownership right to the agricultural plot by rightful owner in context". სტატია იან კომენსკის უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდება. https://gruni.edu.ge/main/news/1686891597 2022 წლის 24-25 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა უნივერსიტეტის დაარსების 30- წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო

	სამეცნიერო კონფერენცია: **„საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები გლობალური გამოწვევების ფონზე: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები.“** პირველი სამუშაო დღე განკუთვნილი იყო დოქტორანტთა, მეცნიერ-თანამშრომელთა, აკადემიური პერსონალის, მკვლევრების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის, ხოლო მეორე დღე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთათვის. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: **გერმანიის, თურქეთის, ამერიკისა და საქართველოს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პირები და მეცნიერები. https://gruni.edu.ge/main/news/1679405814 **2023 წლის 14-16 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უმასპინძლა XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელსაც, ტრადიციულად, 30 ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობს მთელი მსოფლიოდან. გრუნისთან ერთად კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: სევილიის უნივერსიტეტი, მსოფლიო ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი და პარტნიორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. https://gruni.edu.ge/main/news/1687840991 **2023 წლის 20 თებერვალს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა დისკუსია ბავშვის სერვისების კოორდინაციის საკითხების შესახებ. ღონისძიება ერთობლივად მოამზადეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობამ, გაეროს ბავშვთა ფონდმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ DDA და გრუნიმ. დისკუსია მიზნად ისახავდა ბავშვთა სერვისების გაძლიერების საპილოტე პროექტის იმპლემენტაციის საკითხის განხილვას, კერძოდ, ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის საპილოტე რეჟიმში მიღწეული კონკრეტული შედეგების წარმოჩენას და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების შესახებ მსჯელობას. https://gruni.edu.ge/main/news/1677223182 **2023 წლის 23 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას - „დანაშაულობის პრევენციის აქტუალური საკითხები“, უმასპინძლა. სამეცნიერო კონფერენცია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ერთობლივი ორგანიზებით მომზადდა. https://gruni.edu.ge/main/news/1686048066

	2023 წლის 29-30 მაისს გაიმართა თბილისის XIII ეკონომიკური ფორუმი „მდგრადი განვითარება - მწვანე, ჭკვიანი, ბიზნესმეგობრული“, რომლის პარტნიორი იყო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისის ეკონომიკური ფორუმი მოწინავე იდეების გაცვლისა და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების პლატფორმაა, წელს ფორუმს 100-ზე მეტი სპიკერი და 500-ზე მეტი მონაწილე ესწრებოდა, მათ შორის, გრუნის პროფესორები და სტუდენტები. ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში გრუნის ორი პროფესორი მონაწილეობდა: ვახტანგ ჭარაია, რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი - სესიაში „კონკურენტუნარიანობის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“ და ასოცირებული პროფესორი ნათია დაღელიშვილი - სესიაში „გენდერული თანასწორობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“. https://gruni.edu.ge/main/news/1686549400 **2023 წლის 8 სექტემბერს,** საქართველოს ეკონომისტის დღეს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია **„საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“. პროექტის ორგანიზატორები არიან:** • საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია; • გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სკოლა; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; • თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. https://gruni.edu.ge/main/news/1677250271 **2023 წლის 17 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა სამეცნიერო ფორუმი სახელწოდებით „ციფრული რეფერენდუმი: საჯარო მმართველობის ეფექტური მოდელირება“. ფორუმი განხორციელდა უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის და საჯარო მმარველობისა და პოლიტიკის სკოლისთვის დაწესებული საგრანტო პროექტის ფარგლებში და განეკუთვნება სახელმწიფოს მართვის პრაქტიკული განხორციელების უახლესს მოდელს - **ციფრულ რეფერენდუმს.** https://gruni.edu.ge/main/news/1687758560 2023 წლის 21 და 22 სექტემბერს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა მეთორმეტე საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმი, რომელიც ორგანიზებული იყო გრუნისა და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის (ESI) ერთობლივი თანამშრომლობის

	ფარგლებში. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ, როგორც ქართველი, ისე პოლონელი, ამერიკელი, მექსიკელი, თურქი და სხვა ქვეყნების მეცნიერები. https://gruni.edu.ge/main/news/1696407190 **სტუდენტური კონფერენციები:** **2023 წლის 29 მარტს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი - „მდგრადი განვითარებისა და ევროინტეგრაციისთვის". ღონისძიებაში გრუნისთან ერთად მონაწილეობდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები -საქართველო". ფორუმი მიეძღვნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებასა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას, მათი ინოვაციური ხედვების წარმოჩენას. გრუნიმ განსახილველად შეარჩია გაეროს მდგრადი განვითარების მე-8 მიზანი _ „ღირსეული სამუშაო/ეკონომიკური ზრდა". ფორუმი სადისკუსიო-პანელური ფორმატით წარიმართა. სამართლისა და ბიზნესის სკოლების სტუდენტებმა განსახილველ თემასთან დაკავშირებით იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: „მწვანე ეკონომიკა", „ღირსეული სამუშაო პირობები მდგრადი განვითარებისათვის", „დასაქმებულთა შრომითი უფლებები", „ტრეფიკინგი" და ა.შ. https://gruni.edu.ge/main/news/1680256142 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.2.6	**ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის დაარსება უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	სტრუქტურირებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა შესაბამისი სამსახურების: სამეცნიერო ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის, ხარისხის განვითარების სამსახურის, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელები, ასევე, დეკანები, აკადემიური პერსონალი (11). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: გამოცემული ჟურნალები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა**

აქტივობა 2.2.8	**ჰარვარდის ბიზნესსკოლასთან, აფილირების ფარგლებში, თანამშრომლობის გაგრძელება და ერთობლივ კვლევებში ჩართვა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფმა გამოკითხა ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები, პოსტდოქტორანტი თამარ ხახიშვილი, შეამოწმა დოკუმენტურად დადასტურებული მასალები, ვებგვერდი (10) .
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნი განაგრძობს თანამშრომლობას ამერიკის წამყვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, კერძოდ, **ჰარვარდის ბიზნესსკოლის (HBS) სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტთან, აფილირებული** წევრის სტატუსით, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი სწავლების მეთოდოლოგიასა და სასწავლო მასალაზე დაფუძნებული კურსი „კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ (Microeconomics of Competitiveness), ჩაერთოს ერთობლივ კვლევებში და სხვ. წლების წინ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა შექმნა პირველი პრეცედენტი და **წარადგინა დოქტორანტ თამარ ხახიშვილის სადისერტაციო ნაშრომის**: „მართვის ინოვაციური მიდგომები - ქალაქებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა“, ფარგლებში ჩატარებული კვლევის შუალედური შედეგები; რომელიც საფუძველი გახდა ამ მიმართულებით სხვა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად. თანამშრომლობა გრძელდება და 2023 წლის სექტემბერში, გრუნის ფინანსური მხარდაჭერით, შედგა პოსტდოქტორანტის თამარ ხახიშვილის კვლევითი ვიზიტი ჰარვარდის ბიზნესსკოლის (HBS) სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში. თამარ ხახიშვილი წარმატებით განაგრძობს მუშაობას კვლევით პროექტზე „ინდუსტრია 5.0-ის გავლენა ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე“. კვლევითი ვიზიტის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ქალაქებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხები და მათზე ახალი ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდის - ინდუსტრია 5.0-ის, გავლენა. სადოქტორო თემაზე მუშაობის დროსაც დოქტორანტს ქართველ მეცნიერებთან ერთად სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა პროფესორი ქენეთ პოლ შარმანი. https://gruni.edu.ge/main/news/1696346917 2023 წლის 13 ივნისს, ჰარვარდის ბიზნესსკოლის სასწავლო კურსის -

	„კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკა“ (MOC), ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო ონლაინლექცია თემაზე: **„ინოვაციები და კონკურენტუნარიანობა ძლიერი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მშენებლობისათვის“.** შეხვედრას ესწრებოდნენ გრუნის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, რომლებმაც საინტერესო დისკუსია გამართეს ჰარვარდის აფილირებულ პროფესორ კენეტ ჩარმანთან. შეხვედრა 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროფესორი კენეტ ჩარმანი ჰარვარდის ბიზნესსკოლის MOC-ის აზიის საბჭოს თავმჯდომარეა. შეხვედრას ორგანიზებას გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლა უწევდა. https://gruni.edu.ge/main/news/1687407620 თანამშრომლობა სხვა მხრივაც გრძელდება. გრუნის ბიზნესისა და მართვის სკოლის სტუდენტები: მიხეილ მაისურაძე, ქეთი ფხალაძე, ლუკა ჩხენკელი, სოფო დათუკიშვილი, მარიამ ბექოშვილი, ჰარვარდის ბიზნესსკოლის ქეისების ანალიზის კონკურსში მონაწილეობენ, რომელიც ჰარვარდის ბიზნესქეისების რიგით მეოთხე კონკურსი TBSC Consulting-ისა და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროექტი და საქართველოში ბიზნესფაკულტეტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, გრუნის სტუდენტებმა წარმატებით დაძლიეს ღია რაუნდი და გადავიდნენ ნახევარფინალში, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და კონკურსში მონაწილეობის გამოცდილება ახალგაზრდებს უდავოდ დაეხმარებათ პროფესიულ განვითარებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1684492199 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.1	**სასწავლო-კვლევითი ლაბი - კრიპტო ვალუტის, მაინინგის ფერმის მოწყობა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი , 2023
კვლევის მეთოდი	ინტერვიუ. ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესურა (10)
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მოცემულ პირობებში ამ პუნქტის შესრულება არ ჩაითვალა აქტუალურად, სანაცვლოდ ბიზნესისა და მართვის სკოლის ბაზაზე სასწავლო მიზნებისთვის გაიხსნა ორი სასწავლო ლაბორატორია: GRUNI Trading Lab და მდგრადი განვითარების ცენტრი (GRUNI SDGs), როგორც მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტი.

	https://gruni.edu.ge/main/news/1708847775 https://gruni.edu.ge/main/news/1696852005 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**
აქტივობა 2.3.2	**სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების შექმნა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორიების გასახსნელად გაწეული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გრუნის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ ცხადყო, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ყველა იმ პროექტში, რომელიც შესაფერის გარემოს უქმნის მეცნიერებს, ახალგაზრდა მკვლევრებს, სტუდენტებს, ეზიარონ სამეცნიერო საქმიანობის საფუძვლებს, აიმაღლონ განათლების დონე და გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მიღწევები და გამოცდილება. ამ მიზნით უნივერსიტეტში, 2023 წლის 29 მაისს კიდევ ერთი სტუდენტური კვლევითი ერთეული შეიქმნა. დოქტორანტ თორნიკე მერებაშვილის წინადადებით დაარსდა მიწის სამართლის კვლევითი ცენტრი, სადაც განხორციელდება მიწის სამართალთან დაკავშირებული კვლევები, მათ შორის, მულტიდისციპლინური. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, დოქტორანტ გიორგი მომცემლიძის წინადადებით შექმნილი იუვენოლოგიის სტუდენტური კვლევითი ლაბორატორიას დღეისათვის შეეცვალა სტატუსი და ფუნქციონირებს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ასოცირებული პროფესორი გიორგი მომცემლიძე ხელმძღვანელობს. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.3	**კვლევით ერთეულებში პოსტდოქტორანტთა პროგრამების განხორციელება**

მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ **6 თვეში ერთხელ**
კვლევის მეთოდი	**კვლევის მეთოდები -** გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. დახურული კითხვარის მეშვეობით ონლაინ გამოიკითხა აღნიშნული საკითხის განმახორციელებლი პერსონალი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, კოორდინატორი (10).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, უნივერსიტეტმა, 2022 წლის 15 აპრილს, პოსტდოქტორანტთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე, პოსტდოქტორანტთა თანამდებობაზე აირჩია ორი ახალგაზრდა მკვლევარი, თამარ ხახიშვილი, რომელიც ახორციელებს კვლევას „ინდუსტრია 5.0-ის გავლენა ქვეყნების კონკურენტუნარიანობაზე“ და გიორგი მომცელიძე, რომელიც მუშაობს მონოგრაფიაზე „იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება“. **2023 წლის 04 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო მმართველობის დოქტორის, პოსტდოქტორანტის, გრუნის იუვენოლოგიის სამეცნიერო-კველევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელის გიორგი მომცელიძის მონოგრაფიის - „იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება“, პრეზენტაცია. მონოგრაფია მომზადდა პოსტდოქტორანტურის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგად და გამოიცა იუვენოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საგამომცემლო პროექტის ფარგლებში, მას რედაქტორობას უწევდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე. პრეზენტაციაზე მონოგრაფიის ავტორმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო გამოცემის ფუნქციაა საფუძველი ჩაუყაროს ინტერდისციპლინურ დარგს - იუვენოლოგიას, მეცნიერებას ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ახალ სამეცნიერო პარადიგმას. მონოგრაფიაში მოცემულია მისი კონცეპტუალური და სამეცნიერო თავისებურება და სოციალური ინდიკატორები ახალგაზრდობის ფენომენის ცალკეული ასპექტის შემსწავლელი დარგების კონტექსტში, დასაბუთებულია იუვენოლოგიის აქტუალიზაციის აუცილებლობა, როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორცილებისათვის კომპლექსური მეცნიერული საფუძვლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. https://gruni.edu.ge/main/news/1683780088 მიმდინარეობს დაკვირვება სხვა დოქტორანტებთან მიმართებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.3.4	**დოქტორანტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ სექტემბერი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში ანკეტირებით (დახურული კითხვების მეშვეობით) გამოიკითხა სამიზნე ჯგუფი - სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტები (12), შემოწმდა კონფერენციის მასალები, გამოცემული კრებულები, ოფიციალური ვებგვერდი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მონიტორინგის ჯგუფმა დაადგინა, რომ გრუნიში სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარება და ახალი თაობის სამეცნიერო კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტებია, შესაბამისად, გრუნი მნიშვნელოვან მხარდამჭერ აქტივობებს ახორციელებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებში ახალგაზრდა მკვლევრების მონაწილეობის გასაზრდელად. **დოქტორანტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში:** სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის ყოველწლიურად ევრაზიის საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენცია იმართება, რომელსაც უნივერსიტეტი პარტნიორ ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან (ESI) ერთად ატარებს. მეთორმეტე საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმის გამართვა **2023 წლის 21-22 სექტემბერს** დაიგეგმა, ამჟამად მიმდინარეობს ფორუმის მოსამზადებელი სამუშაოები და მასზე მოწვეული არიან როგორც ქართველი, ისე პოლონელი, ამერიკელი, მექსიკელი, თურქი და სხვა ქვეყნების მეცნიერები. მუშაობა თემატური სესიების მიხედვით წარიმართება: მედიცინა, სამართალი, ბიზნესი, ეკონომიკა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები. ფორუმზე წარმოდგენილი კვლევები დაიბეჭდება ევროპის სამეცნიერო ჟურნალში.

	2022 წლის 24-25 დეკემბერს გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა უნივერსიტეტის დაარსების 30- წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „საქართველოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები გლობალური გამოწვევების ფონზე: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები.“ **პირველი სამუშაო დღე განკუთვნილი იყო დოქტორანტთა,** მეცნიერ-თანამშრომელთა, მკვლევრების, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთათვის. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: **გერმანიის, თურქეთის, ამერიკისა და საქართველოს** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი, მეცნიერები. https://gruni.edu.ge/main/news/1679405814 **2023 წლის 10 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია: „საქართველოს ევროპული ინტეგრაცია - მიღწევები და გამოწვევები“, რომელზეც მოხსენებები წარადგინეს უნივერსიტეტის თბილისისა და ბათუმის პროფესორებმა, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა, **დოქტორანტებმა.** მოხსენებები შეეხებოდა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, ევროპის კავშირის სხვადასხვა რეკომენდაციის შესრულების პროცესს, ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებსა და სხვა აქტუალურ საკითხებს. https://gruni.edu.ge/main/news/1684399376 **2022 წლის 12 დეკემბერი.** პრაღის ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხარკოვის, პეტრე ვასილენკოს სახელობის უნივერსიტეტის, მიერ ერთობლივად ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში -„მედია და განათლება“, მონაწილეობდნენ გრუნის პროფესორები: თამარ გაგოშიძე - ასოცირებული პროფესორი, გოჩა ოჩიგავა - ასოცირებული პროფესორი, ელისო ჩაფიძე - მოწვეული პროფესორი, როზმარინა დუბოვსკა - საპატიო დოქტორი, **ლანა ყურაშვილი - დოქტორანტი.** https://gruni.edu.ge/main/news/1670844986 **2023 წლის 9 ივლისს,** USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის ორგანიზებით, წყალტუბოში იურიდიული კლინიკური განათლების კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 15 უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომლებიც კლინიკური იურიდიულ განათლების საკითხებსა და საკუთარი იურიდიული კლინიკების ფორმირებასა და განვითარებაზე მუშაობენ. თანამედროვე იურიდიული კლინიკური განათლების გამოწვევებსა და მეთოდოლოგიაზე

	კონფერენციის მონაწილეებს თავისი გამოცდილება გაუზიარა ნორსვესტერნის უნივერსიტეტის პროფესორმა - ბრიჯიტ არიმონდმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ **გრუნის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები: ქეთევან გაბრიჭიძე და მარიამ გერსამია.** https://gruni.edu.ge/main/news/1690040570 **2023 წლის 19 მაისს,** ევროკავშირის მხარდაჭერით, სლოვაკეთის იან კომენსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით "milniky prava", რომელშიც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერ-მკვლევრები იღებდნენ მონაწილეობას. იან კომენსკის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტმა საერთაშორისო კონფერენციაზე საგანგებოდ მიიწვია **გრუნის დოქტორანტი - თორნიკე მერებაშვილი,** რომელიც, სამეცნიერო -კვლევითი ვიზიტის ფარგლებში, რამდენიმე თვე თანამშრომლობდა აღნიშნულ უნივერსიტეტთან. თორნიკე მერებაშვილმა, როგორც მიწის სამართლის სფეროს მკვლევარმა, კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება: „Social function of the property Registration of the ownership right to the agricultural plot by rightful owner in context". სტატია იან კომენსკის უნივერსიტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდება. https://gruni.edu.ge/main/news/1686891597 **2022 წლის 21-22 ოქტომბერს** თურქეთში, სტამბოლის Fenerbahce University - ში გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებებს მიეძღვნა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: გერმანიის, უკრაინის, პაკისტანის, ბანგლადეშის, რუმინეთის, ინდონეზიის, მალაიზიის, საფრანგეთის, ხორვატიის, საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების, მოლდავეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, თურქეთის, ჩრდილოეთ კვიპროსის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, ავსტრალიის, ისრაელის, კუბის, სერბეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. კონფერენციამ განიხილა პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო, ინტერნაციონალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ტრენდები და პერსპექტივები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტური მხარდაჭერის საკითხებში, **დოქტორანტი გუგული თურმანიძე** და ბიზნესისა და მართვის სკოლის ასოცირებული პროფესორი თინათინ ჟორჟოლიანი. სამუშაო სესიებზე მათ ინდივუდუალურად წარადგინეს მოხსენებები, დამსწრეებს გააცნეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო, დაფინანსების გზები და ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები. https://gruni.edu.ge/main/news/1668099643

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 2.3.5	**ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023 წელი
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხა სამიზნე ჯგუფის წევრები, აკადემიური პერსონალი, ახალგაზრდა მკვლევრები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი (18).
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შეფასებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის მისაღწევად, საინტერესო სამეცნიერო მასალების გასაცნობად და გასაზიარებლად გრუნი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებსა და პროფესორებს, გამოიყენონ 10 სხვადასხვა სამეცნიერო ბაზა, შესაბამისად, უნივერსიტეტი მუდმივად უზიარებს აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს თანამედროვე, ინოვაციური კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე არსებულ მიღწევებს, კერძოდ: **2023 წლის 17 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა სამეცნიერო ფორუმი სახელწოდებით „ციფრული რეფერენდუმი: საჯარო მმართველობის ეფექტური მოდელირება“. ფორუმი განხორციელდა უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის და საჯარო მმარველობისა და პოლიტიკის სკოლისთვის დაწესებული საგრანტო პროექტის ფარგლებში და განეკუთვნება სახელმწიფოს მართვის პრაქტიკული განხორციელების უახლესს მოდელს - **ციფრულ რეფერენდუმს.** სამუშაო პანელი მოიცავდა პლენარულ სასესიო განხილვას, ფოკუსჯგუფთან კვლევის ჩატარებას, თემატური მოხსენებების წარდგენასა და დისკუსია/შეჯამებას. მკვლევრები, საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები, სამთავრობო, საჯარო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლები და სტუდენტები განიხილავდნენ საჯარო და მმართველობითი სივრცის გაციფრულების, ციფრული რეფერენდუმისა და საჯარო სივრცის ტრანსფორმაციის ინოვაციურ საკითხებს, მეთოდებსა თუ მიდგომებს. https://gruni.edu.ge/main/news/1687758560 2023 წლის 2 და 7 მარტს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის

	პროფესორ-მასწავლებლები და ახალგაზრდა მკვლევრები, ბიბლიოთეკის ორგანიზებით, მონაწილეობდნენ ვებინარში საერთაშორისო ონლაინგამომცემლობა **"ELSEVIER"**- ის ორი სამეცნიერო ბაზის **"Scopus"**-ისა და **"scienceDirect"**-ის გამოყენების შესახებ. ვებინარებზე: "ლიტერატურის ძიება და ავტორის პროფილი Scopus-ში" და "ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley – გზამკვლევი დამწყებთათვის", მსმენელები გაეცნენ მაღალრეცენზირებადი ჟურნალებისა და სტატიების მოძიების, ასევე, დოკუმენტისა და ნაშრომების ციტირებისა და **h** ინდექსის დაანგარიშების პრინციპებს. https://gruni.edu.ge/main/news/1678857903 2022 წლის 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლება თემაზე: „აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარება". სწავლების მონაწილეებმა განიხილეს: სილაბუსების მოდიფიცირება, ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ის გამოყენება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კვლევითი გრანტის მოძიება, სამეცნიერო ჟურნალების მოძიება და ციტირების ინდექსის გაზრდა და სხვა. სწავლებას ორგანიზებას უწევდა ბიზნესისა და მართვის სკოლა. ამგვარი ტრენინგები, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას, მომავალშიც დაიგეგმება. https://gruni.edu.ge/main/news/1673930088 ელსევიერის" სამეცნიერო ბაზებზე წვდომისა და Scopus -ისა და ScienceDirect პლატფორმების შესაძლებლობების შესახებ მეტი ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის შეიქმნა ტრენინგებისა და დახმარების პორტალი, რომელთა მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ მოისმინონ ჩატარებული ვებინარების ჩანაწერები (მათ შორის, ქართულად) და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. https://gruni.edu.ge/main/news/1668767622 ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების აკადემიურ პერსონალსა და ახალგაზრდა მკვლევრებს გრუნიმ შესთავაზა ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში. შემოთავაზებული ოფიციალური ინტერნეტგვერდების მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკის, ბიზნესის მართვის, დასაქმების პოლიტიკის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ინფორმაცია სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ამ მიმართულებით ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას და აქვს სურვილი ითანამშრომლოს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო - სამეცნიერო (ეკონომიკურ) გამოცემებთან: https://gruni.edu.ge/main/news/1665499256

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 2.3.7	**ნიჭიერ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ მათი სწავლის დაფინანსებას და დოქტორანტის მუშაობის დაწყებას აკადემიურ თანამდებობაზე ხარისხის მინიჭების შემდეგ**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი:	გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი. საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა დოქტორანტები, სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი, დეკანები, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი (34). შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია: დოქტორანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხვითა და დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი განუხრელად განაგრძობს ნიჭიერ დოქტორანტთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას. დღეისათვის გრუნის 2 პოსტდოქტორანტი ჰყავს, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ კვლევას შერჩეული თემატიკის მიხედვით. ერთმა-გიორგი მომცელიძემ დაასრულა ნაშრომზე მუშაობა და მაისში წარადგინა კიდეც მონოგრაფია იუვენოლოგიის პოლიტიკური განზომილება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებითა და გრუნის რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის ბრძანებით (01-07/089) 2023 წლის 07 ივნისს საჯარო მმართველობის დოქტორი გიორგი მომცელიძე, კონკურსის საფუძველზე, დაინიშნა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. წარმატებით მიმდინარეობს გრუნის კიდევ ერთი დოქტორანტის-თორნიკე მერებაშვილის, სამეცნიერო საქმიანობა. მან დაასრულა კვლევითი ვიზიტი სლოვაკეთის იან კომენსკის უნივერსიტეტში, რომელიც გრუნის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელშეწყობითა და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში დოქტორანტმა მოისმინა სპეციალურად მისთვის

	შემუშავებული სასწავლო კურსი, რომელსაც, ასევე, ესწრებოდნენ საფრანგეთის, გერმანიის, ჩრდ. მაკედონიის უნივერსიტეტების სტუდენტები. **თორნიკე მერებაშვილმა,** კომენსკის უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სამეცნიერო ნაშრომებისა და უცხოელი კოლეგებისგან მიღებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე, თავის სადისერტაციო ნაშრომს ახალი თავები შემატა და დაიწყო ფიქრი მიწის სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის, მოდერნიზებაზე. https://gruni.edu.ge/main/news/1679297093 2022 წლის 24 თებერვალს, კონკურსის საფუძველზე, სამართლის სკოლის ასოცირებულ პროფესორად არჩეულ იქნა პოსტდოქტორანტი, ია ხურციძე. მიმდინარეობს დაკვირვება სხვა დოქტორანტებთან მიმართებით. საანგარიშო პერიოდში ნიჭიერ დოქტორანტთა მხარდასაჭერად, უნივერსიტეტისა და სხვადასხვა საერთაშორისო პუბლიკაციებში იბეჭდება წარმატებულ დოქტორანტთა სამეცნიერო სტატიები, იმართება სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ხორციელდება კვლევითი მივლინებები და სხვა. (იხილეთ პუნქტები: 2.1.3; 2.1.6; 2.1.9) მიმდინარეობს დაკვირვება სხვა დოქტორანტებთან მიმართებით. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.1	**პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI, ინტენსიურად გამოყენება და, ეტაპობრივად, ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა სწავლის შედეგების შესასწავლად და შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ონლაინგამოკითხვის მეთოდი (სტრუქტურირებული ინტერვიუ) და დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდი. გამოიკითხა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლების სწავლების ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები (17).

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	კვლევამ ცხადყო, რომ სანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის -TURNITINI-ის გამოყენება უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო საფეხურზე. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.2	**პლაგიატის აღმოჩენის უნარის გამომუშავების მიზნით ტრენინგების ორგანიზება მეცნიერ-ხელმძღვანელებისა და სტუდენტებისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის, ასევე, სტუდენტებისთვის, ჯგუფურად და ინდივიდუალურად, პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის გაცნობა. მომდევნო საანგარიშო პერიოდებშიც გაგრძელდება მუშაობა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების გაძლიერების მიმართულებით. **2022 წლის 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლება თემაზე: „აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარება“. სწავლების მონაწილეებმა განიხილეს: სილაბუსების მოდიფიცირება, ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ის გამოყენება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კვლევითი გრანტის მოძიება, სამეცნიერო ჟურნალების მოძიება და ციტირების ინდექსის გაზრდა და სხვა. სწავლებას ორგანიზებას უწევდა ბიზნესისა და მართვის სკოლა. ამგვარი ტრენინგები, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას, მომავალშიც დაიგეგმება. https://gruni.edu.ge/main/news/1673930088 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 2.4.3	**ანტიპლაგიატის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვის შედეგებით
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ანტიპლაგიატის შესახებ განხორციელებული მუშაობის შესახებ. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.1	**ბაზრის კვლევა პროფესიებზე მოთხოვნის შესასწავლად და შესაბამისი გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა გამოიკითხა სხვადასხვა სკოლის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (54) .
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, აღწერის პრინციპის საშუალებით, განხორციელდა მედიცინის დარგში მოქმედი დამსაქმებლების გამოკითხვა და მათი აზრის შესწავლა საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამის შესახებ. კვლევის შედეგები გადაეცა მედიცინის სკოლას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად, გამოიკვეთა აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადების საჭიროება, შესაბამისად, დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი აქტივობები: **2022 წლის 20-21 ოქტომბერს** ჩატარდა ტრენინგი OSCE-ს ორგანიზაციისა და მართვის საკითხებზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა მსმენელებისთვის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის არსის, მიზნების, სტრუქტურისა და ორგანიზაციული თავისებურებების შესახებ ცოდნის განვითარება, OSCE-ში ჩართულ ყველა სუბიექტისთვის, გამოცდის მიმდინარეობის პროცესში, ადეკვატური მოქმედების უნარის გამომუშავება. ტრენინგში მონაწილეობდა 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, 25 შემფასებელი 3 სტანდარტიზებული პაციენტი. https://gruni.edu.ge/main/news/1669305774

	„ელსევიერის“ სამეცნიერო ბაზებზე წვდომისა და Scopus -ისა და ScienceDirect პლატფორმების შესაძლებლობების შესახებ მეტი ინფორმაციის გაზიარების მიზნით, მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალისათვის შეიქმნა ტრენინგებისა და დახმარების პორტალი, რომელთა მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ მოისმინონ ჩატარებული ვებინარების ჩანაწერები (მათ შორის, ქართულად) და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. https://gruni.edu.ge/main/news/1668767622 **2022 წლის 18 ნოემბერს** მედიცინის სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი OSCE-ს ორგანიზაციისა და მართვის საკითხებზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა OSCE-ს პროცესის ყველა სუბიექტისთვის, მათ შორის, სტანდარტიზებული პაციენტისთვის ცოდნის მიწოდებას OSCE-ს მიზნების, სტრუქტურისა და ორგანიზაციული თავისებურებების შესახებ, გამოცდის დროს მოქმედების ადეკვატური უნარის გამომუშავებას დადგენილი სტანდარტის მიხედვით. ტრენინგში მონაწილეობდა 9 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. https://gruni.edu.ge/main/news/1683050112 **2022 წლის 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლება თემაზე: „აკადემიური და კვლევითი უნარების განვითარება“. სწავლების მონაწილეებმა განიხილეს: სილაბუსების მოდიფიცირება, ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ის გამოყენება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები, კვლევითი გრანტის მოძიება, სამეცნიერო ჟურნალების მოძიება და ციტირების ინდექსის გაზრდა და სხვა. სწავლებას ორგანიზებას უწევდა ბიზნესისა და მართვის სკოლა. ამგვარი ტრენინგები, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის კიდევ უფრო გაძლიერებას, მომავალშიც დაიგეგმება. https://gruni.edu.ge/main/news/1673930088 **2023 წლის 21 იანვარს** მედიცინის სკოლის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი OSCE-ს ორგანიზაციისა და მართვის საკითხებზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა OSCE-ს (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის) ჩატარებისათვის მომზადებას, მისი არსის, მიზნების, სტრუქტურისა და ორგანიზაციული თავისებურებების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარებას, OSCE-ში ჩართული ყველა სუბიექტისთვის, გამოცდის მიმდინარეობის პროცესში, ადეკვატური მოქმედების უნარის გამომუშავებას. ტრენინგში მონაწილეობდა 10 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. https://gruni.edu.ge/main/news/1683049655

	2023 წლის 2 და 7 მარტს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ახალგაზრდა მკვლევრები, ბიბლიოთეკის ორგანიზებით, მონაწილეობდნენ ვებინარში საერთაშორისო ონლაინგამომცემლობა **"ELSEVIER"**- ის ორი სამეცნიერო ბაზის **"Scopus"**-ისა და **"scienceDirect"**-ის გამოყენების შესახებ. ვებინარებზე: "ლიტერატურის ძიება და ავტორის პროფილი Scopus-ში" და "ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley – გზამკვლევი დამწყებთათვის", მსმენელები გაეცნენ მაღალრეცენზირებადი ჟურნალებისა და სტატიების მოძიების, ასევე, დოკუმენტისა და ნაშრომების ციტირებისა და **h** ინდექსის დაანგარიშების პრინციპებს. https://gruni.edu.ge/main/news/1678857903 **2023 წლის 28 აპრილს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორ ლიანა სირაძის ინიციატივით, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ფასილიტაციის სესია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების შესახებ. სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ გრუნის პროფესორ-მასწავლებლები და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. განიხილეს შემდეგი საკითხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვა განვითარებული ქვეყნის (შვეიცარია) მაგალითზე და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის გამოწვევები. გრუნის პროფესორმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა ლიანა სირაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო შვეიცარიაში, საერთაშორისო კონფერენციაზე - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა"- მიღებული ინფორმაცია და ამ ქვეყნის გამოცდილება, რომელიც მოიცავს ქვეყნის მასშტაბით ეპიდსიტუაციის უსაფრთხოებასა და მონიტორინგს, იმუნიზაციას, ეპიდზედამხედველობას, დაავადებათა პრევენციასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციებზე დროულ რეაგირებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, საინფორმაციო მხარდაჭერას, გარემოს მავნე ფაქტორებისა და ქცევითი რისკფაქტორების პრევენციას, გამოყენებითი და ფუნდამენტალური ბიოსამედიცინო სამეცნიერო ლაბორატორიული კვლევების განხორციელებას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლაბორატორიული სისტემის განვითარებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. https://gruni.edu.ge/main/news/1683091237 **2023 წლის 19 და 26 აპრილს** მედიცინის სკოლის სტომატოლოგიის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR)", რომელსაც უძღვებოდა მედიცინის სკოლის პროფესორი, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამედიცინო განათლების ექსპერტი, სტომატოლოგიის საუნივერსიტეტო ცენტრის „გრუნივერსი" ხელმძღვანელი ნინო წილოსანი. CBCR სამედიცინო განათლების

	ექსპერტების მიერ აღიარებულია სწავლების ინოვაციურ მეთოდად. მისი მიზანია გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, რთული ქეისების კომპლექსურად შეფასების და დიაგნოსტირების უნარების გამომუშავება, მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება და დაგეგმარება. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს სტუდენტზე ორიენტირებული და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული მეთოდის დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პრინციპები, კლინიკური ქეისების მომზადების თავისებურებები, სესიის მონაწილეების-კონსულტანტის (მასწავლებლის), ლიდერი სტუდენტებისა და სესიის მონაწილე სხვა სტუდენტების როლი და ფუნქციები, ასევე, სტუდენტთა კლინიკური აზროვნების უნარების შეფასების კრიტერიუმების შედგენის პრინციპები და სხვა. https://gruni.edu.ge/main/news/1683561245 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლამ და Partner of Ivoclar Academy Tbilisi -მ ერთობლივად ჩაატარეს შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება კლინიკურ ორტოპედიაში (CBL-ტრენინგი) „ესთეტიკური და ფუნქციური რეაბილიტაცია ადჰეზიური კერამიკული რესტავრაციებით“. კურსი განკუთვნილ იყო ექიმი-ორთოპედებისა და რეზიდენტებისათვის. CBL ტრენინგის საშუალებით მსმენელებს მიეცათ შესაძლებლობა კლინიკურ ორთოპედიაში შეეძინათ არა მარტო ფუნდამენტური თეორიული ცოდნა ადჰეზიური კერამიკული რესტავრაციების შესახებ, არამედ განემტკიცებინათ კლინიკური უნარების ფართო სპექტრი რესტავრაციულ სტომატოლოგიაში გერმანული კომპანია Ivoclar-ის პრემიუმ ხარისხის სარესტავრაციო მასალებით. https://gruni.edu.ge/main/news/1689526761 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.2	**სკოლის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი აქტივობების განხორციელება „ Teen Academy”-ის ფარგლებში**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მოსწავლეების საგანმანათლებლო, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლების მიზნით გრუნის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია „Teen Academy”. პროექტის

	ფარგლებში ფორმალურთან ერთად ხშირად განიხილავენ არაფორმალური განათლების საკითხებს, საუბრობენ იმ გამოწვევების შესახებ, რაც დღეს აღელვებს მოზარდებს, ყურადღებას უთმობენ თანასწორობის, თანადგომის პრინციპებს, აქტიური სამოქალაქო პოზიციის ფორმირებას და ა.შ. ქვეყნის, სამშობლოს, ენის სიყვარულს. ყოველწლიურად პროექტი უფრო მრავალმხრივი და მასშტაბური ხდება და მასში სულ უფრო და უფრო მეტი მოზარდი ერთიანდება, შეიცვალა უნივერსიტეტის მხარდაჭერისა და საპრიზო ფონდის მასშტაბებიც. წელს „Teen Academy"-ის პროექტი რამდენადმე განსხვავებულად დაიწყო. ის უკვე ორ მნიშვნელოვან, თუმცა შინაარსობრივად განსხვავებულ პროექტს აერთიანებს. პირველი- „ბავშვები თანასწორობისათვის", რომელიც გაეროს ბავშვთა კომიტეტის წევრის, უნივერსიტეტის ლექტორის - სოფიო კილაძის, ინიციატივით ხორციელდება. მეორე პროექტი კი პროფესიული ორიენტაციის საკითხებს დაეთმობა. **პროექტი „ ბავშვები თანასწორობისათვის"** პროექტი **2023 წლის 12 იანვარს** გაიხსნა და მასში 1800 მოსწავლე მონაწილეობდა.პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვებს თანასწორობის უფლების არსის გააზრებაში. პროექტი ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ერთი მხრივ, თავად იზრუნონ ადამიანებზე, საზოგადოებაზე, სამშობლოზე, მეორე მხრივ, სხვებსაც მისცენ მოტივაცია. პროექტის ფარგლებში ბავშვები წარმოადგინეს პროექტები, რომლელთა მიზანია: მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება; საზოგადოებაში თანასწორობის უფლების განმტკიცება; მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა; თანასწორობის უფლების დაცვისა და განვითარების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა. https://gruni.edu.ge/main/news/1673507086 12 იანვარს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში პროექტის გასაცნობად პირველი შეხვედრა გაიმართა. https://gruni.edu.ge/main/news/1674201734 პროექტი ორ თვეს და რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა, რომელშიც თბილისისა და რეგიონების 600-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. მოსწავლეების მიერ მომზადებულ პროექტებში სხვადასხვა ასპექტით მოცემული იყო მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა, მოხალისეობრივი საქმიანობა, ადამიანებზე, საზოგადოებასა და სამშობლოზე ზრუნვა. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, გამოავლინა 3 საუკეთესო პროექტი: **1. „უთანასწორობით გამოწვეული საგანამანათლებლო პრობლემები რეგიონებსა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე"**

	(ანა შამათავა, ნინი ქათამაძე - სენაკის ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებელი სკოლა-გიმნაზიის მე-12 კლასის მოსწავლეები); **2. ფორუმ-თეატრი „მომავალი ძალადობის გარეშე“** (სესილი დავლაძე, მარიამ შარაშენიძე - ზესტაფონის №5 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ.კვალითის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე); **3. „ჩვენ ვირჩევთ თანასწორობას“** (სალომე ხურცილავა, მარიამ დათიაშვილი - რუსთავის მე-18 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები). უნივერსიტეტის გადაწყვეტილებითა და ფინანსური მხარდაჭერით, გამარჯვებული მოსწავლეები 2023 წლის 11-15 ოქტომბერს გაემგზავრებიან ბელგიაში, ეწვევიან ბრიუსელსა და ბრიუგეს, ევროკავშირის სტრუქტურებსა და ნატოს შტაბ-ბინას, შეხვდებიან ევროპარლამენტარებსა და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ღონისძიებაში. https://gruni.edu.ge/main/news/1687752984 „Teen Academy”-ის მეორე პროექტი, რომელიც მოსწავლეების საგანმანათლებლო, პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობასა და უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას ემსახურება, დაიწყო მარტში. წელს ამ პროექტში თბილისიდან და რეგიონებიდან 350-მდე მოსწავლე ჩაერთო, წინა წლებისაგან განსხვავებით, პროექტს დაემატა „გახდი დიპლომატი“, განახლდა პროექტი „მედიაცია“. უნივერსიტეტმა მოსწავლეებს უპირატესად პრაქტიკული ხასიათის პროგრამები შესთავაზა: პირველ შეხვედრაზე განიხილეს კონკრეტული საკითხები სპეციალობების მიხედვით და დავალებებიც მიიღეს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, ბიზნესის, ჟურნალისტიკისა და გახდი დიპლომატის პროგრამებში ჩართულმა მოსწავლეებმა.ამასთან, დაგეგმილია საინტერესო შეხვედრები ცნობილ მოსამართლეებთან, პროკურორებთან, ადვოკატებთან, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან და ბიზნესმენებთან, პოლიტიკოსებთან, ფსიქოლოგებთან, და ჟურნალისტებთან; მოსწავლეები ეწვევიან გრუნის კლინიკა „გრუნივერსს“, იმუშავებენ სასწავლო ლაბორატორიებში.უფრო მრავალფეროვანი გახდა პრიზებიც, 100 % და 50 %-იან დაფინანსებას მიიღებენ გამორჩეული, აქტიური და საინტერესო პროექტების ავტორები, 5 მოსწავლე ჩაერთვება ორგანიზაცია „გლოუს“ საზაფხულო სკოლის მუშაობაში, 2 -კი პარტნიორი ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით გაემგზავრება ევროპაში, არაფორმალური განათლების სემინარებზე. პროექტის ყველა მონაწილე 20%-იანი სასწავლო გრანტის მფლობელი გახდება. https://gruni.edu.ge/main/news/1678279966 პროექტის ფარგლებში მოსწავლეები 8 სხვადასხვა სპეციალობას გაეცნენ:

	▯ „გახდი იურისტი“/ „მედიაცია“, ▯ „გახდი საჯარო მოხელე / შეხვედრა პოლიტიკოსებთან, დიპლომატებთან, პროფესორებთან, საჯარო მოხელეებთან“, ▯ „გახდი დიპლომატი“/ევროკავშირის საბჭოს მოდელირება; ▯ „ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, მარკეტინგი, ტურიზმი“ ▯ „გახდი ფსიქოლოგი“, ▯ „გახდი ჟურნალისტი“, ▯ გახდი სტომატოლოგი“, წელს ამ პროექტში თბილისიდან და რეგიონებიდან 350-მდე მოსწავლე ჩაერთო, წინა წლებისაგან განსხვავებით, პროექტს დაემატა „გახდი დიპლომატი“, განახლდა პროექტი „მედიაცია“, რომელიც პანდემიის გამო, პროექტის ფორმატიდან გამომდინარე, იყო შეჩერებეული. 2023 წლის პროექტი რამდენადმე განსხვავებული იყო შინაარსობრივადაც და პრიზებითაც: დაწესდა 100% და 50 %-იანი სასწავლო გრანტი, 5 მოსწავლე ჩაერთო ორგანიზაცია „გლოუს“ საზაფხულო სკოლის მუშაობაში, 2 -კი პარტნიორი ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით გაემგზავრა ევროპაში, პროექტის ყველა მონაწილე 20%-იანი სასწავლო გრანტის მფლობელი გახდა. მოსწავლეებმა მიიღეს შეთავაზება პრაქტიკული ინგლისურის კურსების შესახებ და სტაჟირება გრუნის სასწავლო და შემოქმედებით ლაბორატორიებში; **გაცემული პრიზები:** **ნინო გვასალია - 100%-იანი საუნივერსიტეტო სასწასვლო გრანტი** მედიაციის იმიტირებულ პროცესში მიღწეული წარმატებისათვის **დავით აშოტიანი** **-100%-იანი საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტი** ევროპარლამენტის მოდელირებაში მიღწეული წარმატებისათვის **შორენა ბარბაქაძეს** **-100%-იანი საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტი** საუკეთესო პროექტის მომზადებისთვის **თემურ ბეიტრიშვილი** **50%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი.** საუკეთესო საკანონმდებლო ინიციატივისათვის გადაეცა **გიორგი ამირხანიანი** **- 50 %-იანი საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტი** პროექტის „გახდი იურისტი“ მონაწილეს **საბა ყანჩაშვილი**

	50%-იანი საუნივერსიტეტო გრანტი, პროექტის „გახდი ჟურნალისტი“ მონაწილეს საუკეთესო პროექტის მომზადებისთვის გადაეცა **თენგო კანდელაკი** **-50%-იანი საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტი** ევროპარლამენტის მოდელირებაში მიღწეული წარმატებისათვის **ნია კაპანაძე** **-50%-იანი საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტი** ევროპარლამენტის მოდელირებაში მიღწეული წარმატებისათვის **გრიგოლ უსუფაშვილი** **მედიაციის იმიტირებულ პროცესში მიღწეული საუკეთესო შედეგისათვის გადაეცა პრიზი- ტური ევროპაში** **2023 წლის 29 ივნისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა წარმატებით დაასრულა პრაქტიკული ინგლისური ენის 2-თვიანი კურსი „Teen Academy“-ის მონაწილე მოსწავლეებისათვის. ორი ჯგუფი, კვირაში 2-ჯერ ერთვებოდა სწავლებაში, რათა გაეუმჯობესებინათ სასაუბრო მეტყველება ინგლისურ ენაში. მეცადინეობებს უძღვებოდნენ ინგლისური ენის პედაგოგები - სოფიო სოფრომაძე და მარი ყურაშვილი, რომლებმაც სულ ახლახან, გრუნის მხარდაჭერით, წარმატებით დაასრულეს ტეხასის A&M უნივერსიტეტის TESOL პროგრამა და აქვთ ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების დიდი გამოცდილება. პრაქტიკული ინგლისური ენის კურსი, რომელიც შეიქმნა სპეციალურად Teen Academy-ის მონაწილეებისთვის, ფოკუსირებული იყო სასაუბრო, ზოგად ინგლისურზე და მიზნად ისახავდა გამოთქმის, საუბრის, მოსმენის უნარისა და ლექსიკური მარაგის გაუმჯობესებას. 29 ივნისს, კურსების საზეიმო დახურვის ცერემონიაზე, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა შეაჯამეს შედეგები და მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტს ამ შესაძლებლობისათვის. https://gruni.edu.ge/main/news/1688099673 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.3	**საჯარო სამსახურის მოხელეთა საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის გაგრძელება და სამართლებრივი საკონსულტაციო მომსახურების პლატფორმის დამატება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ

კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გრუნის საკონსულტაციო ცენტრი აგრძელებს ეფექტურ მუშაობას, ცენტრმა რამდენადმე შეიცვალა სახე და ფუნქცია და ის ახლა მხოლოდ საჯარო მოხელეებს კი არა, მოსახლეობასაც უწევს საკონსულტაციო მომსახურებას სამართლებრივ ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პირველი პროექტი, რომელიც ამ მიმართულებით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრმა განახორციელა, არის თბილისის მერიის „ჩემი ადვოკატის“ ბენეფიციარების უსასყიდლოდ მომსახურება. პროექტში ჩართული არიან გრუნის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ცენტრის აპარატის უფროსის, დოქტორანტ ***ნინა გერსამიას*** ხელმძღვანელობით გაიარეს შესაბამისი მომზადება და პროექტის ფარგლებში მიღებული საქმეების წარმოებას ტექნიკურად უზრუნველყოფენ. https://gruni.edu.ge/main/news/1671362016 აჭარის რეგიონში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ბაზაზე, სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერით, გაიხსნა სასამართლო მედიაციის ცენტრი. ბათუმში მედიაციის ცენტრის გახსნა ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მხარდამჭერი და ნეიტრალური გარემოს შექმნას, სადაც მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მედიატორების დახმარებით სწრაფად და მშვიდობიანად მოაგვარონ უთანხმოება. უნივერსიტეტის ბაზაზე ამგვარი ცენტრის დაარსება კი დაეხმარება სტუდენტებს პრაქტიკულად ჩაერთონ მედიაციის პროცესის მომზადებაში და მიიღონ პროფესიული გამოცდილება. https://gruni.edu.ge/main/news/1672393192 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.2.4	**საექსპერტო მომსახურების გაფართოება სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა

კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	პანდემიის შემდგომ, გრუნიში აღდგა სამართლის მიმართულებით საექსპერტო საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობს კრიმინალისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი გია დეკანოზიშვილი. გასათვალისწინებელია, რომ ბიზნესისა და მართვის სკოლის პერსონალის ცალკეული წარმომადგენელი ეწევა საექსპერტო საქმიანობას, მაგრამ, როგორც ინდივიდუალური მეწარმე სუბიექტი. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 3.2.5	**სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისთვის უფასო ან შეღავათიანი მომსახურების გაგრძელება უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოიკითხა გრუნის აკადემიურ/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები (39), შემოწმდა კლინიკის შესაბამისი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გამოკითხულთა შედეგად, დადგინდა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის საუნივერსიტეტო ცენტრი „გრუნივერსი“ გრუნის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს სთავაზობს 20 პროცენტიან ფასდაკლებას სტომატოლოგიური მომსახურების სრულ სპექტრზე, ხოლო მოწყვლად მოსახლეობას - უფასო ან მაქსიმალურად შეღავათიანი ტარიფით ემსახურება. სტომატოლოგიური ცენტრი აღჭურვილია უახლესი აპარატურით და ატარებს ყველა სახის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.3.1	**სტუდენტთა მივლინება ევროპაში სასერტიფიკაციო კურსების გასავლელად**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივლისი, 2023

კვლევის მეთოდი	გამოკითხვა, დოკუმენტაციის ანალიზი მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოიკითხნენ სამიზნე ჯგუფის წევრები/ გრუნის სტუდენტები, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის თანამშრომლები (33), შემოწმდა აღნიშნულ კურსებში გრუნის სტუდენტთა მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ პარტნიორი ორგანიზაციების საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც ფორმალური და არაფორმალური განათლების საკითხებთან ერთად სტუდენტებს უვითარებს სხვადასხვა პროფესიულ უნარ-ჩვევას და სძენს პრაქტიკულ გამოცდილებას. **საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა:** **2023 წლის 9 ივლისს** გრუნის მედიცინის, ფსიქოლოგიისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები - მარიამ მექვაბიძე, მარიამ ბრეგვაძე და ვახო ბაბუნაშვილი, გერმანიის საერთაშორისო სემინარებიდან დაბრუნდნენ. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები პარტნიორი ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთნენ და შშმ პირებთან ურთიერთობისა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის თაობაზე დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689176538 **2023 წლის 3-10 ივლისს,** გრუნის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, ნანა ბიჭაშვილი და გიორგი ლუხავა, იმყოფებოდნენ სომხეთში, ქალაქ გიუმრში და მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროექტში: „ნაბიჯი წინ კონფლიქტების მართვისკენ”. ერთკვირიან სასწავლო კურსში, რომელიც უკავშირდებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობასა და მოლაპარაკებებში კონფლიქტების მენეჯმენტს, გრუნის სტუდენტები ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთვნენ და კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის შენარჩუნების არაერთი მეთოდი შეისწავლეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689622580 **2023 წლის 3 სექტემბერს** საერთაშორისო ორგანიზაციასთან - „გლოუ საქართველო“, ერთად განხორციელდა პროექტი „სამოქალაქო და ლიდერული უნარების განვითარება ქართველი და ჩეხი გოგონებისთვის". სადისკუსიო თემები შეეხებოდა საზოგადოების ჩართულობასა და გენდერულ თანასწორობას. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ქართველი, ისე ჩეხი გოგონები, მათ შორის, გრუნის პროექტის - Teen Academy, გამარჯვებული მონაწილეები. პროექტის

	პირველი ნაწილი ჩატარდა ჩეხეთში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო შეხვედრა საჯარო და არაკომერციული სფეროს ლიდერებთან, მეორე კი - გრუნიში. შემაჯამებელ შეხვედრაზე გლოუკლუბის წარმომადგენლებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მონაწილეებს, განიხილეს თანამედროვე, აქტუალური საკითხები და დაგეგმეს სამომავლო პროექტები. https://gruni.edu.ge/main/news/1696430548 **2023 წლის 17 მაისს** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა კიდევ ერთი პროექტი განახორციელა ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან " პარტნიორობის ფარგლებში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი: ხატია მამასახლისი, ხატია ოგანესიანი და მარიამ კახნიაშვილი, 10 - დღიან სემინარებზე იმყოფებოდა რუმინეთში. პროექტის „Inclusion starts with accessibility" ფარგლებში ჩატარებული სემინარები ეხებოდა შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხს, რომელსაც მასპინძლობდა რუმინული ორგანიზაცია „Rock-Solid Foundation". https://gruni.edu.ge/main/news/1684392845 **2023 წლის 16-22 აპრილს** ჩატარდა პოლონეთის სემინარები, რომელშიც გრუნის მედიცინისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის 2 სტუდენტი: მარიამ მექვაბიძე და მარიამ ბრეგვაძე მონაწილეობდა, სემინარებზე შშმ პირებთან მუშაობისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხები განიხილეს. სემინარების ბოლოს მონაწილეებს საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცათ. https://gruni.edu.ge/main/news/1683223063 **2023 წლის 12–23 ივნისს,** ბაქოში, ADA-ს უნივერსიტეტისა (აზერბაიჯანი) და განვითარებისა და დიპლომატიის ინსტიტუტის (IDD) ორგანიზებით, კა'ფოსკარის უნივერსიტეტთან (იტალია) პარტნიორობით, გაიმართა 2-კვირიანი საზაფხულო სკოლა „ევროკავშირი და ახალი გლობალური კონტექსტის გამოწვევები". საზაფხულო სკოლაში, ADA-სა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი დაფინანსებით, მონაწილეობდა საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი გვანცა ძიძიგური. საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის, წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევის გაცნობას, ისეთებისას, როგორებიცაა: პანდემია, ენერგეტიკული კრიზისი, უსაფრთხოების კრიზისი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP), უკრაინის კრიზისი და, ზოგადად, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობა. https://gruni.edu.ge/main/news/1689616311 2023 წლის 22-23 მაისს გრუნის სამართლის სკოლის დოქტორანტი ნინო ენდელაძე სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის ქალაქ რომში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სპეციალური მიღება იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ვიცე- პრეზიდენტთან, დარია დე

	პრეტისთან. შეხვედრაზე განხილეს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი და იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) სათავო ოფისში, განიხილეს მიმდინარე საქმიანობა, არსებული გამოცდილება და სამომავლო გეგმები. https://gruni.edu.ge/main/news/1687779818 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 3.3.2	**სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული სასერტიფიკაციო პროგრამების განხორციელება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	გამოკითხვა
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	სოციალური მედია დღეს კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური ინტერნეტინსტრუმენტია. რამდენად ფლობს და სწორად მართავს ამ ინსტრუმენტის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ახალგაზრდობა, განპირობებულია საქმის წარმატება. უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, გრუნის სტუდენტ-სტაჟიორებმა: მარიამ ფაცაციამ და ვახო ბაბუნაშვილმა, ასევე, სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურის სპეციალისტმა დავით თარაშვილმა, დაასრულეს ქართულ - კანადური საგანმანათლებლო ცენტრის სოციალური მედიამარკეტინგის კურსი. სამივე ახალგაზრდა აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტისა და მისი სხვადასხვა სკოლის ფეისბუკგვერდის მართვაში. https://gruni.edu.ge/main/news/1684492974 დასრულდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ერთობლივი მედიატრენინგი, ჟურნალისტებისთვის გამართულ ტრენინგზე განიხილავდნენ ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებს, თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს. ტრენინგს უძღვებოდნენ: პროფესორი ვახტანგ ჭარაია - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ოთარ ანგურიძე - თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი, გოგიტა თოდრაძე - საქსტატი, პაპუნა ლეჟავა - საქართველოს ეროვნული ბანკი, გოგა მელიქიძე - საქართველოს საპენსიო ფონდი, დავით ფაღავა - BDO, ირაკლი დანელია - MAERSK, ივანე ხასია - JTI.

	ტრენინგში მონაწილეობდა 14 საინფორმაციო კომპანია: TV იმედი, აჭარის ტელევიზია, პოსტივი, ფორმულა, ჯორჯიან თაიმსი, პირველი არხი, რუსთავი 2, BMG, პალიტრა TV, ობიექტივი, ასევე, გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტები, რომელთა პროფესიული ზრდა-დაოსტატებისათვის მსგავსი სწავლებები მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. https://gruni.edu.ge/main/news/1681190801 წარმატებით დასრულდა ტეხას ა&მ უნივერსიტეტისა და გრუნის პირველი საპილოტე TESOL პროგრამა. 3-თვიანი კურსი, რომელსაც ტეხას ა&მ უნივერსიტეტის კვლევებისა და განვითარების ცენტრი უწევს ადმინისტრირებას, ინგლისური ენის სპეციალისტების პროფესიულ გადამზადებას ისახავს მიზნად. პროგრამა მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, განაახლონ ცოდნა სწავლების საუკეთესო მეთოდებისა და პრაქტიკის გაცნობით და შეიძინონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ, ასწავლონ ინგლისური ენა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც ფიზიკურად, ისე ვირტუალურად. უნივერსიტეტის მხარდაჭერით, გრუნის 3 პროფესორ-მასწავლებლის გარდა (თბილისი, ბათუმი) საპილოტე პროგრამაში მონაწილეობდა საჯარო სკოლის 2 (თელავი, ტყიბული) მასწავლებელი, რაც უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის პრაქტიკული გამოხატულებაა. https://gruni.edu.ge/main/news/1675501192 ტეხასის ა&მ-ის უნივერსიტეტთან ერთად საპილოტე TESOL პროგრამის წარმატებულად განხორციელების შემდეგ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა მეორე ნაკადისთვის გააორმაგა მონაწილეთა რაოდენობა.პროგრამაში მონაწილეობისათვის გრუნიმ შეარჩია პროფესორ-მასწავლებლები, როგორც თბილისის, ისე ბათუმის წარმომადგენლობიდან, ასევე, ლაგოდეხის, ხაშურის, ხულოს, დუშეთის, საგარეჯოსა და ფოთის საჯარო სკოლებიდან. https://gruni.edu.ge/main/news/1677222025 საანგარიშო პერიოდში სტუდენტებისთვის განხორციელებული ყველა სასერტიფიკაციო პროგრამა პარტნიორი ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონისთან“ თანამშრომლობით მომზადდა, კერძოდ: **2023 წლის აპრილსა და მაისში** გრუნის ფსიქოლოგიის, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის, მედიცინის მიმართულებების 5 სტუდენტი გაემგზავრა პოლონეთსა და რუმინეთში საერთაშორისო სემინარებზე, რომელიც შშმ პირებთან მუშაობასა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს განიხილავს. 16-22 აპრილს დაგეგმილია პოლონეთის სემინარები, 27 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით კი - რუმინეთის. პროგრამა ასევე მოიცავს შშმ პირებთან შეხვედრებსა და

	ვიზიტებს სხვადასხვა ცენტრში. სემინარების ბოლოს მონაწილეებს საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცემათ. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტებში მულტიკულტურული განათლების შეძენასა და უცხო ენების ცოდნის გაუმჯობესებას, სრულად არის დაფინანსებული ევროკავშირის მიერ. მიღებული გამოცდილება უაღრესად მნიშნველოვანია დასაქმების ბაზრისთვისაც. https://gruni.edu.ge/main/news/1680683732 **2023 წლის 16-22 აპრილს** გრუნის მედიცინისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები მარიამ მექვაბიძე და მარიამ ბრეგვაძე პოლონეთში საერთაშორისო სემინარებზე იმყოფებოდნენ, რომელიც შშმ პირებს მიეძღვნა. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონის“ მხარდაჭერით ჩაერთვნენ და შშმ პირებთან ურთიერთობისა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის თაობაზე დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. პროექტის მონაწილეებმა მოინახულეს სპეციალიზებული ცენტრები: ბონიტიუმი, თეატრი "Arka", ყოველდღიური ცენტრი "Ostoja", Dolonoslaska Federacia - ყველაზე დიდი არასამთავრობო ორგანიზაცია ვროცლავში, სამხატვრო გალერეა "Art Brut" და კაფე "Rownik", სადაც ყველა თანამშრომელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა. გრუნის სტუდენტები სმენა, მეტყველება და მხედველობადაქვეითებული ბავშვების სკოლებსაც სტუმრობდნენ და აკვირდებოდნენ შშმ მასწავლებლებს. სემინარების ფარგლებში მათ შესაძლებლობა ჰქონდათ სხვადასხვა ღონისძიებაშიც მიეღოთ მონაწილეობა, შშმ პირებთან ერთად მოემზადებინათ საუზმე და ერთად დაეგეგმათ აქტივობები. ხელოვნების გალერეაში მათ სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს და ვიზიტორთა წიგნაკში სამახსოვრო ჩანაწერიც დატოვეს. https://gruni.edu.ge/main/news/1683223063 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა კიდევ ერთი პროექტი განახორციელა ახალგაზრდულ ასოციაცია „დრონისთან “ პარტნიორობის ფარგლებში. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 3 სტუდენტი: ხატია მამასახლისი, ხატია ოგანესიანი და მარიამ კახნიაშვილი, 10 - დღიან სემინარებზე იმყოფებოდა რუმინეთში. პროექტის „Inclusion starts with accessibility” ფარგლებში ჩატარებული სემინარები ეხებოდა შშმ პირთა ინტეგრაციის საკითხს, რომელსაც მასპინძლობდა რუმინული ორგანიზაცია „Rock-Solid Foundation“. გრუნის სტუდენტები შშმ პირებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობაში, სწავლობდნენ მათთან ურთიერთობას და აკვირდებოდნენ მათ ინტეგრაციას სოციუმში. პროექტში მონაწილე რვა ქვეყნის 16 მონაწილე, მათ შორის, საქართველოდანაც, შეზღუდული შესაძლებლობის იყო. https://gruni.edu.ge/main/news/1684392845

	2023 წლის 3-10 ივლისს, გრუნის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, ნანა ბიჭაშვილი და გიორგი ლუხავა, იმყოფებოდნენ სომხეთში, ქალაქ გიუმრში, საერთაშორისო ტრენინგკურსზე „ნაბიჯი წინ კონფლიქტების მართვისკენ". ერთკვირიან სასწავლო კურსში, რომელიც უკავშირდებოდა ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობასა და მოლაპარაკებებში კონფლიქტების მენეჯმენტს, გრუნის სტუდენტები ორგანიზაცია „დრონის" მხარდაჭერით ჩაერთვნენ და კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის შენარჩუნების არაერთი მეთოდი შეისწავლეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689622580 **2023 წლის 9 ივლისს** გრუნის მედიცინის, ფსიქოლოგიისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საგანმანათლებლო პროგრამების წარჩინებული სტუდენტები - მარიამ მექვაბიძე, მარიამ ბრეგვაძე და ვახო ბაბუნაშვილი, გერმანიის საერთაშორისო სემინარებიდან დაბრუნდნენ. ერთკვირიან საერთაშორისო პროექტში გრუნის სტუდენტები ახალგაზრდული ასოციაცია „დრონის" მხარდაჭერით ჩაერთვნენ და შშმ პირებთან ურთიერთობისა და საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის თაობაზე დიდი გამოცდილებაც შეიძინეს. პროექტის მონაწილეები სტუმრობდნენ ბერლინის შშმ პირებისთვის განკუთვნილ საცხოვრებელსა და სკოლას "Johannesstift"-ს, აგრეთვე, ოლიმპიურ სტადიონს; გაეცნენ თანატოლების ყოველდღიურობას და მოინახულეს, როგორაა ადაპტირებული სტადიონი შშმ პირებისთვის. მასპინძლებმა სტუმრები ქალაქის მერიაში, ვახშამზეც მიიწვიეს. https://gruni.edu.ge/main/news/1689176538 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.2	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ქონების გაქირავებისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ **2022 წლის სრულად**
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	**უნივერსიტეტის ქონების გაქირავებიდან და მომსახურებიდან** 2022 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **142 995 ლარი**.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.

აქტივობა 4.1.3	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა გადამზადების პროგრამებით მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ **2022 წლის სრულად**
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	გადამზადების პროგრამებით უნივერსიტეტის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა **12 373 ლარი.** **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**

აქტივობა 4.1.5	**უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდა ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლებით**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი / 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტაციის ანალიზი. საკითხის შესასწავლად გამოყენებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების საგზაო რუკით გათვალისწინებული კვლევის მეთოდი: დოკუმენტაციის ანალიზი. შემოწმდა გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლიდან მიღებული შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	შემოწმებით დადგინდა, რომ გრუნის ბათუმის წარმომადგენლობის საერთო საცხოვრებელი, ძირითადად, გამოყენებულია სალექციო კურსის ჩასატარებლად თბილისიდან ჩასული უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლების დასაბინავებლად, ასევე, ბათუმის წარმომადგენლობაში ჩატარებული კონფერენციებისა და აქტივობების პერიოდში ჩასული სტუმრებისათვის, ანუ ბათუმის წარმომადგენლობის სტუდენტური საცხოვრებლი გამოყენებამ უნივერსიტეტის მიზნებისთვის არაპირდაპირ უზრუნველყო უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდა.

	დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი არ შესრულდა

აქტივობა 4.3.2	**აფილირებული აკადემიური პერსონალის ეტაპობრივი გადაყვანა მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	აფილირებული აკადემიური პერსონალის მუდმივ საშტატო ანაზღაურების სისტემაზე გადაყვანის პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ**

აქტივობა 4.4.1	**1C დოკუმენტბრუნვის პროგრამაში პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმის გააქტიურება**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა შეცვალა პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის პლატფორმა და 1C დოკუმენტბრუნვის პროგრამის ნაცვლად შექმნა ახალი - DocFlow, რომელიც გააქტიურებელია. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად**

აქტივობა 4.4.2	**მართვისა და მისი ეფექტიანობის შეფასების ელექტრონული პლატფორმის შექმნა და დანერგვა**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ ივნისი, 2023
კვლევის მეთოდი	შემთხვევის ანალიზი.
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	მიმდინარეობს პლატფორმის სრულყოფა და ბლოკების დამუშავება. **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა ნაწილობრივ წლის ვალდებულების ფარგლებში.**

აქტივობა 4.4.3	**პროფესიული განვითარების დიფერენცირებული პროგრამების განხორციელება აკადემიური პერსონალისთვის**
მონიტორინგის პერიოდი	2022-2023 სასწავლო წელი/ 6 თვეში ერთხელ
კვლევის მეთოდი	დოკუმენტების ანალიზი
კვლევის შედეგი (მოკლე აღწერა)	უნივერსიტეტში შექმნილია ახლად მიღებული პერსონალის პროგრამა, ადმინისტრაციული პერსონალის პროგრამა ქვეპროგრამებით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების პროგრამა, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა პროფესიული ტრენინგი, კერძოდ: **2023 წლის 5 ივლისს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში ჩატარდა ტრენინგი OSCE-ს საკითხებზე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სწავლებას გრუნის პედაგოგებთან ერთად საგამოცდო პროცესში მონაწილეობისთვის საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. მეცადინეობები ჩაატარეს გრუნის OSCE-ს კომიტეტის წევრებმა: ნინო გორდელაძემ, ნინო წილოსანმა და ზაზა ბერიშვილმა. სამუშაო პროცესი ტრადიციულად დამსწრეთა მაღალი აქტივობით მიმდინარეობდა. განხილულ იქნა OSCE-ს მიმდინარეობასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები და გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული და ლოჯისტიკური საკითხები. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. https://gruni.edu.ge/main/news/1690004750 **2023 წლის 18 აგვისტოს,** პროფესიული განვითარების პროგრამის

	ფარგლებში, მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილემ ილონა ბიტაროვამ, ონლაინ ფორმატით, მონაწილეობა მიიღო ვებინარში Study Medicine & Dentistry Abroad, რომელიც გაიმართა ლონდონში. ყურადღება გამახვილდა სამედიცინო განათლების ხარისხზე, სხვადასხვა ქვეყნის სამედიცინო უნივერსიტეტების სწავლის საფასურსა და ამ უნივერსიტეტების უპირატესობებზე. ვებინარში, პირდაპირი ჩართვით, მონაწილეობდნენ უნივერსიტეტების სტუდენტებიც. მათ გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები სწავლის ხარისხსა და უნივერსიტეტებში სწავლის პირობებთან და დაკავშირებით. განხილულ იქნა საკითხი უნივერსიტეტებში დამატებით ენის კურსების არსებობის შესახებ. https://gruni.edu.ge/main/news/1693371651 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში პროფესორ ლიანა სირაძის ინიციატივით, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გაიმართა ფასილიტაციის სესია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხების შესახებ. გრუნის პროფესორმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა ლიანა სირაძემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო შვეიცარიაში, საერთაშორისო კონფერენციაზე - „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“- მიღებული ინფორმაცია და ამ ქვეყნის გამოცდილება, რომელიც მოიცავს ქვეყნის მასშტაბით ეპიდსიტუაციის უსაფრთხოებასა და მონიტორინგს, იმუნიზაციას, ეპიდზედამხედველობას, დაავადებათა პრევენციასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საგანგებო სიტუაციებზე დროულ რეაგირებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობას, საინფორმაციო მხარდაჭერას, გარემოს მავნე ფაქტორებისა და ქცევითი რისკფაქტორების პრევენციას, გამოყენებითი და ფუნდამენტალური ბიოსამედიცინო სამეცნიერო ლაბორატორიული კვლევების განხორციელებას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლაბორატორიული სისტემის განვითარებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. https://gruni.edu.ge/main/news/1683091237 **2023 წლის 19 და 26 აპრილს** მედიცინის სკოლის სტომატოლოგიის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგი „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR)“, რომელსაც უძღვებოდა მედიცინის სკოლის პროფესორი, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამედიცინო განათლების ექსპერტი, სტომატოლოგიის საუნივერსიტეტო ცენტრის „გრუნივერსი“ ხელმძღვანელი ნინო წილოსანი. CBCR სამედიცინო განათლების ექსპერტების მიერ აღიარებულია სწავლების ინოვაციურ მეთოდად. მისი მიზანია გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, რთული ქეისების კომპლექსურად შეფასების და დიაგნოსტირების უნარების გამომუშავება, მკურნალობის სტრატეგიის შემუშავება და დაგეგმარება. https://gruni.edu.ge/main/news/1683561245

	უნივერსიტეტის სტომატოლოგიის სასწავლო - კვლევითმა და კლინიკურმა ცენტრმა „გრუნივერსმა“ გამოაცხადა კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლება დენტალურ იმპლანტაციაში (CBL ტრენინგი). კურსი განკუთვნილია იმპლანტოლოგებისა და ორთოპედებისათვის. CBL ტრენინგის საშუალებით მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა რეალურ კლინიკურ გარემოში შეიძინონ და განამტკიცონ, არა მარტო ფუნდამენტური თეორიული ცოდნა, არამედ კლინიკური უნარების ფართო სპექტრი. წავლების პირველი კვირა დაეთმობა ინტერაქციურ სალექციო კურსს; სწავლების მეორე - მესამე კვირის თითოეული დღე კი ითვალისწინებს: დენტალური იმპლანტაციის ოპერაციაზე დასწრებასა და ასისტირებას; კონკრეტული ქეისის განხილვას, მათ შორის, ატიპური კლინიკური შემთხვევების მკურნალობის ალტერნატიული გზების მოძიებასა და განზოგადებულ ანალიზს. ტრენინგის ბოლო კვირა დაეთმობა Hands-on-ს. https://gruni.edu.ge/main/news/1684134198 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლამ და Partner of Ivoclar Academy Tbilisi -მ ერთობლივად ჩაატარეს შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება კლინიკურ ორტოპედიაში (CBL-ტრენინგი) „ესთეტიკური და ფუნქციური რეაბილიტაცია ადჰეზიური კერამიკული რესტავრაციებით“. კურსი განკუთვნილ იყო ექიმი-ორთოპედებისა და რეზიდენტებისათვის. CBL ტრენინგის საშუალებით მსმენელებს მიეცათ შესაძლებლობა კლინიკურ ორთოპედიაში შეეძინათ არა მარტო ფუნდამენტური თეორიული ცოდნა ადჰეზიური კერამიკული რესტავრაციების შესახებ, არამედ განემტკიცებინათ კლინიკური უნარების ფართო სპექტრი რესტავრაციულ სტომატოლოგიაში გერმანული კომპანია Ivoclar-ის პრემიუმ ხარისხის სარესტავრაციო მასალებით. https://gruni.edu.ge/main/news/1689526761 **დასკვნა: სამოქმედო გეგმის ეს პუნქტი შესრულდა სრულად.**